

ლიტერატურული გაზეთი

№3 (283) 19 თებერვალი - 4 მარტი 2021

ბამონის ორ კვირასი ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

როსტომ ჩხეიძე

ციკლიდან

„ციცხლისპირული ჩაფიქრებანი“

ღრო და ჟამი რომანსეროსი

დავით წერეთლის ფედერიკო გარსია ლორკას მეგზურად

ბევრი რამ თან ანუხებდა და თან აკვირებდა გალაკტიონ ტაბიძეს და მათ შორის ესეც: რა დროს რომანსეროაო!..

ასეც დაასათაურებდა ერთ ლექსს და სტრიქონად ხომ შეიტანდა და შეიტანდა:

ცაზე ვხედავ წეროებს, თითქო მწკრივი ღეროა, წერენ რომანსეროებს, რა დროს რომანსეროაო?

და მამ მისთვის ხელმისაწვდომი რომ ყოფილიყო ფედერიკო გარსია ლორკას ლირიკული კრებული „ბოშური რომანსერო“, ათვალწუნებით გადადებდა განზე: რა დროს რომანსეროაო?

მაგრამ დავით წერეთლის როგორც გვიბეჯითებს:

ამ პატარა წიგნში — ლორკას პოეტურ ხილვათა მწვერვალად რომ წარმოდგება — ვერც ბოშურ ეგზოტიკას ნაწვანდებით და ვერც თაბორული რომანსების მოტკბო-მობანალური ქვითინს!

ის, რაც გალაკტიონის ყურს ეხამუშებოდა გასასტიკებულ რეალობაში, სწორედ ეს მოტკბო-მობანალური ქვითინია, თორემ ლორკა ამ სიტყვას იყენებდა იმ მნიშვნელობით, ესპანურენოვან ტრადიციაში როგორც დამკვიდრებულიყო:

ბალადური წყობის ხალხურ ან ხალხურთან მიახლოებული ლექსის აღმნიშვნელად, მის ჟანრულ სახელწოდებად.

დავით წერეთლის იმასაც დასძენდა მეტი თვალსაჩინოებისათვის:

ჩვენი „ყივჩაღის ლექსი“ რაღაც სასწაულით ესპანური რომ გამხდარიყო, მას, არც მეტი, არც ნაკლები, „ყივჩაღის რომანსი“ ერქმეოდაო.

ხოლო სათაურის მეორე სიტყვა „ბოშური“ უნდა აღგვექვა პოეტურ პირობითობად, ლექსების შემკვრელად და ერთ ციკლად გამაერთიანებლად. და ამიტომ თვითონვეც დარწმუნდება მკითხველი, რომ ამ ლექსების ბოშები არაფრით განსხვავდებიან ესპანელებისაგან, არც გვარ-სახელებითა და არც ქცევებითა თუ ცხოვრების წიგნით.

ის კი არა, ბოშურს — დავით წერეთლის შეგრძნებით — აშკარად მავრული სჭარბობს, ეს მომენტი ტექსტში ალაგ-ალაგ საგანგებოდაც რომ არის აქცენტირებული; და ეს გარემოება სავსებით ბუნებრივი ეჩვენება, რადგანაც: მავრულმა კულტურამ ანდალუზიაში ბევრი სილამაზე დატოვა.

თვითონ ფედერიკო გარსია ლორკას ამ კრებული მთავარ პერსონაჟად ანდალუზიური ნაღველი რომ მიაჩნდა, ეს მოსაზრება ამგვარ დაფიქრებასაც მოიყოლებდა:

— რაში მდგომარეობს ანდალუზიური ნაღველის სპეციფიკა, ძნელი მისახვედრია, მით უფრო უც-

ხოელისათვის, მაგრამ მთელი წიგნი უჩვეულოდ გადაძვინდა ნაღველით რომ არის განმსჭვალული, ეს ცხადზე უცხადესია.

და აი, დავით წერეთლის გადმოიტანდა „ბოშური რომანსეროს“ ქართულ ორეულში ამ ნაღველსაც და ავანგარდიზმისა და მაღალი კლასიკის ჰარმონიულ შერწყმასაც და ხმაშენყობილ ჟღერსაც. და გადმოიტანდა იმ შთამბეჭდაობითა და ბრწყინვალეობით, მას ამთავითვე ლირიკის თარგმნის უკეთეს მიღწევათა შორის რომ უნდა მივუჩინოთ ადგილი.

მაკრატელს აიღებდა დავით მეფსალმუნე და სიმებს გადაჭრიდა ქნარისას?

ლორკა იმ სიმთა გამრთელებასა და იმ ქნარის აღდგენას შეეცდებოდა.

თუ ვინმეს, ფედერიკო გარსია ლორკასაც ძლიერ აფასებდა გალაკტიონი, მის სახელსაც რომ გაასიბოლოებდა და მანათობლად დასახავდა პოემებში „საუბარი ლირიკის შესახებ“, ლორკა დევნილად რომ გამოჩნდებოდა, მასაც რომ ახრჩობდნენ, აწვლებდნენ და ბორკავდნენ, მაგრამ ხალხს მაინც ეს პოეტი ერჩივნა, რომლის სახელთანაც ფუჭი აღმოჩნდებოდა ღრენა ქვეყნისა ბებერის, რადგანაც იგი მღეროდა, ვით მგოსანს შეჰფეროდა.

შეადარებდა იმ პოეტებს, რომელთა ჩანგის სიმებიც, ჩამოქნილი დროთა სათარეშოდ, სუნთქავდნენ, ბუტბუტებდნენ და ხმაურობდნენ უანგარიშოდ.

ვითომ პოეტი იყო კაცი ამგვარიც?

არა და არა, მკვდარი გახლდათ, სიკვდილით მკვდარი.


ხოლო პოეტი — ხალხის გულს რომ ედებოდა მისი მდიდარი, რთული, ფრთამახვილი შემოქმედება.

ლორკასდაგვარი — ესპანეთი სასიცოცხლო ვარდებით რომ მოერგა და ხალხისათვის შეეწირა მგზნებარე ქნარი.

მოეკლათ, მაგრამ ვერ მოეკლათ!..

თუ ვინმეს, გალაკტიონს დაეჯერებოდა.

ჩემს შუბლზე ეძებეთ ლანდი, თამაში მთვარის და ქვიშისო, — ლორკას გზამკვლევადა ამ მინიშნებას რომ გვანვდიდა მის რთულ მეტაფორისტიკაში შესაღწევად, სწორედაც მთვარით დაფერილი უნდა გვეხილა ეს უჩვეულო სამყარო, იმ სიმწვანეში ჩაძირული, სადაც მწვანეა არამცთუ ტევრი, თვით ქარიც... რეალურისა და ირეალურის გადაკვეთაზე რომ უნდა ეტრიალა ლირიკულ ხილვებს და ეს ხატიც ამ გადაკვეთაზე შემოცურებულებიყო:



ზვირთებს აოქროვებს თვეზი და ერთ სილამაზედ ორდება კორდობა, ჩამტყდარი ჭავლში, და მაღლა, ცის მშრალი კორდობა.

და ის ხატიც, ნახანძრალი ცისა, რომლის მიღმაც ახსნილიყო ლაჟვარდის ჭერი, კლდის ხორხში ნაკადი ფეთქავდა და მღერდა ტოტზე იადონი, ანგელოსთა გალობაც რომ უნდა შემოშველებოდა:

თეთრი ევლალა თეთრებში ქათქათებს ვიტრაჟის ციდან. „წმიდა არს“, ხმობენ სერაფიმნი, „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა...“

მახსოვს, რა ხმაურიც მოჰყვა დავით წერეთლის მიერ ქართულად ამტყველებას ფრანსუა ვიიონის „მცირე ანდერძისა“ — ჯერ კიდევ „ცისკრისეულ“ პუბლიკაციას, აღმატებულ ეპითეტებს რომ არ იშურებდნენ, ტარიელ ჭანტურია კი სულაც პოეტურ გამირობად შეაფასებდა.

და მხოლოდ ასე თუ განვსაზღვრავთ ამ ახალი კრებულის მნიშვნელობასაც:

ფედერიკო გარსია ლორკას „ბოშური რომანსეროს“ გამოცემას — „ინტელექტმა“ საამაყო წიგნი რომ შესძინა ჩვენს ლიტერატურასა და საერთოდ კულტურას.

მანამდე კი მძაფრი აღმოჩნდებოდა შთაბეჭდილება და გამომხაურებათა გარეშე არც ჩაივლიდა ამ ლექსთა ერთი რკალის პუბლიკაცია „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე.

წინასიტყვაობაში, ჩვეული ხელოვნებით რომ დაუნურავს მთარგმნელს და მეტად საგულისხმო თეზისებიცაა მიმობნეული კრიტიკოსთა თუ მკვლევართათვის, ამასაც გვამცნობენ, რომ:

ლორკას, ცხადია, აქვს არაერთი სხვა შედევიც, მაგრამ ასეთი შთამბეჭდაობისათვის აღარასოდეს მიუღწევია და მისი სახელი, როგორც მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უპირველესი ლირიკოსისა, არსებითად ამ პატარა კრებულს ემყარება, კრებულს, რომლის 18 ლექსსა თუ რომანსსაც სამი თუ ოთხი წლის შრომაც დასჭირდებოდა.

„ბოშური რომანსეროს“ ქართული თარგმანი გვარნმუნებს და სრულყოფილადაც განგვაცდევინებს, სწორედ ერთ უპირველეს ლირიკოსთან რომ გვინვეს შეხვედრა.


და... ცაზე რომ მოჩანან წეროები და თითქო მწკრივი ღეროა?..

და რომ მღერენ რომანსეროებს?..

გალაკტიონ ტაბიძე ფედერიკო გარსია ლორკას რომანსების ამ ქართულ გამოცემას რომ მოსწრებოდა, აღტაცებული დარჩებოდა და რაღაც ამდაგვარსაც უსათუოდ იტყოდა: თუ რაიმეს დროა ამჟამადაც და საერთოდაც, სწორედ რომანსეროსიო.

ოღონდ იტყოდა ისე მოხდენილად და ნატიფად, ისე სხარტად და ეფექტურად, აფორიზმით რომ აღგვებეჭდებოდა გულსა და გონებაზე.

ცაზე ვხედავთ წეროებს, თითქო მწკრივი ღეროა...





ზეციდან უფსკრული ან დროში მოგზაურობის სიზლი მარიო ვარგას ლიოსას რომანი „საუბარი კათედრალში“ ქართულად

ჯერ არ ნაგვიკითხავთ „საუბარი კათედრალში“, ლიოსასი, მარიო ვარგასის?

ბედნიერი ადამიანი ყოფილხართ, ბედნიერი.

რატომ?

რატომ და წინ ასეთი დიდი ბედნიერება გელით, მე კი ეს ბედნიერება უკვე განვლილი მაქვს. ეჰ... რა ბედნიერება?

პირველად ნაკითხვის.

რაო, გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა ხომ არ გაგახსენდათ: „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ — და მისი მთავარი გმირი ვასიკო კეჟერაძე, რომელიც გატაცებულია სამხრეთ-ამერიკული პროზითა და მათ შორის ლიოსას რომანებით, ანსკლმოიანს რომ გამოარჩევს, ჩვენ კი შეგვიძლია ამ წუთას იმ რომანით ჩავანაცვლოთ — „საუბარი კათედრალში“ — რომლის პირველად ნაკითხვის ბედნიერებაც გვარგუნეს ლანა კალანდია და „ინტელექტმა“ — თავისი მომზილავი და მასშტაბური პროექტებით, დაარსების 25 წლისთავს დიდი მონაგარით რომ ეგებებიან და კიდევ უფრო გაბედული განზრახვებითა და რუსთველურ-ფორდონული შემართებით: ძალიც შემწევს ქადილისაო.

პერსონაჟიც გატაცებულიყო სამხრეთ-ამერიკული პროზით და ავტორიც, რომელიც შემთხვევას არ გაუშვებდა ხელიდან, დიტირამბად არ დაღვრილიყო... და როდესაც ქართულად გამოიცემოდა აფხაზი მწერლის ალექსი გოგუას მოთხრობების კრებული: „აგერ ა, შვიდი ქვის იქით“, ჯუმბერ თითმერისა მიერ თარგმნილი — და გურამ ასათიანი, საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზური ლიტერატურის საბჭოს თავკაცი, სხობდა პირველივე სხდომაზე მოხსენების ნაკითხვას ამ კრებულზე, ერთ-ერთ მოთხრობასთან „იელი“ დაკავშირებით ამ შენიშვნას რომ გამოთქვამდა: ნამდვილად მოიგებდა, წარსულისა და აწმყოს მონაცვლეობა ინტერვალებით რომ არ გამოიყოფოდეს, თხრობა საკმაოდ დინამიკურია და შეუწინაღებელი ინტერესითაც იკითხება, მაგრამ ეს ინტერვალები ამბავს საგრძნობლად ამუხრუჭებსო — მაშინაა, პარალელური თხრობის აპოლოგია რომ უნდა ჩართოს ვრცელ გადახვევად, არადა უმნიშვნელოვანეს კრიტიკულ-ესთეტიკურ მონაკვეთად და თავისი შემოქმედებითი ლაბორატორიისათვის თვალის შესავლებად; და დაწურულად და ტევადად განსაჯოს ეს სტილური მანერა, რომლის სათავესაც თუნდ გუსტავ ფლობერის „მადამ ბოვარში“ ხედავდა, როგორც ბრწყინვალე ნიმუში თხრობის მონაცვლეობისა, ერთმანეთში რომ გადადის ორატორის საუბარი სოფლის მეურნეობაზე და რუდოლფის არმიყი ქალთან.

და მეოცე საუკუნეში, როდესაც გარეგნული დინამიკურობა უფრო დატყობოდა პროზას, პარალელური თხრობა და დროში მონაცვლეობა განსაკუთრებით

დიდ მნიშვნელობას შეიძენდა. ამ გადასვლებისა კი სხვადასხვა ხერხი რომ არსებობდა, გურამ დოჩანაშვილისათვის გამოჩენილი იქნებოდა პასაჟი — თავისი „კეთილშობილებით“.

რას გულისხმობდა და:

სხვა ხერხები — ეპიტეტი იქნებოდა, შედარება თუ ამისთანანი — რაც უფრო თვალშისაცემი გახლდათ და ეფექტური, მით კარგად აღიქმებოდა ეს მონაცვლეობა-გადასვლანი, პასაჟი კი პირიქით, რაც უფრო შენიღბული იქნებოდა და შეუმჩნეველი, მითუფრო ოსტატური გახლდათ.

და სწორედ ამას მიიჩნევდა ქართველი მწერალი პასაჟის ხელოვნებად, რაც ყველაზე მკვეთრად და კარგად იგრძნობოდა ლათინური ამერიკის მწერალთა შემოქმედებაში.

და ამ საქმის ჭეშმარიტ დიდოსტატად გაბრიელ გარსია მარკესს რომ მოიხსენიებდა (ისე გადავა აწმყოდან წარსულში, იქიდან შორეულ მომავალში, და საერთოდაც ისე დასერილობს ზევით-ქვევით, როგორც თვითონ მოესურვებო), იქვე მიაღვენებდა მარიო ვარგას ლიოსას ქებასაც, რომელიც:

ყოველგვარი ინტერვალისა და პასაჟის გარეშე გადააბამდა ერთმანეთს საოცრად განსხვავებულ ამბებს, და ეს ცხადია ქალაქის ეკონომიით არ მოსდიოდა — მისი პასაჟი საოცრად ორიგინალური გახლდათ და თვით ამ ამბების ინტონაციებში მჟღავნდებოდა.

სამხრეთ-ამერიკულ პროზაზე მსჯელობისას შეუძლებელია, ძალდაუტანებლად არ წამოგაგონდეს უილიამ ფოლკნერის სახელი და გურამ დოჩანაშვილიც მოიხსენიებდა, როგორც ამ მხატვრული ხერხის ერთ-ერთ ბრწყინვალე ოსტატს — რაც გულისხმობს განსხვავებული შრიფტით, კურსივით ბეჭდვასაც. და თუმცა ფოლკნერს ეს ხერხი გასაოცარ სიმალღემდე და სირთულემდე აყვავდა, გურამ დოჩანაშვილს ეს სტილური მანერა არცთუ უპრიანი ეჩვენებოდა, რადგანაც — სულ რომ არაფერი — წერის პროცესში მწერალი ხომ ერთი ხელწერით წერს... ამიტომაც მარკესისა და ლიოსას ხერხებს უფრო მალაღაყვებდა.

ორივე ეს მწერალი — და საერთოდაც სამხრეთ-ამერიკული პროზა — უილიამ ფოლკნერის ლიტერატურულ სკოლას რომ წარმოადგენს, პარალელური თხრობითაც მასთან მოიხილვებოდნენ და მის გადმოტანას შეეცდებოდნენ, უშუალოდ მისეული სტილისტიკისა, და არა გუსტავ ფლობერისა თუ ჯეიმზ ჯოისისა; თუმცა კიდევ უფრო რომ გაამკვეთებდნენ და გაამრავალფეროვებდნენ ამ მხატვრულ მეთოდს, ესეც ამკარაა, სრულიად რომ აღარ დაისაჭიროებდნენ განსხვავებული შრიფტით, კურსივით ბეჭდვას და იმ — თუ შეიძლება ასე ითქვას — საკურსივო ფრაზებსა და პასაჟებსაც ისე მარჯვედ შეურევდნენ თხრობას, ისეთი სილაღითა და ძალდაუტანებლობით, განსხვავებული შრიფტით საჭიროებას მკითხველი სრულიად ვეღარ იგრძნობდა.

ისინი კი მარჯვედ შეურევდნენ და საერთოდაც პარალელურ თხრობაში დიდ ხელოვნებას მიაღწევდნენ, მაგრამ არ გინდა ამ ხელოვნების სრულქმნილი გადმოტანა თარგმნისას?! თუ გამარტივებას შეეცდები, ეს გაპრიმიტიულება უფრო იქნება და ხელში ჩაგაკვდება ერთი მწერალიც და მეორეც, და კიდევ სხვანაც, ვასიკო კეჟერაძე მათგან ხულიო კორტასარსაც რომ გამოარჩევდა.

რაკილა გაბრიელ გარსია მარკესის მოხსენიებაც დაგვჭირდა, ბარემ შესაფერი პატივი მივაგოთ „მარტოობის ასი წელიწადის“ ქართულ ორეულსა და მის შემქმნელს — ელზა ახვლედიანს; და არ დავიშუროთ საქებარი სიტყვა ლანა კალანდიასადმი, რომელსაც ზედიზედ უნდა ექცია ქართული ლიტერატურულ-კულტურული სივრცის სრულფასოვან კუთვნილებად მარიო ვარგას ლიოსას რომანები: „ცუდი გოგოს ოინები“, „საუბარი კათედრალში“, „ვაცის ნადიმი“ და „ქალაქი და ძაღლები“,

**როსტომ ჩხეიძე
ციკლიდან
„ცეცხლისპირული ჩაფიქრებანი“**



რომელიც წარმოგვიდგება გვირგვინად მწერლის რომანისტიკისა, ერთხელ უკვე რომ ითარგმნებოდა ქართულად ამირან გაბესკირიას მიერ, მაგრამ რუსულიდან და — თანაც საბჭოური ნორმების შესაბამისად — ალაგ-ალაგ ამოგლეჯილი, და ცხადია სწორედ ის სტრიქონები თუ სულაც პასაჟები, არსებითი მნიშვნელობა რომ აქვს რომანის მხატვრულ-იდეური მრწამსის შესაცნობად.

„ქალაქსა და ძაღლებს“ ნაგვაკითხებდნენ ცენზურაგამოვილია და ისევე დაგლეჯილს, როგორც თუნდ მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებსა“ თუ კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებას“, თუმცა ჩვენ მაშინ ის უპიუურებიანი ვერსიაც მოგვწონდა, რადგან მთლადაც ვერ ჩაკლავდნენ ლიოსას მწერლურ ხელოვნებას და შევიგრძნობდით საზარელ ტრაგიზმს, სულს რომ შეგვიხუთავდა და ერთხელ კიდევ განგვაცდევინებდა, ჩვენ თვითონ რა დამთრგუნველ რეალობაშიც ვიმყოფებოდით.

ალსანიშნავია, რომ: მარიო ვარგას ლიოსას ორი რომანის — „ქალაქი და ძაღლები“ და „ვაცის ნადიმი“ — ქართულად ამეტიყველებისათვის ლანა კალანდიას 2019 წლის 20 ივნისს მიენიჭებოდა ილიას უნივერსიტეტის ლიტერატურული კონკურსის პრემია უცხოური რომანის საუკეთესო ქართული თარგმანისათვის.

ჟიურის, რომელიც შემდგარია უნივერსიტეტის პროფესორებისა და სტუდენტებისაგან, უნდა შეერჩია 2014-18 წლებში გამომცემელი რჩეული თარგმანი, თანაც ასამდე უცხოურის რომანის საუკეთესო ქართულ ვერსიას შორის.

ჟიურის დასკვნით: ლანა კალანდიას თარგმანები გამოირჩევა ორიგინალის ერთგულებით, ქართული ლექსიკისა და იდიომების ფლობით, უცხო რეალობის ქართულ მკითხველამდე მიტანის უნარით. დავეძენდი: ღრმა შინაგანი ექსპრესიითა და იმ იდუმალი შეგრძნებით, ლიოსას პროზის მხატვრულ ძალმოსილებას ბოლომდე რომ განგვაცდევინებს.

ხოლო რაც შეეხება სტილურ თავისებურებას: ამ ოთხივე რომანშიც საგრძნობია პარალელური თხრობის სტილისტიკა, ურომლისოდაც ლიოსა უბრალოდ წარმოუდგენელია, მაგრამ „საუბარი კათედრალში“

ამ მხრივ კიდევ უფრო გამოირჩევა, რადგანაც მწერალმა აქ თავისი სტილური ხელოვნების სრული დემონსტრირება მოახდინა და დროში გადანაცვლების ნამდვილი ფოიერვერკი მოგვიწყო.

მასთან შედარებით „ცუდი გოგოს ოინებიც“, „ქალაქი და ძაღლებიც“ და „ვაცის ნადიმიც“ კლასიკური სტილური მანერით შესრულებული მოგვიჩვენებთ. და ეს იმიტომ, რომ აქ დროში მონაცვლეობა ერთმანეთშია ჩახლართული და პარალელური ამბები კი აღარ, პარალელურ-პარალელური თხრობა გადადის ერთიმეორეში.

აწმყო დროებში ერთმანეთს ესაუბრება ორი ძველი ნაცნობი — სანტიაგო და ამბროსიო — და წარსულის გახსენებისას კიდევ ერთდროულად უნდა შემოდიოდეს რამდენიმე ამბავი — ყოველგვარი ინტერვალის გარეშე. და მკითხველმა თვალის უნდა მიაღვენოს ავტორისეულ თხრობასაც და პერსონაჟთა დიალოგებსაც, ერთმანეთში რომ არის შეჭრილი და ჩახლართული, თითქოსდა ავტორისეული თხრობის პარალელურობა არა კმაროდეს.

და მიაღვენოს ისე, არამცთუ ოდნავაც არ დაიბნეს, მთელი არსებით შევირძნოს ამ გადასვლა-მონაცვლეობის აუცილებლობა, თავიდან, რამდენიმე გვერდის მანძილზე, ძალდატანება რომ დასჭირდება თავზე, ვიდრე ამ სტილისტიკას შეეჩვეოდეს და გემოსაც გაუგებდეს (უილიამ ფოლკნერის რომანების კითხვისას რაც გვემართება!), მერე კი ისე ჩაითრევს თხრობის დინამიკა, მორევიდან ამოყურყუმე-ლავება აღარც მოუნდება.

და გააცნობიერებს, რომ: ეს ჩათრევა სწორედ იმ მანერის ნყალობაა, თავიდან ცოტა კიდევ რომ აღიზიანებდა. და ახლა კი სხვაგვარად ვეღარც წარმოუდგენია ამ ამბავთა მოთხრობა.

მწერლური ხელოვნება მწერლურ ხელოვნებად და... როგორ გინდა, ეს ურთულესი სტილური ტექნიკა სრულფასოვნად გამოიტანო სხვა ენობრივ გარემოში?

ბენვის ხილზე გიწევს გავლა, რაკილა ზუსტად უნდა დაიჭირო ინტონაციებიც, ქვეტექსტიც, მინიშნებანიც და ის ფარული ნიუანსებიც, ურომლისოდაც ეს გადასვლა-მონაცვლეობანი აწმყოდან რამდენიმე წარსულში ერთდროულად არამცთუ მარჯვე და ლაღი ვეღარ იქნება, შინაარსიც კი შეიძლება დაბნელებად და მკითხველმა გზა ვეღარც გაიკვილოს, განსხვავებით კლასიკური თხრობისაგან, სადაც ხარვეზიანი თარგმანი მხატვრულ ძალმოსილებას მოაკლებს თხზულებას, თორემ შინაარსის ძვირ არ გაგინწყდება.

და ბენვის ხილზე სიარულს რომ შეძლებდა ლანა კალანდია, ამიტომაც ახდენს

ეს რომანი ასეთ დიდ შთაბეჭდილებას მკითხველზე, ოდნავადაც რომ არაფერი გამოიწვევს — არც ინტონაციები, არც ქვეტექსტები, არც მინიშნებანი და არც ის ფარული ნიუანსები, არსებითად რაც ჰქმნის თხრობის დინამიკურობასაც და იმ შორეული მუსიკის შეგრძნებასაც, ურომლისოდანაც ნაკლებად იქნება ყველა თარგმანი, ერთი შეხედვით რაოდენ დახვეწილიც უნდა მოგვეჩვენოს.

სახელწოდება რომანისა — „საუბარი კათედრალში“ — რაღაც ამალღებულზე მიგვანიშნებს?

სინამდვილეში ირონიულია, ისევე როგორც სათაური უილიამ ფოლკნერის იმ რომანისა — „სავანე“ — რომელიც უკიდურესად დაცემულ, ყოვლად ამაზრზენ რეალობას წარმოგვიდგენს.

და კათედრალიც, ისევე როგორც სავანე, ეკლესიის ასოციაციას რომ ალგვიძრავს და სინამდვილესთან შესახვედრად განგვანყოფს, უეცრად... ამ სახელწოდების რესტორანში უნდა ამოვყოთ თავი, და თანდათან უნდა შემოგვეძარცვოს ყოველგვარი ილუზიაც და ზეციდან აღმოვჩნდეთ არამცთუ მიწაზე, სულაც უფსკრულში — მთელი თავისი საშინელებებით, ზნეობრივი დაცემა უკიდურესობას რომ აღწევს და იმ გარემოში აღარანაირი ცოდვა და დანაშაული აღარ გიკვირს, სიცრუითა და სიყალბით რომ ყველა და ყველაფერი მოცულობა და გათანაფრთხილება...

და ასე არეკლება დიქტატორული რეჟიმისაგან მოშლილი სულიერი საყრდენები, განსხვავებით „ვაცის ნადიმისაგან“, აქ დიქტატორი საერთოდ რომ არა ჩანს, არამცთუ მისი ცხოვრების ეპიზოდები იყოს წარმოჩენილი, მაგრამ სულიერად მომსპარევი და გაპარტახებული რეალობა თავისთავად გაგრძობინებს, სადამდე მიჰყავს მთელი საზოგადოება ტოტალიტარულ პოლიტიკურ რეჟიმს, ამ წნეხისაგან გამოსხნა ძალიან და ძალიან რომ ძნელდება და დიქტატორის დამხობის შემდეგაც მეტასტაზებივით ტრიალებს და აგრძელებს საზოგადოების გახრწანას, ყოველგვარი ეპიდემიაც იმ უსამართლო, მანკიერი სისტემის უშუალო ნაყოფი რომ არის და ცხოვრების მდინარეების შემოსატრიალებლად და გასანმენდად მწერალთა დიდი ძალისხმევა აუცილებელი, მარო ვარგას ლოსას ამ მოვალეობასაც რომ აღასრულებს, და არამარტო პერუს, არამედ მთელი კაცობრიობის წინაშე, სადაც კი ეს მანკიერებანი ჯერაც არ გამქრალა და არც უსამართლობისაგან შობილი საზრდო აკლდება.

ჯერ არ წაგიკითხავთ „საუბარი კათედრალში“, ლოსასი, მარო ვარგასის? ბედნიერი ადამიანი ყოფილხართ, ბედნიერი.

რატომ და: წინ ასეთი დიდი ბედნიერება გელით — პირველად წაკითხვის, მე და ჩემისთანებს კი ეს ბედნიერება უკვე გამოვლილი გვაქვს. ეეჰ...

**„ქალაქი და ძაღლები“:
ნატვისის ახლანად
ლანა კალანდია
მარო ვარგას ლოსასს მეგზურად**

ამ მონაკვეთს ამოჰკვეთდნენ რუსულ თარგმანში.

ეს კი ნიშნავდა, რომ ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ენაზე გამოცემული რომანი მარო ვარგას ლოსასის „ქალაქი და ძაღლები“ ასევე დაგონებული უნდა ყოფილიყო, უამსცენო, თუ რა შემზარავად ექცეოდნენ პირველკურსელ კადეტებს ლეონსიო პრადოს სახელგანთქმულ სამხედრო სასწავლებელში, უფრო დამამცირებელი მოპყრობა ძნელად წარმოსადგენი რომ გახლდათ.

სამხედრო ჟარგონზე კი ამ საზარლობას მონათვლა ერქვა და ის ბიჭები, რომელნიც პირველ კურსზე თვითონ ინევენდნენ ამ დამცირებას უფროსკურსელთაგან, ახლა, გაუფროსკურსელებულები, სხვებზე იყრიდნენ ჯავრს.

აგერ ერთ-ერთ ახალწვეულს იატაკზე დასცემდნენ, მუცელზე, ფეხს დააჭერდნენ და წამოდგომის საშუალებას არ მისცემდნენ. და ათიოდ გულგრილი სახე დააქცქერდებოდა ზემოდან, როგორც უცხო მწ-

ერს. მერე მოსთხოვდნენ მექსიკური კორიდოს რიტმზე ასჯერ ემღერა „ძალი ვარ“. და რაკილა ვერ შეძლებდა, იმდენჯერ დააფურთხებდნენ, თავსხმა ეგონებოდა.

იძულებული რომ შეიქნებოდა, ემღერა ნაკარნახევი ფრაზა მექსიკური სიმღერის მელოდიაზე, შიგადაშიგ ყვირილის ხმად აღმოხდებოდა, მაგრამ მწვალელებს ეს არ ანაღვლებდათ და მოსთხოვდნენ, ახლა ბოლეროს რიტმზე ემღერა, მერე მამბოსა და კრეოლური ვალსის ჰანგებსაც მოისმენდნენ მისგან.

შემდეგ წამოაყენებდნენ, ფურთხის მონმენდის უფლებას არ მისცემდნენ და აქეთ-იქიდან უღომობად შემოჰკრავდნენ მუშტებს, თან დასცინოდნენ, უფრო რომელი გეტყვინაო.

მერე ამით გაერთობოდნენ: ძალი ხართ თუ ადამიანი?

ძალიო — მიუგებდა დამფრთხალი და გასაცოდავებული ბიჭი, და კიდევ აიძულებდნენ ოთხზე დამდგარიყო და მასავით ოთხზე დამდგარ „მოსანათლთან“ ეჩხუბა, თან ეყეფათ და დაეკბინათ ერთმანეთი.

შემდეგ ოთახიდან გაიყვანდნენ სტადიონზე და უკვე აღარც ეხსომებოდა, დღე იყო თუ ღამე. იქ გააშვილებდნენ და უბრძანებდნენ, ცურვით შემოეცლო მძლეოსნებისა და ფეხბურთის სანვრთელი მოედანი, შემდეგ მეოთხეკურსელების საძინებელში დააბრუნებდნენ, აალაგებინებდნენ ბევრ

თუმც გასაგებია რატომაც: ლოსას ხომ განაზოგადებდა ამ მწარე, სასტიკ რეალობას და უნებურად წარმოსახავდა საბჭოთა ჯარის სინამდვილესაც. რაღა „მონათვლა“ ლეონსიო პრადოს სამხედრო სასწავლებელში და რაღა „მონათვლა“ რუსის ჯარში.

ის, რაც მთელი ძალ-ღონით გასაიდუმლოებულიყო, აგერ „ქალაქი და ძაღლები“ გვითვალსაზრისწოდებდა იმ რეალობას.

ამიტომაც უნდა ამოშლილიყო ეს სცენა, მთელი ეს მონაკვეთი, რათა ნაკითხული ვეღარ გაგვიგივივებინა ჯარიდან ჩამოღწეულ ამბებთან, რომელსაც საბჭოთა იდეოლოგია ანტისაბჭოთა ლაყბობად და მონაჭორად იხსენიებდა და შანთით დასდევდა მის გამჟღავნებას ზეპირად, თორემ გაელვებოდაც არსად გაიფრებოდა წიგნებსა თუ პერიოდიკაში.

და აი იმ დაგონებული რუსული და შესაბამისად ქართული გამოცემების შემდგომ, ამდენი წლის თავზე უნდა გავცნობოდით მარო ვარგას ლოსასს ამ ერთ საუკეთესო რომანს, სულაც გვირგვინის მისი შემოქმედებისა, ლანა კალანდიას დიდებული თარგმანის ნყალობით, „ინტელექტი“ „აკრძალული წიგნების თაროს“ სერიით რომ მოგვანვინდა და განგვაცდევინებდა პერუელი მწერლის მხატვრულ ძალმოსილებას, დიდი ლიტერატურის მადლს გვაზიარებდა, ქართულ მთარგმნელობით ხე-



ლოგინს, ამღერებდნენ და აცეკვებდნენ კარადის თავზე, მიბაძინებდნენ კინომსახიობებს, გააპრილებინებდნენ მრავალწყვილ ჩექმას, აალოკინებდნენ ენით იატაკის ფილაქანს და...

შემდეგ რასაც აიძულებდნენ, იმის გადმონერას მოვერიდები.

ეს ყველაფერი თავბრუდამხვევი ციბეცხელებასავით ჩაივლიდა, ეს კომპარტი პერსონაჟზე არანაკლებ რომ დაზაფრავდა მკითხველსაც, თუმც ამით რომანის მხატვრული სამყაროს გასაღებსაც მისცემდა ხელთ.

ამ გასაღებს გამოგლეჯდა ცენზურა ხელიდან საბჭოთა სახელმწიფოში მცხოვრებ მკითხველს, რომელიც მისაკვლევს მაინც მიაკვლევდა თხრობის მდინარეებში და შეიგრძნობდნენ მწერლის ხელოვნებასაც და ძალადობრივი სისტემის მთელ საზარლობასაც, რასაც ამოად აჰფარებოდა ფარისევლური მორალი.

პერუში რომ აღმოჩნდებოდა აკრძალულ წიგნთა სიაში „ქალაქი და ძაღლები“, რა გასაკვირია, ანკი იოლად როგორ აპატიებდნენ მარო ვარგას ლოსასს ამ ვეება სარკის აყუდებას თვალწინ, მაგრამ საბჭოეთში რატომღა მოინდომებდნენ რომანის დაჩხვას? განა მთლად მისწრება არ გახლდათ ხელისუფალთათვის, თუ როგორ ექცეოდნენ პირველ კურსელებს პერუს სამხედრო სასწავლებელში?

ლოვნებას კიდევ ერთი მონაპოვრით რომ გაამდიდრებდა.

ლეონსიო პრადოს კადეტის ყოფას შიგნიდან დაინახავდა ლოსას, რადგან თვითონაც გამოეცოდა ეს სასწავლებელი და ყველა მთავარ პერსონაჟს გაუიგივებდა თავს.

აკი გულახდილად აღიარებდა პროლოგში:

ბავშვობისას რაღაცით ალბერტოსაც ვგავდი და იაგუარასაც, ველურ კავასაც და მონასაცო.


იაგუარასაც და მონასაც ანუ — მკვლელსაც და მსხვერპლსაც?

ლიტერატურამ იცის მსგავსი პარადოქსები, დიდი მწერლები ამგვარ პარადოქსებშიც რომ იჩენენ ხოლმე თავს, ამ რომანში კი იმ პარადოქსის მონმეც უნდა შევიქნათ, სამხედრო სასწავლებლის ხელმძღვანელობა რომ ამჯობინებს, თვალი დახუჭოს მკვლელობაზე და კადეტის დალუპვა მის გაუფრთხილებლობას, უბედურ შემთხვევას მიაწეროს.

ალბერტოსაგან იციან მკვლელის ვინაობა.

იაგუარი თვითონაც აღიარებს.

მაგრამ სამხედროები მთელი ძალ-ღონით ცდილობენ მკვლელობის ჩაფარცხვას, შანტაჟით ემუქრებიან ალბერტოს, ყურად არ იღებენ იაგუარის თვითღიარებას და არც თავიანთ კოლეგას დაინდო-



ბენ, ლეიტენანტ გამბოას, და სასწავლებლიდან გაუშვებენ, რადგან მის პატიოსან ბუნებას ვერ წარმოუდგენია ამ საქმის გაყალბება და ჩაფარცხვა და იმ სიმართლის მხარესაა, არავის რომ არ ანაღვლებს, მეტიც — აბრაზებთ და აგულისებთ, რადგან მაშინ ხომ თვალთმაქცობისა და ფარისევლობის შენობა ერთბაშად დაემხობათ თავზე.

ეპიგრაფად რომანს ჟან-პოლ სარტრის ეს სიტყვები რომ წამძღვარებია:

— ჩვენ ვთამაშობთ გმირებს, რადგან ლაჩრები ვართ; წმინდანებს — რადგან მზაკვრები ვართ; მკვლელებს — რადგან ერთი სული გვაქვს, მოვკლათ მოყვასი; ვთამაშობთ, რადგან ფლიდებდა გავჩნდით.

პროლოგში მარო ვარგას ლოსას აღნიშნავდა იმ გარემოებასაც, ამ წიგნის დაწერას ლიტერატურის პასუხისმგებლობის შესახებ სარტრის შეხედულებაც რომ გააბედინებდა, და კიდევ ანდრე მარლო — რომლის რომანებსაც ნთქავდა; და კიდევ — დაკარგული თაობის ჩრდილოამერიკელი მწერლები, რომელთაც უსამანოდ აღმერთებდა, განსაკუთრებით კი უილიამ ფოლკნერს.

ამ ცომით მოხელილიყო მისი ეს პირველი რომანი წარმოსახვასთან, ახალგაზრდულ ოცნებებსა და ფლობერისეულ დისციპლინასთან ერთად.

ეს მწერლები — და გამორჩეულად მაინც ფოლკნერი — არ მისცემდნენ უფლებას, ოდნავ მაინც შეელამაზებინა რაიმე, ან თვალთავან მოეფარა, დაე ყოველივე გამიშვლებულიყო ძირისძირობამდე, სწერილმანებამდე და ნიუანსებამდე — ყოფითი რეალობის საზარლობაც და ადამიანის სულის უფსკრულებიც, რათა ზედაპირზე ამოჩენილიყო ძალადობისა და ფარისევლობის მთელი არსი.

უნდა გაეძლო ახალგაზრდა მწერალს, რომ მისი რომანის ხელნაწერი მიუსაფარი სულივით იხეტიალებდა გამომცემლობიდან გამომცემლობაში, ვიდრე მისი მეგობრის, ფრანგი ესპანოლოგის კლოდ კუფონის ნყალობით „სეიმ ბარალის“ ხელმძღვანელს, ბარსელონელ კარლოს ბარალს ჩაუვარდებოდა ხელთ. მას უნდა მიენიჭებინა წიგნისათვის „ბიბლიოტეკა ბრევესე“ პრემია, თავისი ძალისხმევით აერიდებინა ფრანკისტული ცენზურისათვის და ეზრუნა, რომ ბევრ ენაზეც თარგმნილიყო.

ჩვენც კიდევ ერთხელ ვახსენოთ ის ადამიანები, რომელნიც გზას გაუკავავდნენ წიგნს, რომელიც ყველაზე დიდ მოულოდნელობებს მოუტანდა მის შემოქმედს.

ამ რომანის — „ქალაქი და ძაღლები“ — ნყალობით უნდა ეგრძნო, რომ ის ოცნება ისხამდა ხორცს, რომელიც ბავშვობიდანვე მთავაგონებდა, ერთ მშვენიერ დღეს მწერალი რომ უნდა გამხდარიყო.

წელწელაობით არ შეეცდებოდა მწვერვალთან მიახლოებას, მაშინვე საჯილდაო ქვას წაეტანებოდა, წაეტანებოდა და ერთი აკვრით აზიდავდა, აზიდავდა და იდგებოდა ასე შემართული, აინუშმიც რომ არ ჩააგდებდა პოლიტიკურ აკრძალვებს, რაკილა ადამიანის სულის ხვეულები უნდა გადმოეშალა მოურიდებლად და თვალდაუხამხამებლად, ამისთვის კი დაე ერთმანეთთან შესლილ პერსონაჟებშიც განზავებულიყო.

და მოაქვს მისი სიტყვა ჩვენამდე ლანა კალანდიას ისე, ყველა მწერალი რომ ინატრებდა მეგზურად.



თონა ბითაძე

ჩემი ძველი ლექსებით
ისევ გეაღწევს.
ჩემი ძველი გრძობებით
ჩემად გემშვიდობები.
ჩემი ფანჯრის გადაღმაც
შორი სხივი კიაფობს.
ეგებ, ეს სიყვარული
დრომ არ გააიფოს.

დილით, ადრე, გამაღვიძებს ტელეფონის ხარი;
თითქმის ლამენათევი ვარ;
ნამოვდგები მკვდარი.
ქვევით მიცდის გრძელი გზა და ფიქრის მთელი წყება.
ნეტავ, მე რაც მუდამ მახსოვს,
შენ რად გავიწყდება?

რითმამ მითხრა: დაელოდე მას.
მითხრა რითმამ: აჰყევ გულის ხმას.
ქრება სევდა, თუ გაგხედავ გზას —
ბილიკს, სადაც
შენი ლანდი დგას.

იცო, ბოლო დროს თეთრი ლექსები შემომეჩვივნენ,
ურითმოები, უსათაურონი.
ალბათ, მეტისმეტად დაგროვდა ჩემი სათქმელი
და ველარ ვეტევი რითმის ჩარჩოებში.
მე ხომ აღარც ვამბობ, რომ მიყვარხარ,
ანდა, რაღა მაქვს სათქმელი.
მე ხომ ისე გავცვდი და დავეცი მაგ სიყვარულით, რომ
წამოსადგომად უამრავი ხანი დამჭირდა.
თითქოს თავიდან ვიბადები
და ხელახლა ვსწავლობ ყველაფერს.
შენ არც კი იცი,
(თუმცა, იცი)
ეს რა ძნელია.
ალბათ, ამიტომაც დამშორდი:
რაღაც ახალს სწავლობდი,
სადაც ჩემი ადგილი აღარ მოიძებნა.
არაფერია,
მე სხვის სახეზეც შევეცდები ახლა, ვიპოვო
იმის ნახევარი,
რასაც შენში ვხედავდი.
თუმცა, უნდა ვადიარო:
ძნელია უშენოდ დაბადება
და, საერთოდ,
ყველაფერი ძნელია.

გზა

გზა ისეთი უცნაური რამ არის,
ზოგჯერ მართლა მსურს,
გავიარო დიდზე დიდი მანძილი
და ვაამო სულს.
ზოგჯერ გზა ჰგავს უსასრულო გორგალს და
არ დასრულდეს, გასურს,
თუკი თვალწინ მოციმციმე ღიმილმა
ფერი მისცა სულს.

სინანული

ვწუხვარ, რომ ნელა, თანდათან
უკან ჩამომრჩა ბავშვობა.
ეჰ, მე კი ჯერაც ვერ ველევი ჯინსს
და მაკიაჟით გარეთ გასვლაც მეტაკილება.
თითქოს, მზად არ ვარ,
მედგრად შევხვდე მოსულ დიდობას.
ჩემი ლექსები ისე მიყვარს, როგორც ზამთარში
ციცქნა ქალაქში მოციმციმე ბევრი ფანჯარა,
გაცრეცილი სახე და რაღაც ახლის მოლოდინი,
გულს რომ ათრთოლებს.
მე ისე მიყვარს (გეცინება?) ასტრიდ ლინდგრენი
და თან მრცხვენია,
დედასაც კი ვერ ვეუბნები,
რომ ვერ იქნა და ვერ ვიგუე დიდის ნიღაბი,
სილუეტი მაქვს მხოლოდ ისე, თითქოს დავქალდი
და ხშირად ცრემლებს ისევ უნდათ, გზა რომ იპოვონ
და ჩემს სახეზე ნება-ნება ჩამოიბინონ.
მერე ტუჩებმა იგრძნოს მათი მლაშე გემო და
დამ ჩამიხუტოს, ანდა — დედამ
და დამამშვიდოს.
როგორ მრცხვენია!
ვერ ვიტოვებ უკან ბავშვობას.

მაპატიე

ახლა შენი ბოდიშიც მაქვს
და ის სიტყვაც: მ ა პ ა ტ ი ე.
ჩემი ბედნიერებისას
მკაცრად ითხოვ გარანტიებს.
მე ვერაფრით ვერ გამშვიდებ,
ვერც ვერაფერს დაგპირდები,
ერთ სიტყვასაც აღარ გეტყვი,
შინ წავალ და
ავტირდები.

**PER ASPERA AD ASTRA
ეკლიანი გზით ვარსკვლავებისაკენ**

მანაც ვივლი!
მეყვარება
სწავლა, ფიქრი, წერა.
ვერ შემომლის ხელს ეს სევდა,
ხომ ვერც შემაჩერა?!
ვივლი ვარსკვლავებისაკენ,
ამის მართლა მჯერა,
რომ მივალწევ მე იქამდე,
თუმცა — per aspera.

უშინაარსოდ განოლილან ძველი ქუჩები,
მავსებს მონყენა და არ ვიცი, რისთვის რა მიჯობს.
თბილი ხელებით, თბილი სიტყვით, თბილი ტუჩებით
იქნებ გულიდან ეს ნალველი ამომავლიჯო.
შარშანდელივით მოგვეახლა წელსაც ზამთარი
და ფრინველების მიმოფანტვის ცივი დრო არი.
გადაფრენილთა მონატრება — მწარე საგზალი,
ეს არის ჩემი მტკივნეული მონაპოვარი.
უშინაარსოდ მთავრდებიან ძველი ქუჩები,
გაუცხოების მტვერში ლამის თავი დავიხრჩო.
თბილი ხელებით, ანდა უფრო — თბილი ტუჩებით
იქნებ, გულიდან ეს ნალველი ამომავლიჯო.

ვედრება

წავიდეთ ჩვენი ქალაქებიდან,
დავტოვოთ ძველი სამყოფელი და გზას გავუდგეთ,
ისეთ გზას, ჩვენ რომ ხშირად გვივლია
და გვინატრია, არ დასრულებულყო.
წამიყვანე ამ ხმაურიდან.
იქ წამიყვანე, სადაც უნდა დავბადებულყოფი,
მაგრამ მშობლებმა შემიშალეს ხელი:
იქ არ დასახლდნენ,
სადაც ახლა მინდა ცხოვრება,
რასაც ვერ ვაგნებ,
რადგან არასოდეს მინახავს.

ავტობიოგრაფია

ავდექი. სარკეში ვიყურები
და მეტად ბუნდოვანი ფიგურები
ისევ ამშვენებენ ხსოვნის კედელს.
სასწრაფოდ ღიმილი მივიწებე
ტუჩებზე — ხმელსა და უფერულზე.
არ გიკვირს? ამხელა სევდას ვუძლებ
და მიძინებული ფიგურები
სდუმან, როცა უკან ვიყურები.

თვალწინ გაიშალა ძველი პეიზაჟი,
ზოგჯერ მოგონება მწარე ეკალია.
გულში სევდას ღვრიან ძველი ნაბიჯები,
როცა ზამთრისფერი თმაში შეგპარვია.
როცა სიყრმის სოფელს თავზე წვრილად აწვიმს,
გულში ისეთი ხარ, თითქოს მეორდები.
რაღაც უსასოოდ კვდება ხასიათი,
როცა წარსულიდან შენს თავს ელოდები.

სახლში წამიყვანს

მე დიდხანს ვფიქრობ და ყოველ სიტყვას
დაფიქრებული ვზომავ და ვარჩევ.
ხანდახან, მინდა, დამადნოს წვიმამ,
ანდა უბრალოდ, ფიქრებში ჩავრჩე.
ხან მიყვარს დილა, ხან — თავად ღამე,
ხან სულ არ ვიცი,
მართლა რა მიყვარს.
ამ დროს, მგონია, დედა მოვა და
ფიქრით დაქანცულს
სახლში წამიყვანს...

საკუთარ თავს

ხანდახან, ღამით, დიდხანს არ მძინავს
და საკუთარ თავს ლექსებს ვუყვები.
თან მეუფლება სიმშვიდის განცდა
ამ ღამეული გასაუბრებით.
მერე კი მავსებს მუსიკა ჩუმი,
გარშემო მახვევს ბურუსის ტალღებს.
ათრთოლებული თითებით ვხვდები,
რომ აღმაფრენის ახალ კარს ვაღებ.
მერე ქალღმერთად ვადმოიცლება,
რასაც ბოლომდე ვერ გეუბნები...
ამიტომ, ზოგჯერ ღამით არ მძინავს
და საკუთარ თავს ლექსებს ვუყვები.





ილია გველესიანი

ბებერი ღამე
ღია სარკმელში
იდგა ცერცვითა დედაკაცით
და კენჭებით
მიყრიდა სახლში
უაზრო ბგერებს
მთვრალი კაცების.

შენ კი გეძინა
(ალბათ, გეძინა!)...
იყავი მშვიდი
და უშფოთველი.
მე უძილობის
გეინძავდი ნუთებს,
რომ მესახსოვრა
შენთვის თილისმა.

ოცნებითა და
დარდით დაღლილმა
ღამეს მივანდე
ჩემი სხეული:
ჩავაქრე შუქი
და ამოვავე
ჩემი ოთახის
სივრცე სიბნელით.

სველ ნამნამებზე
დამინვა ღამე,
შემომახვია
დონდლო სირბილე
და ბელურების
ჟივილ-ხივილში
ახალი დილა
იმშობიარა.

ტატოს

გაღმა სიჩუმეა, გამოღმა — სიბნელე,
სამკუთხა ბარათებს არ ვიღებ ომიდან.
სხვისი წარსულიდან მომძახის სიბერე:
— რა ხალხი წავიდა, რა ხალხი მოვიდა!

აჰა, მეგობარო, მზის სხივის ნამცვრევი,
სულში ჩაიბნე — ვიმდგროთ „ვორიდა“,
თორემ ამ ქვეყანას აღარ ჰყავს დამცველი.
— რა ხალხი წავიდა, რა ხალხი მოვიდა!

მზე ისევ ამოდის. დღეები მიდიან.
მოვდივართ მე და შენ ძალიან შორიდან.
ცაზე გაბასრული ნაჯახი ჰკიდია.
— რა ხალხი წავიდა, რა ხალხი მოვიდა!

დრო იყო, ვბიჭობდით, სახელი დაგვქონდა...
ვინ დაგვანყებინებს ცხოვრებას თავიდან.
გახედე, რასა ჰგავს — ქვეყანა აქოთდა...
— რა ხალხი მოვიდა, რა ხალხი წავიდა!

კვლავ აირია ამინდი ჩემში,
კვლავ დაიჭირა მკაცრმა ყინვებმა.
ისევ დამტოვა ლაჟვარდმა ჩემმა,
რადგან მზის სხივმა ასე ინება.
დრო ღონიერი,
უხეში,
მკაცრი,
ნიაღვარივით მოედინება;

მიედინება და ჩემში ტოვებს
ნაფურთხს,
ზინზულსა და
ლანძღვა-გინებას.
მე ახლა აქ ვარ, სადაც ნიღბიან
კაენის ჩრდილი შენ გაშინებდა.
მოკითხვას გითვლი!..
და ჩემი ფიქრის
ბაგე შორეულ კალთას მინებდა.
მისკენ ვიდოდი, მაგრამ შემაკრთო
ცისკენ სავალმა ლურჯმა ბორცვებმა.
ილოცე ჩემთვის, იქნებ უშველოს
ყინვისგან დამზრალ ჩემს სულს ლოცვებმა...
ახლა სილალის დრო აღარ არის,
ლიმილი იქცა ფშუტე თავთავად.
ახლა სიცოცხლე ბარდება წარსულს,
სიკვდილი იქცა ანმყოს სათავედ.
ვედარ აღვიქვამ ფერთა სიუხვეს,
ნათელი მზერა ცრემლმა ჩაკეტა.
ფიქრის გუბეში დამეხრჩო მთვარე
და ბნელში მეშვა სასონარკვეთა.
კვლავ აირია ჩემში ამინდი,
კვლავ დაიჭირა მკაცრმა ყინვებმა.
მარტო დამტოვა ლაჟვარდმა ჩემმა,
რადგან გაფრენა მზისკენ ინება.

ავტობორტები

ავტობორტრეტი იწყება სარკით...
სარკიდან — ფერი, ფერიდან — ხაზი,
ხაზიდან — სუნთქვა, სუნთქვიდან — ქარი,
ქარიდან — წვიმა, ცვარი და ვაზი;
ვაზიდან ღმერთმა შემიქმნა სული
მოჩუქურთმებულ თმითა და ჯვართ...
მხიბლავს ზამთარი, ქარს რომ ამღერებს
და ცაზე ცეკვავს ღრუბლების ჯარი;
ამ დროს ჩემს სულსაც სწადია ფრენა,
მაგრამ სხეული უღმერთოდ ტანჯავს.
მე კი ამ ტანჯვას იმედებს ვუქსოვ,
ვეფერები და ვუსინჯავ მაჯას.
ვაქებ სიცოცხლეს გარდასულ დღეთა,
მიყვარს წარსულის ფერთა ჩრდილები.
ვერაფერს ვუგებ უნიჭო ანმყოს,
არც მის სიახლეს ვემორჩილები.
ნუ მკითხავ, ვინ ვარ!..
ნუ მკითხავ, სად ვარ!..
მეც პატრონი ვარ შენსავით ამ ცის.
ჩემში ყაყაჩოს ბრდღვიოლებს ფერი,
სახელი დამაქვს ქართველი კაცის.
არა მაქვს წვერი გრძელი და ხშირი,
ვურტყამ ხშირ-ხშირად სიგარეტს ნაფასს.
ვერსად ვიცილებ ჭალარა ჩრდილის
ლოყებდაბერილ პროფილს და ანფასს.
მიმახინჯებენ როდესაც ენას,
ნიაღვარივით მასკდება ბრაზი.
სხვისგან ნაპარავ სიტყვას და საქმეს
ჩემში არასდროს ედება ფასი.
დავეხეტები აღმა და დაღმა,
რაც მთავარია, — გარეშე დაცვის.
ზოგჯერ ვეხვევი მუხას და ალვას,
ზოგჯერ კი — ვკოცნი ვარდსა და ნარცისს.
ფრინველებიდან მიყვარს კოლიბრი,
კიდევ ბუ მიყვარს და კიდევ — ლალა.
ყოველთვის ვჯდები უკანა რიგში,
ღვთის გარდა არვის ავყურებ მაღლა.

ყოფილა ასეც: ვცეცხლავარ კრავად
და გამომისხამს ღიჭი და ქაცვი,
ზოგჯერ შენსავით ხმის ჩახლეჩვამდე
მიღრიალია: — იგი ჯვარს აცვი!..
მე ჩემი წილი ცოდვები დამაქვს
როგორც კაცს (აბა, არ ვარ მესია),
მაგრამ არასდროს არ გამიცვლია
სხვაზე სამშობლო და ეკლესია.
არ დავიღლები მათ სიყვარულში,
მათთვის მტკიოდეს ქედი და მუხლი.
ჩემი ანმყოდან სალამი წარსულს!
თავს მონინებით მიწამდე ვუხრი.

**გვიანი მინანარი ნიგნა
„სამოსალი პირველი“**

დასალიერზე ცა გაიბზარა,
ბაცი სხივებით მზე ქსოვს განთიადს.
ღამენათევი ყვითელი ღამფა
ჩემს მაგიდაზე დგას
და ანთია.
ჩაიგუგუნა მინის ქვეშ მეტრომ,
ცარიელ ქუჩას შეჰყეფა ძაღლმა.
მე კი უღირსი კაცივით მივსდე
ზეციურ ძახილს,
და ვერ ვგრძნობ დაღლას.
თუმცა,
სადღაა შეგრძნება დაღლის,
მასხია ფრთები,
მივფრინავ მაღლა.
დედამინა კი — ბუტაფორია —
ბუბუვიტ მოჩანს ჩემს ფეხქვეშ ახლა.
ასე უცხოს და
ასე მახლობელს
თვალანთებული მივაპობ სივრცეს.
სიტყვა, რწმენაში
გამოქარგული,
მზრუნველ შვილივით
მკლავებში მინევს.
ჩემი სამშობლოს ხმებსა და ფერებს
ნიგნში ვეკტავ და
ნიგნს ჩუმად ვხურავ.
არ დამდგარიყოს თითქოსდა ღამე,
ისე თენდება,
ბატონო გურამ!

უსასრულობა

მზერა ირეკლავს სივრცეს,
სივრცემ არ იცის, ვინ ვარ.
მკვდარი შვილივით მინევს
სულის სიღრმეში ყინვა.

ცრემლში სიჩუმე რეკავს,
გზად თანამგზავრი არ ჩანს.
გულს ამოვაძრობ ეკალს,
ეკლით გადვიჭრი მაჯას.

კივილს დაინყებს ქარი —
ყორნებს დაიფრენს ფრთებით;
მიჯახუნებულ კარის
ხმას მიიტაცებს მთები.

გამიცოცხლდება ყინვა,
ტკივილს კბილებით დავხრავ.
გულს ამომხდება გმინვა:
— ადამიანო, სად ხარ!

ჰენდამი

ხარ ვერმეერის ცოცხალი ტილო,
მისია შენი ხაზი ყოველი.
როცა მოგწყდება ბაგიდან შუქი,
ციდან ვარსკვლავთა თოვას მოველი.

შენს სილამაზეს ლექსად აღვწერდი,
რომ ვყოფილიყავ კარგი მგოსანი.
გეხვევი ისე, როგორც მლოცველის
თითებს ეხვევა კრიალოსანი.

გამომიჭერი ცაზე სარკმელი
და დამანახვე ღმერთის დიდება.
ჩვენი სიცოცხლე ერთმანეთს ერთვის,
უერთმანეთოდ გაგვიჭირდება.

ცხოვრება გადის, შენ არ ბერდება,
მზრებზე გასხედან წრელი პეპლები.
თუკი ზამთრი თეთრად შეგმოსავს,
გაზაფხულს მაინც არ გაეყრები.

ხარ ვერმეერის ცოცხალი ტილო,
თავსაფრითა და თეთრი საყურით.
მშვენიერების შენ ხარ მხევალი,
ბედნიერების მე ვარ მსახური.

მომხმარებელი დაურეკა. ენა თითქოს ჯაჭვებით დაუბამთო, ისე ლულულულებდა. ოღონდ ხმა ისევ ისეთი ჰქონდა, თავისი.

ტელეფონს ორივე ხელი ჩასჭიდა და ყურზე მიიბჯინა, დაიძაბა, რომ ყველა სიტყვა გაეგო.

— ვინ ხართ? — კითხა, — თქვენი ნომერი მინერია ტელეფონში უცნაური სახელით — „ყვავილების კონა“... ვერაფრით გიხსენებთ. ვინ ხართ?

ყურები დაუგუბდა, ყელში ნერწყვი სქელი მუხლუხოსავით გაეჩხრა, მუხლებზე მონყვევით დაეცა:

— დაივიწყე... ნამშალე... არავინ ვარ, არავინ... — ამოიჩურჩულა. მერე კი თითქოს მთის ჩაგუბებული მდინარე ჯებირიდან გადმოიქცაო, ისე ატირდა.

ის ღამე თავზე ჩამოათენდა. მთვარეულივით დადიოდა ოთახში. ხან მრგვალ მაგიდასთან იჯდა და გარდასულ დღეებს იხსენებდა, ხანაც წევებოდა, ლოგინში წრიალებდა, ბორგავდა. გამთენიისას, როგორც იქნა, ჩასთვლიდა და გაზაფხული დაესიზმრა.

სიზმრები

გათენებულიყო. მაისის მზე ნაწვიმარ მინას აპრობდა. ოთახში ნაბლის ყვავილებში შეყუჟული ჩიტბატონების ლულუნი ისმოდა. კონა გულაღმა იწვა და სიზმრის სიზმარზე ფიქრობდა. თერთად შეღებულ ხის კარზე ვილაცამ დააკაკუნა. ნამოხტა, ყვავილებიანი ხალათი შემოიცვა და შემოსასვლელისკენ ფეხშიშველი გაიქცა:

— ვინ არის? — იკითხა. თუმცა იცოდა, ვინც იქნებოდა. ალექსის ხმა გაიგონა თუ არა, ოვალურ სარკეში ჩახედა, წელამდე დატალღული თმა შეისწორა და საკეტი მკვირცხლად გადაატრიალა, — მესიზმრებოდი, — სახეში შესცინა...

მერე ირმებამოქარგული შირმის იქით რკინის საწოლზე იწვნენ. ალექსის გულზე მარწყვით სავსე კალათი დაედგა, ყველაზე მნიშვნელოვანებს არჩევდა და კონას აჭმევდა.

— ადრე აქ სამშობიარო ყოფილა, — ძლივს ასწრებდა ხმის ამოღებას კონა.

— ამიტომაც ჩამესმის ხოლმე ბავშვების ტირილი? კედლებს ხომ მეხსიერება აქვთ...

— ჩვენი ხმაც დარჩება? — შენი სიმღერებიც...

წვიმდა. ოთახში სიმღერის ხმა ისმოდა. კონა ლოგინზე ფეხმორთხმით იჯდა. ზენარი ტანზე შემოეხვია, გიტარა მოემარჯვებინა და მღეროდა. ალექსი აკვირდებოდა, როგორ მოძრაობდა მისი ცხვირის პანანა ნვერი ზევით-ქვევით, როგორ იხსნებოდა და იკუმებოდა ვარდისფერი ტუჩები, როგორ ეჭიმებოდა გრძელ, თხელ კისერზე მყესები, როგორ უფეთქავდა ლავინის ძვლის ღრმულში ძარღვი...

მერე დიდ ოთახში მრგვალ მაგიდასთან ისხდნენ. აივნის მაღალი, ზევით მომრგვალებული კარები გამოეღოთ. ოთახში მზის სხივები იჭრებოდა და ჰაერში მოფარფატე მტვრის უხილავ ნაწილაკებს ვასცემდა.

— რატომ დაგვარქვეს კონა, ადრე ეს სახელი არასდროს გამოგია, — ალექსი სიგარეტს ეწეოდა, ჩაფიქრებული კონას შესცქეროდა.

— სინამდვილეში სულ სხვა სახელი მქვია, — კონა ყავას სვამდა, თან ეშმაკურად ილიმებოდა.

— მეზუმრები?

— მამამ ევა დამარქვა. მის ნავსაც ევა ერქვა. დედას არ მოსწონდა ეს სახელი, ყოველთვის კონას მეძახდა.

— წელიწადზე მეტია, გიცნობ და ახლა ვიგებ შენს ნამდვილ სახელს?

— სამსახურში ყველა ევას მეძახის, მარტო შენთვის ვარ კონა. გახსოვს, რომ დაგირეკე? არ ვიცი, იმ წამს რა დამემართა, ვიფიქრე, თუ ვეტყვი, კონა მქვია-მეთქი, მარტო ეს გადამარჩინა.

— შენ ხარ ჩემი ყვავილების კონა, თავბრუდამხვევი, სურნელოვანი... საიდანღაც იასამნების სურნელი მოჰქონდა მდინარეს. მწვანე ბალახზე ახლადგაფოთილი ცაცხვის ტოტებქვეშ იწვნენ. დანალღლიანებული კონა მდინარის გაღმა იყურებოდა. ალექსის მის კალთაში ჩადო თავი, დროდადრო სახეზე ასცქეროდა. სამსახურში გადახდენილ ამბებს უყვებოდა, ცდილობდა, გაემხიარულებინა:

— წუხელ მორიგე ვიყავი. გამთენიისას თანამშრომლის ქმარი მოიყვანეს, დიაგნოზი — ასოს მოტეხილობა.

— ასეთებიც ხდება? — ფიქრებიდან ძლივს გამოერკვა.

— რალაც უხერხული მოძრაობა გავაკეთე და საშინლად მეტკინაო, არხეინად ყვებოდა ცოლის წინაშე.

— უღალატა? და თქვენს საავადმყოფოში რატომღა მოვიდა, ხომ იცოდა, რომ იქ ცოლი დახვდებოდა?



— მხოლოდ მას ანდობს და რა ქნას? კონას არ გაეღიმა, ისევ ფიქრებში ნავლიდა.

— და შენი ცოლი... როდის ელოდება? — კარგა ხნის მერე იკითხა, სახეზე მაშინვე სინითლემ გადაურბინა.

— ერთ თვეში, — ალექსიც მოიღრუბლა.

კონა ფეხზე ნამოხტა და მდინარისკენ გაიქცა. ნეტავ შემეძლოს, ავდეგ და გადავხტეო, ერთი კი გაიფიქრა, მაგრამ ალექსის ზურგიდან მალევე მიუახლოვდა. ლონივრად შემოხვია ხელები. თავი მზის სხივებზე ოქროსფერად აბრწყვილებულ მის თმაში ჩარგო:

— რა ლამაზი ხარ... ყველაზე ლამაზი ქალი ხარ, ვინც ოდესმე მინახავს... იღბლიანი აღმოვჩნდი, რომ ყველას დავასწარი, პირველმა შეგიყვარე...

— მეც მინდა შეილი, ჩვენი შეილი... — ამოიჩურჩულა კონამ და გულამოსკენილი, ბავშვივით ატირდა...

მერე ისევ წვიმდა. ხალთამთის ქუჩაზე ძველებური ფრესკებით მოხატულ სადარბაზოში შერბოდნენ. წვიმისაგან მთლად გალუმპულეები გვერდზე მოქცეულ კიბეზე არბოდნენ. შიშვლები იწვნენ რკინის საწოლზე. ხმამაღლა იცინოდნენ. მრგვალ მაგიდასთან ისხდნენ. ალექსი სიგარეტს ეწეოდა, კონას არ აცილებდა თვალს. კონას ისევ ყვავილებიანი ხალათი ეცვა, კატუშა ბეზიას არწივის ფეხებიან ლარნაკში ტიტებს სათითაოდ აწყობდა, თვალბუმი ვარსკვლავები უცმიციმებდა. ვარსკვლავები თანდათან ფერმკრთალდებოდა. იქნებ უკვე ჩამქრალიც იყო, მაგრამ სიზმარში მათი ნათება ისევ გრძელდებოდა.

ქლიავის ჯემიანი ფუნთუშები

როცა ერთმანეთი პირველად ნახეს, სიმოცხბითი იყო, 19 ნოემბერი. კონას ეს დღე მის ცოცხლის ბოლომდე ახსოვდა. შესაძლოა იმიტომ, რომ მეორე დღეს ოცდაერთი წლის ხდებოდა. ან იმიტომაც, რომ ხალთამთის ქუჩაზე ორი თუ სამი თვის გადმოსახლებული იყო და ახალი ცხოვრების დაწყებას ცნობისმოყვარე ბავშვივით გულისფანცქალით ელოდებოდა. მას შემდეგ, რაც თალასის მახლობლად, პატარა სოფელ კარაველაში, მშობლებისეული სახლი გაყიდა და ავღეთში გადმოვიდა საცხოვრებლად, მაკლერმა დაბნეული და ცოტათი შეშინებული პირდაპირ ამ ბინაში მოიყვანა. ბინა ერთოთახიანი იყო, დიდი,

მაღალჭერიანი და ნათელი. ირმებამოქარგული შირმის იქით საწოლი, ტანსაცმლის კარადა და სარკეებიანი ტრელაჟი იდგა. აქეთ — მრგვალი მაგიდა, ტახტი და ფერადშუშანი სერვანტი. ვინრო, ჩაბნელებული დერეფანი პანანინა სამზარეულოსა და კიდევ უფრო პანანინა სააბაზანოში გადიოდა. ოთახს წინ მრგვალი აივანი ჰქონდა.

და და ხალხმრავალ ქუჩას გადაჰყურებდა. მანამდე აქ მარტოხელა მოხუცი, კატუშა ბეზია, ცხოვრობდა. ოთხმოცდამეჩვიდმეტე წელიწადის შესრულებას სამი დღეა აკლდა, რომ მარტოობაში გაბეზრებულმა რკინის ბადიან საწოლზე ძილსა თუ სიფხიზლეში სული დალია. ბეზიას გარდაცვალებით შეწუხებული ერთადერთი შეიღიშვლი გერმანიიდან იმავე დღეს ჩამოფრინდა. კატუშას სხეული, ძვალზე გადაკრული ტყავი, მინას მიაბარა და ბინის ავეჯიანად გაყიდვა გადაწყვიტა. თან საკმაოდ იაფად, რადგან უკან გერმანიაში ექსპრესობდა. კონას ისე მოეწონა იქაურობა, რომ სხვა ბინები აღარც უძებნია, პირდაპირ მისი ყიდვა გადაწყვიტა. ცხოვრებაში, მგონი, პირველად გამომართლაო, ფიქრობდა და ეშინოდა, თავისივე თვალი არ სცემოდა. მერე კი, ყველაფერი რომ მოგვარდა, მანამ, სანამ მე-18 საუკუნის სახლის სადარბაზოში შეაბიჯებდა და ოდნავ გვერდით გადადგომდა, ცხოვრებოდა, დიდხანს იდგა ხოლმე შენობის წინ და ლამაზი იყავებთან, მოჩუქურთმებულ ფასადს აკვირდებოდა. აწი, ყოველთვის გამომართლებსო, უხაროდა.

ალექსის რომ შეხვდა, სახლთან ახლოს, საკონდიტრო „ალუბლებში“ მუშაობდა და იშვიათად თანამშრომელთან, ცისფერთვალა ამირანთან ერთად კინოთეატრ „პრომეთეში“ საღამოს სეანსებზე დადიოდა. მაშინ კონამ არაფერი იცოდა ალექსიზე, არც ის, რომ ოცდაათს იყო გადაცილებული, ცენტრალურ საავადმყოფოში ქირურგად მუშაობდა და დროდადრო სასწრაფო განყოფილებაშიც მორიგეობდა, არც ის, რომ ჰყავდა ცოლი, თამთა და ხუთი წლის გიორგი. ერთმანეთს საკონდიტროში ხვდებოდნენ. ალექსი სახლიდან დილაადრიან გამოდიოდა, მდინარე სიმახ სანაპიროზე გაშენებულ ჭადრების ხეივანში საათზე მეტხანს დარბოდა. სახლში დაბრუნებისას „ალუბლებში“ შევილიდა და საუზმისთვის ქლიავის ჯემიან ცხელ-ცხელ ფუნთუშებს ყიდულობდა.

კონა დანიხავდა თუ არა სპორტულ შარვალსა და ქურთუქი გამოწყობილ შავკეპიან უცნობს, გული საგულედან უფარდებოდა. ხელიდან უცვივდებოდა ფუნთუშების ასაღები ხელთათმანები, მუყაოს ყუთი, ზოგჯერ ფუნთუშებიც. ალექსი ჩაფიქრებული შესცქეროდა, როგორ არჩევდა ალექსის ქლიავის ჯემიან ფუნთუშებს და ათრთოლებული ხელით მუყაოს ყუთში ალაგებდა. მო-

ურიდებლად აკვირდებოდა მაღალ შუბლზე, წუშივით გაჭრილ მწვანე თვალებსა და ალაგ-ალაგ მზისგან გადახუნებულ ხეულ თმაზე. თითქოს რალაცის გახსენებას ცდილობდა. კონა გაუნდებოდა ყუთს, მაგრამ თვალს ვერ უსწორებდა. ალექსის მზერას თუ ნაანყებობა, სინითლე გადაუვლიდა მარმარილოსავით ფემკრთალ სახეზე.

ერთ დილას უცნობი არ მოვიდა. შესრულდა ცხრა, ათი, თერთმეტი. თორმეტზე კონას იმედი გადაენურა. საპირფარეოში შევარდა, საგანგებოდ უცნობისთვის ჩანწული, ზევით ანეული თმა დაიშალა და დაუდევრად შეიკრა. ალექსი „ალუბლებში“ არც მეორე დღეს გამოჩენილა. ასე გავიდა ერთი კვირა, მეორე, მესამე. კონა სულ მასზე ფიქრობდა. ძილის წინ დახუჭავდა თვალს და მის გამოხედვას იხსენებდა. ეშინოდა, არ დავიწყებოდა. „რა სისულელეა, სახელიც კი არ ვიცი...“ — ძილგატეხილი ბუტბუტებდა. „მეგონა, გრძნობა ორმხრივი იყო... ალბათ ვერც მამჩნევდა“, ბრაზობდა თავის თავზეც, მასზეც. „მიყვარს? ეს სიყვარულია? სისულელეა... არ ვიცი, სახელიც კი არ ვიცი“.

ორი თვის შემდეგ, როცა კონას ყველანაირი იმედი გადაენურა, ალექსიმ მხიარულად შეალო საკონდიტროს კარი. თვალბუმი კონას ეძებდა. დინახა და ყურადღებით დააცქერდა. კონას გული ყელში მოეჭვინა, სისხლი სახეზე შემოაწვია, ფეხზე ნამოხტა, მაგრამ ერთი ნაბიჯი გადადგა თუ არა, საფეთქლებში საშინელი მზურვალეობა იგრძნო, თავბრუ დაეხვა, ფეხქვეშ მინა გამოეცალა და იქვე ჩაიკეცა.

— ნუ მიხევევით, ჰაერი სჭირდება, — ალექსი გონწასულს მივარდა, ხელში აიყვანა და მოშორებით მდგარ ტახტზე წამოაწვინა. პულსი შეუმონმა. ცივი წყალი მოატანინა და საფეთქლები დაუზილა. კონა გონს მოვიდა. ალექსის შეხედა. გარს შემოხვეული ამდენი ხალხი რომ დინახა, შერცხვა და წამოდგომა დააპირა.

— ცოტა ხანს იწექი, უცბად ნუ ადგები, — ალექსიმ მხრებზე მოკვდა ხელები და ისევ ტახტზე მიაწვინა, — ყველაფერი რიგზეა, ნუ გეშინია, უკვე კარგად ხარ, — ფეხზე წამოდგა, კონას შემკრთალ სახეზე კიდევ ერთხელ დააცქერდა და ხელში თავისი სავიზიტო ბარათი მიაჩჩა:

— ექიმი ვარ, თუ რამე დაგჭირდეს, დამირეკე, არ მოგერიდოს, — უხერხულად გაიღიმა და საკონდიტროდან ისე გავიდა, ფუნთუშების ყიდვაც კი გადაავიწყდა.

სამი დღის შემდეგ, შუადღეს, როცა საკონდიტროში შესვენებლად გასული ხალხის რიგი არა და არ წყდებოდა, კონამ მწვანე პალტო შემოისხა და ქუჩაში გავარდა. თანამშრომლების გაოცებული სახეები ვერც შეამჩნია. „ალუბლების“ გვერდით პატარა სკვერი გადაიარა. ხეტიტები ბალში აყვავებდას იწყებდა და სურნელებში ხვევდა რკინის მერხ-სკამებზე ჩამომსხდარ აველებებს. ტროლეიბუსის განჩერებას გასცდა და ფოსტის კედელზე ჩამოკიდებულ სატელეფონო ჯიხურებთან მიიღებინა. ტელეფონის მძიმე ყურმილი აიღო, მონეტა მოამზადა და უკვე დაზვიერებული ნომერი აკრიფა.

— გისმენთ, — გაისმა ყურმილში ალექსის ხმა და მონეტამაც რკინის ტელეფონში მოაღინა წკაპანი.

— მე კონა ვარ, იმ საკონდიტროში ვმუშაობ, თქვენ რომ ყოველ დილით ქლიავის ჯემიან ფუნთუშებს ყიდულობთ... — თქვა და მაშინვე იწანა.

დუმილი ერთ ნამსაც არ გაგარქმებულა, მაგრამ კონას საუკუნედ მოეჩვენა.

— კონა... თავს როგორ გრძნობ? გაგიკვირდება, გელოდებოდი...

ალექსი

ერთმანეთს კვირის ბოლოს შეხვდნენ. ქალაქგარეთ, მყუდრო რესტორანში ივანეს. მაისის ბოლო იყო და ახლადგაფოთილი ტირიფების ქვეშ გამოეტანათ მონწული მაგიდები და სკამები.

კონას ყვითელი კაბა ეცვა. წითელ ღვინოს სვამდა. თითქმის არ ლაპარაკობდა. ალექსის პირისპირ იჯდა და ყურადღებით უსმენდა.

— ლისაბონში ვიყავი ორი თვე. ჩემი ფანჯრები მდინარე ტახოს გადაჰყურებდა, — ალექსი დინჯად ლაპარაკობდა, კონას თვალს არ აცილებდა, — ყოველ დღე კლინიკაში დავდიოდი, ნეიროქირურგიის განყოფილებაში, ოპერაციებს ვესწრებოდი...

უცნაური ორგანო ადამიანის ტვინი, ამო-
უსხნელი, ათასი საიდუმლოს მატარებელი... ერთხელ მედიცინის მუზეუმშიც წავე-
დი. ტრეპანირებული თავის ქალები ვნახე.
ძველ დროში, როცა ადამიანს თავი ძლი-
ერ სტკიოდა, პირველი ექიმები, ალბათ შა-
მანები ან ქურუმები, ზედ შუბლის ძვალზე
სამ ხვრელს უკეთებდნენ. ქალაზე ძვლის
ზრდა ჩანს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ოპ-
ერაციის შემდეგ ავადმყოფი ცოცხალი
რჩებოდა. მეტიც, ტკივილიც უწყურდებო-
და, რადგან ეს პრაქტიკა ევროპაში მე-18
საუკუნემდეც კი გრძელდებოდა. პრეის-
ტორიულ ეპოქაში კი სწამდათ, რომ ქალა-
ზე გაკეთებული ხვრელებიდან სნეულის
თავში გაბატონებულ ავსულებს — დემო-
ნებს — დევნიდნენ. ტკივილი კი ყოველ-
თვის ბოროტ ძალებს უკავშირდებოდა...
კარგად თუ დააკვირდები, ეს ხვრელები
ქალაზე ისეთ ნერვულ დაბოლოებებთანაა,
რომ ტრეპანაციას შედეგი მართლაც უნდა
ჰქონოდა. მაგრამ რანაირად ან საიდან ამ-
ხელა ცოდნა პირველყოფილ დროში? —
მხრები აიჩეჩა და ღვინო მოსვა.

— ამხელა ტკივილს როგორ იტანდნენ,
მაშინ ხომ ნარკოზიც არ იქნებოდა? — იკ-
ითხა კონამ.

— აძლევდნენ მცენარეულ ან სოკოვან
დამამშვიდებლებს, ხან სულაც არაფერს
და პრიმიტიული იარაღებით შუბლის ძვა-
ლს უხვრეტდნენ.

— წარმოუდგენელია, — ამოიჩურჩუ-
ლა კონამ.

სიტყვებს ეძებდა, რომ კიდევ რაიმე
ეთქვა, მაგრამ ალექსიმ დაასწრო:

— შუადღის მერე სულ ერთსა და იმავე
კაფეში ვსადილობდი. „სანტა აპოლონიას“
უბანში, Rua do Paraiso-ს ქუჩაზე, ერთი ჩვეუ-
ლებრივი, უბრალო კაფე ამოვიჩემე. საუ-
კეთესო მზარეული ჰყავდათ — ბრანდილი-
ელი კოჭლი მოხუცი, ყოზე. ინგლისური
არ იცოდა, პორტუგალიურად მელაპარ-
აკებოდა. ბევრი სიტყვა მასწავლა. ორ კვი-
რაში თავისუფლად ვუგებდით ერთმანეთს.
„ბაკალოს“ ვუკვებოვდი, გრილზე შემწ-
ვარ რვაფეხს, „დორადოს“... საოცრად
ამზადებდა... საღამომობით იქაურ კოლე-
გასთან ერთად ფადოს მოსასმენად მიე-
დიოდი. ენრიკო სულ მხიარული იყო, ოპ-
ერაციებზეც კი ოხუნჯობდა... მხოლოდ
ფადოს მოსმენისას სერიოზულდებოდა,
კაშხანი აწვევდა... — ალექსის თითქოს
სინჯის ემინიაო, გაუჩერებლად ლაპარა-
კობდა, — შაბათ-კვირას სანაპიროზე
მივყვებოდი მატარებლით Cascais-ში. არ
ვბანაობდით, უბრალოდ ვინჯით ოკეანის
პირას და მზეს ვეფიცებოდით. წყალი
ყინულივით იყო. ერთხელ სინტრაში წამიყ-
ვანა, ყველა სასახლე შემომატარა. ჩემი
ფაფორიტილ Palacio და ენა გახდა. მაგრიტან-
ული და გოთიკური არქიტექტურის სასახ-
ლე დგას მთის წვერზე. ცა თუ მოწმენდილ-
ია, ლისაბონიდანაც კი ჩანს. სასახლის
ფასადი ნოთელ-ყვითელ ფერებშია შეღე-
ბილი, როგორც შენი კაბა და ეს ღვინო,
თუმცა მაინც რადიკალიზაციის სევერანი...
ენრიკომ, რესპუბლიკელების რევოლუცი-
ის შემდეგ პორტუგალიის უკანასკნელმა
დედოფალმა, ამელიამ, სამშობლოდან გა-
დასახლებამდე ამ სასახლეში გაათავა
ბოლო ღამე. მას შემდეგ იქ არც არავის
უფიქრობია, მუზეუმად გადააქციეს თითქოს...
— ალექსიმ მოულოდნელად შეწყვიტა თხ-
რობა, კონას თვალბრუსი ჩახედა, — ცოლი
მყავს და შვილი, — თქვა და თავის დაძარ-
ღვულ ხელებს დააქცერდა, — ვიცო, არას-
ნორად ვიქცევი, მაგრამ არაფერს გაკეთე-
ბა არ შემეძლია... მომწონხარ...

კონას ხმა არ ამოუღია, სახიდან ღიმი-
ლი არ გაქრობია, თითქოს ვერც გაიგონ-
აო მისი სიტყვები. გვიან ღამით, როცა სახ-
ლში დაბრუნდა, კატუშა ბებიას ბადიან
ლოგინზე მოიკუნებდა და გონებაში ალექს-
ის ნათქვამი თითოეული სიტყვა თავიდან
გაიხსენა, თითქოს გააცნობიერა მისი სიტ-
ყვები: „ცოლი ყავს და შვილი?“ მაგრამ ეს
ამბავი იმდენად უმნიშვნელო მოეჩვენა
თავს დატყუილ ბედნიერებასთან შედარე-
ბით, მალევე დაივიწყა და შეყვარებულმა
და ბედნიერმა დაიძინა.

ზაფხული

ივნისი ქალაქგარეთ სეირნობაში გაა-
ტარეს. შაბათ დღით ალექსი მანქანით აკ-
ითხავდა ხალხთა მთის ქუჩაზე. კონაც ჩაირ-
ბენდა ძველისძველ კიბეს და მანქანაში ჩა-
ჯდებოდა თუ არა, მაშინვე ეხვეოდა, კოც-
ნიდა, თვალბრუსი შესცივდა, უწინდელი

დაძაბულობა, კარგა ხანია, დავიწყებოდა:
— მომენატრე, უფრო ადრე რატომ არ
მნახე?

— ხომ იცი, შაბათ-კვირას ვარ მარტო
შენი... გუშინ დაგინახე.

— სად? რა დროს?

— „ალუბლებთან“ გამოვიარე, ვნახე,
როგორ ალაგებდა ტორტის ნაჭრებს ყუთ-
ში. შემორბენდა და კოცნა მომიხდა, მაგრამ
ვერ გავხედე.

— რატომ? გავიწყდებოდათ? მერე რე-
მელიმე მეზობელი შენს ცოლს მიუტანდა
ამბავს? ამიტომ დავდივართ ხომ სულ
ქალაქგარეთ? მაგრამ იქაც რომ გვინახონ?

— განაგრძობდა კითხვების დასმას კონა,
— გინდა, ჩემს სახლში შევხვდეთ ხოლმე?
იქ ვერაფერს მოგვავსებს. მეზობლებს არ
ვიცნობ, ნათესავები და მეგობრები არ
მყავს. თანამშრომლებმაც არ იციან, სად
ვცხოვრობ... შენმა ცოლმა რომ გაიგოს ჩე-
ენზე, გაგმორდება?

ივლისში, როცა სიცხეებმა ორმოც გრ-
ადუსს მიაღწია და შეუძლებელი გახდა
ქალაქგარეთ სეირნობა, შეყვარებულები
კონას სქელკედლებიან, გრილ ბინას აფა-
რებდნენ თავს. ალექსი შაბათ დილას მო-
დიოდა და კვირას საღამოს მიდიოდა. კონა
ყოველთვის ალტაცებით ხვდებოდა, წასე-
ლის დროს კი იღრუბლებოდა, თვალბრუსი
უცრემლიანდებოდა, ბავშვივით ჭირვეუ-
ლობდა, არ უშვებდა, ხან გასაღებს უმა-
ლავედა, ხანაც ტანსაცმელს. ზოგჯერ უკვე
წასულს გამოეკიდებოდა, კიბეზე ან ქუჩა-
ში წამოეწეოდა, კისერზე ჩამოეკიდებოდა
და ისევ სახლში აბრუნებდა.

პირველ დღეებში დივანზე ეძლიოდნენ
სიყვარულს და ერთმანეთს ჩახუტებულებს
იქვე ეძინათ. სექტემბერში კატუშა ბებოს
ლეიბჩარღმავებული საწოლი გარეთ გაი-
ტანეს და შორმის იქით რკინის საწოლი და-
ტანეს. ეს ერთადერთი ახალი ნივთი იყო ამ
ბინაში.

ავგისტოში ალექსიმ მთაში წაიყვანა
ცოლ-შვილი და თითქმის ერთი თვე მათ-
თან დარჩა. მოწყვნილი კონა დასვენების
დღეებში ამირანს ხვდებოდა, ხანაც ნანას
და ამირანს ერთად. დადიოდნენ კინოში,
სანაყინებში, პარკებში. საღამომობით ლი-
მანის ტბის პირას სეირნობდნენ.

ზამთარი

31 დეკემბერს, შაბათს, ალექსიმ კონას
მხოლოდ ერთი საათით შეურბინა. საჩუქრ-
ად ნოთელი მოხილური მიუტანა.

— როგორ ჩაგწერო? — ეკითხებოდა
და თავის ტელეფონში კონას ნომერს კრეფ-
და, — ვიცო, როგორც ჩაგწერ, — ამოიჩურ-
ჩულა ბოლოს და ნომერს „ყვავილების
კონა“ მიაწერა.

მალევე წავიდა, რადგან თამთას საყ-
იდლებს გრძელი სია ჰქონდა მისთვის ჩა-
მონერილი. კონა მარტო დარჩა. დივანზე
მოიკეცა. საღამომდე გაუძნრევლად იჯდა.
მერე იგახშმა. იტალიურ კომედიას უყურა.
ახალ წელს არ დალოდებია, ლოგინში ჩან-
ვა და შეეცადა, მალე დაეძინა, რომ აღა-
რდაფერზე ეფიქრა.

ბედობას ამირანმა კინოში დაპატიჟა
და კონაც ისე იყო მარტოობით გაბეზრე-
ბული, სიამოვნებით გაჰყვა. ფილმი უინ-
ტერესო აღმოჩნდა. წინა ღამის უძილო კო-
ნა ამირანის მხარს მიეყრდნო და მალევე
ჩაეძინა. სეანსის დასასრულს გაიჩედა,
რომ ამირანს კონაზე ადრე დაუძინია, ფი-
ლმიდან რამდენიმე კადრიდა ახსოვდა.
ახლადგადვილებულმა საახალწლოდ აბ-
რდვალელებულ ქალაქში დაინყეს ხეტია-
ლი. მთავარ ქუჩას გაუყვინდა. ტირანს შეჩ-
ერდნენ. კონამ ათიდან ცხრას გაარტყა და
პრიზიც დაიმსახურა. რბილი სათამაშოე-
ბიდან პანანინა ყავისფერი ლეკვი აირჩია
და გადაწყვიტა, მისთვის ამირანი დაერ-
ქმია. ამირანი გაიბუტა, ვითომ ეწყინა, მა-
გრამ კონას მალევე შეურბინდა.

— საოცარი გოგო ხარ, ევა, — როცა
ლამაზაინებებიანი სახლის სადარბაზოს მი-
უახლოვდნენ, ამირანი უცბად დასერიო-
ზულდა, — შენისთანა სათნო, წმინდა არ-
სებას არასდროს შევხვდებოდი. ლამაზი
ხარ, ძალიან ლამაზი და თან ყველაფრით
ლამაზი — სულთი, ხეულთი.

— კარგი რა, ამირან, — კისკისებდა კო-
ნა, — დამცინი?

— მართლა განსაკუთრებული ხარ, რა
გაცივებს? სხვა გოგოებს არ გავხარ, არ
გეხუმრები.

კონამ უცბად მოიწყინა, ამოიხარა, ალ-
ექსი გაახსენდა. ნეტავ, რას აკეთებდა, გა-

იფიქრა, ალბათ სტუმრებს იღებს, ჩუსტე-
ბი აცვია, შამპანურის ბოთლებს ხსნის, ჭი-
ქებში ასხამს, სადღეგრძელოებს სვამს;
როცა მის ცოლ-შვილს ადღეგრძელებენ,
სამადლობელს იხდის...

— მომწონს შენთან ყოფნა, მხიარული
ხარ, ხალისიანი... მიყვარს შენი იუმორი...
შეიძლება გგონია, რომ სევდიანი ხარ, მაგ-
რამ ასე არ არის, — განაგრძობდა ამირანი.

— ამირან, გთხოვ... წარმოდგენაც არ
გაქვს, როგორი ვარ... გინდა, გითხრა სი-
მართლე ჩემზე? არც ისეთი წმინდანი ვარ,
შენ რომ გგონია. უკვე რამდენიმე თვეა,
ცოლიან კაცს ვხვდები და ისე ვარ მასზე
შეყვარებული, ესეც არ მადარდებს... ოლ-
ონდ მის გვერდით ვიყო.

ამირანი გაშრა. ცივად გაიღიმა, იფიქ-
რა, ხუმრობსო. მერე უხერხულად აიჩეჩა
მხრები.

— საშინელი ახალი წელი მქონდა, —
განაგრძობდა კონა, — უკეთესს არც ვე-
ლოდი. ლოგინიდან არ ავმდგარვარ. ვინე-
ქი და ბევრი ფიქრით გული რომ არ გამე-
სიებინა, სიმღერებს ვიგონებდი.

დამშვიდობებისას ამირანმა მაგრად
მოუჭირა ხელზე ხელი და გაუბედავად ჩა-
სწურჩულა:

— რაც უნდა იყოს... ჩემთვის მაინც
განსაკუთრებული ხარ.

ზადეების მქსოველი ქალი

მასში ალექსის ვაჟი შეეძინა. დემეტრე
დაარქვა და ორი შაბათ-კვირა ხალხთათვის
ქუჩაზე არ გამოჩენილა. მესამე შაბათს კო-
ნა დილიდან ელოდებოდა. დარწმუნებუ-
ლი იყო, ცოტა ხნით მაინც შეურბენდა. შუ-
ადღემდე ელოდა, ელოდა. მერე მისწრა.
პასუხი მალევე მიიღო: „ვერ მოვდივარ,
მაპატიე“. ტელეფონი დივანზე მოისრია-
ლა, ირმებამოქარგული შირმის იქით გავი-
და, საწოლზე დაემხო. იტირა. როდის-რო-
დის ჩაეძინა. იმ ღამეს დედა ესიზმრა: აი-
ვანზე იჯდა, ბადეს ქსოვდა, ღილინებდა...
სისხლიანი ხელები ჰქონდა, სახეც სისხლის
შეფეხს დაეწინკლა. ცხადად ჩაესმა ყურ-
ში მისი ხმა. გამოეღვიძა. ლოგინზე წამოვი-
და, გული საგულედან ამოვარდნაზე ჰქონ-
და, რაღაც ცუდი მოხდებოდა, ამოიჩურჩუ-
ლა და ხელის ფათურით ნაჭრის მოქარ-
გული აბაჭური აანთო. ოთახი განათდა თუ
არა, კედელზე მიყუდებულ გიტარას წამო-
ავლო ხელი და სიმებს ჩამოჰკრა. დამშვიდ-
და. მამა გაახსენდა — მაღალი, გამბდარი,
კეხიანი ცხვირით, მზისგან ანთილებული
კანითა და მწვანე, მუდამ მომღიმარი თვა-
ლებით. ყოველთვის ასე ხდებოდა — რო-
გორც კი გიტარის დაჭიმულ სიმებს შეეხ-
ებოდა, თვალწინ მამა უდგებოდა. ეს ხმა
მასთან დამაკავშირებელი ხიდი იყო. ხიდი
ცხრა ზღვასა და მთას სცდებოდა, ზესკ-
ნელებს და ქვესკნელებს აღწევდა, უსასრუ-
ლო იყო.

მხოლოდ ეს გიტარა წამოიღო კონამ
მშობლების სახლიდან, შავ-თეთრი სუ-
რათებით სავსე ტყავის ალბომი და დედის
რამდენიმე კაბა. დანარჩენი ნივთები ეზო-
ში მოაგროვა და ცეცხლი წაუკიდა. ცეცხ-
ლი ყველაფერს წმენდს და ასუფთავებსო,
ასე სჯეროდა. ამ ცეცხლს გაატანა თან ყვ-
ელა დარდი და ოცნება, რაც ბავშვობიდან
სტანჯავდა თუ ახარებდა. თავისთვის მხ-
ოლოდ სიყვარულზე ოცნება დაიტოვა.

სიმებს თითები ჩამოაყოლა. ანწყოსა და
წარსულს შორის უხილავი ხიდი ისევ გაი-
დო. ზღვის პირას, პანანინა გორაკზე გაშ-
ენებული თავისი სოფელი დაინახა:

ვეკალიპტების ძირში სულ რამდენიმე
სახლი დგას. სახლს უკან მხარეს მანდა-
რინების ბაღი აკრავს. ბაღში ჰამაკი კიდ-
ია. ჰამაკს ორივე მხარეს კონას აცმული
ნიჟარების ჟინჯილაკები დასთრევს. ქანა-
ობს პატარა კონა და ჟინჯილაკების ჟღა-
რუნს თავის წკრილად ხმას აყოლებს. მან-
დარინების ბაღის ბოლოში ლიანდაგები
გადაის. ძიღში ჩაესმის ხოლმე მატარებლ-
ების ჩუქჩუქი. „ნეტავ, სად მიჰქრებიან?“ —
ფიქრობს და ძიღშივე აედევნება ხოლმე
ფეხშიშველი უკან.

სანამ მამა უგზოუკვლოდ დაიკარგებო-
და, კონა ბედნიერი იყო. მამამისი სახლი-
დან გამთენიისას გადიოდა, ნავს ზღვაში
შეაცურებდა და სათევზაოდ მიდიოდა. ზა-
ფხულობით, ხელახლა ლეზავდა გაზაფხუ-
ლის წვიმებისაგან გადაახუნებულ ნავს ცი-
სფრად, მერე კი ზედ განსაკუთრებული
მონდომებით აწერდა „ევას“. ფეხშიშველა,
განწმინდილი კონა მამას არჩედილით უკან
დაჰყვებოდა, თვალს ადევნებდა მისი ღო-

ნიერი მკლავების მოძრაობას, მის ღიღინს
იმახსოვრებდა.

დედა ყოველთვის სახლში იყო. ოჯახის
საქმეებს რომ მოათავებდა, რიკულებიან
აივანზე ჩამოჯდებოდა და სათევზაო ბა-
დეებს ქსოვდა. მოსწონდა კონას ეს ბადეე-
ბი, ტანზე და თავზე იხვევდა, აივანზე ბზ-
რიალებდა, მღეროდა, თავს ცნობილ ვარ-
სკვლავად წარმოიდგენდა.

— ასეთი კაბა მომიქსოვე, დედა, — ეხ-
ვენებოდა. ისიც უღიღინდა და თავს უქნე-
და.

ლამაზმა სახლმა თანდათან დაძველე-
ბა დაიწყო. გამუდმებული წვიმებისაგან
ბათქაში შემოეცალა, ხის რიკულები ჩაუშა-
ვდა, დაუშლა. ღობეც ცალ მხარეს გადაიხ-
არა. მამა თევზს იჭერდა, ყიდა. სეზონზე
მანდარინს კრეფდა და იმასაც ყიდა, მა-
გრამ მაინც უჭირდათ. მეზობლებმა თავის
რჩენის ახალი გზა იპოვეს. მამაც აიყოლი-
ეს. აგროვებდნენ თუჯის ძველებურ ქვა-
ბებს, ტაფებს, ფარნებს, ხორცის გასატა-
რებელ მანქანებს, წვესანურებს, ვერცხლ-
ის დანა-ჩანგალს და გასაყიდად ალაიაში
მიჰქონდათ. როცა მამა პირველი მოგზაუ-
რობიდან დაბრუნდა, კონას შაბათბინისფე-
რი ჯემპრი და ფერად-ფერადი, მრგვალი
კეცები ჩამოუტანა. როგორ მოსწონდა კო-
ნას ეს შაბათბინისფერი ჯემპრი, მანამდე მს-
გავსი არაფერი ენახა. მოსწონდა, მაგრამ
სკოლაში მისი ჩაცმა არ უნდოდა. დედამ
სულ ძალით ჩააცვა და სახლიდან ისე გა-
უშვა. ძლივს გაიარა სკოლამდე გზა, სირ-
ცხვილით იწვოდა, ასე ეგონა, მთელი ქვეყ-
ანა მას უყურებდა.

ერთხელაც მამამ ისევ აიკიდა უზარ-
მაზარი ჩანთა და ალაიის გზას დაადგა. კა-
რგად არ ახსოვს კონას, მამას როგორ დაე-
მშვიდობა. აკოცა თუ მხოლოდ ჩაეხუტა?
რა უთხრა? წლებია, ამის გახსენებას ცდი-
ლობდა. მამასთან განმორება ხელახლა იმ-
დენჯერ წარმოედგინა, ნამდვილისა და გა-
მოგონილის ერთმანეთისგან გარჩევა უჭ-
ირდა. მამა ალაიიდან აღარ დაბრუნებუ-
ლა. თითქოს მინამ ჩაყლაპაო, მისი ამბავი
არავინ იცოდა.

„ცოცხალია თუ მკვდარი?“ ფიქრობდა
სახეშეშლილი დედა, სათევზაო ბადეებს
ქსოვდა. მერე თითქოს ამ ბადეებს გაატა-
ნაო თან სევდა. გამხიარულდა. საღამომო-
ბით ტურნებს ნოთლად იღებავდა, თვალბრუსი
შავ ფანქარს ისვამდა, ლამაზ კაბებსა და
მალაქუსლიან ფეხსაცმელებს იცვამდა
და სადღაც მიდიოდა. გამთენიისას ბრუნ-
დებოდა. კონასთვის კანფეტები, შოკო-
ლადები, კეეები, კრემები ორცხობილები
მოჰქონდა. ერთხელაც თან ალი — დაბა-
ლი, ფეხებდაგრეხილი, შავუღვაშიანი მა-
მაკაცი — მოიყოლა. იმ დღიდან მათი სახ-
ლიდან კონას კეთილი მამის ღიღინი გაქრა
და მისი ადგილი უტიფარმა ხარხარმა, გა-
შმაგებულმა ლანძღვა-გინებამ, ხვრინვამ
და ხმამალალმა ცემინებამ ჩაანაცვლა.
კონა ამ კაცს არასოდეს უსმენდა, არასო-
დეს ელაპარაკებოდა. ღამით თავის ოთახ-
ში განმარტოებულს მისი ვნებიანი ოხვრა
და დედის თავშეკავებული კვნესა რომ ეს-
მოდა, ყურებზე მაგრად იჭერდა ხელებს
და ამ სახლიდან რაც შეიძლება შორს გაქ-
ცევაზე ოცნებობდა.

თხუთმეტი წლის იქნებოდა, როცა სო-
ფელში შემზარავი ამბავი გავრცელდა. ან-
იტა, კონას საუკეთესო მეგობარი, ორსულ-
ად იყო. ბავშვის მამა ალი აღმოჩნდა. დაი-
ჭირეს სოფლის კაცებმა ალი, მაგრამ სცე-
მეს. მერე გაკოჭეს.

— მამაკეთი, ნუ მომკლავთ, — ლულ-
ლულებდა შიშისგან თვალბრუსი კარკ-
ლული, ტურნებიდან დორბლი და სისხლი
ერთად ჩამოსდიოდა, — ბავშვს მე წავიყვ-
ან, გავზრდი, ცივ ნიავს არ მივაკარებ, უშ-
ვილო ცოლი მყავს, ისიც გაიხარებს, ბავშ-
ვს კარგად გაზრდის, კეთილი ქალია.

არ მოკლეს. აპატიეს. ანიტამ იშობი-
არა თუ არა, მისმა მშობლებმა ახალმობი-
ლი ზენრეში გადაახვიეს და ალისა და მის
შეშინებულსა და დარცხვენულ ცოლს მი-
უყვანეს. ამ ამბის შემდეგ დედა ისევ დან-
აღვლიანდა, ტურნებიდან ნოთელი ჰომიდა
მოიცოდა, შავები ჩაიცვა, აივანზე თავისი
ჩხირები და ძაფი გაიტანა და ბადეების ქს-
ოვას მიუბრუნდა. სახეამღერეული ანიტა
კი მთელი დღე ზღვის სანაპიროზე დადიო-
და. ვინმე თუ შეხვდებოდა, აინევდა კაბას
და ეკითხებოდა: ორსულად ვარ?



ხათუნა როგავა

 ემოციის გარეშე წერას ვცდილობ და არ გამომდის. რამდენჯერ ასე?! — გულს მიწვრილებს ხმა, რომელსაც არ ვუჯერებდი არასდროს და ახლა ვნებდები. ერთად ვასკენით, რომ არ ღირს დარდად ის, რაც ხელს გიშლის კი არაა, ხელს გიკრავს. გიკრავს ჩაკრასაც, ანუ გჩაგრავს. და გზას ვაგრძელებ. ოხრად როცაა ნასასველები — რამ შემაჩეროს?! შემოფეთებულ ატმის არომატს გვერდს ვუქცევ და პირბადეს ვირგებ. ქუჩაში, უმალ, სამყაროს აშლილობის პირველსავე მწვავე სიგნალს — ჩაბნელებული, ნესტიანი გარაჟის კარის უხეშ მიჯახუნებას — აჩქარებულ გულისცემას ვუნწყვილებ: „ბარბაცი ბარბი ბაცი ციბა ციცი ცია“ — ექოდ ჩამესმის და კედელს მიყრდნობილი თვალს ვხუჭავ. — აი, დავითელი თხუთმეტამდე და ყველაფერი გაივლის, გაივლის... — გაივლის — იმეორებს ვიღაც ჩემთან ერთად. ბევრჯერ ყოფილა — შიმნარევი ხმელი სიტყვები სამსჭვალეზივით ჩამსობია ყველა სახსარში და რომ არა ჩემი უხმო, ტაბუდაკრული, ფრთხილი სიმშვიდე, ბაც ზურმუხტისფერს რომ იფერებს და არასდროს წვება უგზოუკვლო განცდების ფერხით — ასო-ასო აკუნულ ღამეს მოგართმევდი, მთვარეულის ვარცლში განბანილსა და ცხელ კავებზე შესაბოლად ჩამორიგებულს, ტამტამების უჩვეულო გონგის ფონზე გახსნილების რიტუალი რომ აღგვენიშნა.

მეშვიდე სართულის მტრადი

არც კი ვიცნობდი განგაშამდე. არც კი ვდარდობდი, შიოდა, ფეხებს უყინავდა სუსხი თუ არა. მერე ზაფრამ რომ გამოგვეკეტა, აგე, ამ დრომდე და ყველაფერზე გვათქმევინა ღამის უარი, მე — კედლების ტყვე, ჩავემენე რუხ სიბაცეში და ვოლიერის მკაცრ რეჟიმზე ვარ გადართული. შემაფხიზლებენ მხოლოდ ჩემი უტყვი ბავშვები, ინტერნეტსკოლა და ჟესტური ენა ქართული. მტრედი ვახსენე სათაურში, ჩვეულებრივი ნითელფეხება არსებაა, სახე ეჭვებით, რადგან არავინ შეიფარა ასე მშვიდი, ერთმანეთს უხმოდ გამხნევენ და ფრთხილად ვეჩვენით. გუშინ წავიდა. დაიკარგა თუ დამეკარგა. მეშვიდე დღეა, სიმშვიდეზე მლაშეა შიში. მეშვიდე დღეა, მტრედის გვრინი არ ისმის კართან.

ყანგმობდენილი აივანი არაფერს იმჩნევს. ისევე მოჟონავს უკითხავად, ღამის წელია, სიჩუმის ყეფა, ამოოხვრის ექო. ვერ ვბედავ ცის მტრედისფერთან შედარებას (ბევრს უწერია). მონაცვლეობით მახსენებს თავს ეჭვი და სევდა.

 როცა ღამ-ღამობით, ხელის თითებს შესეული, გადამნიფებული ბებერების სკდომის ხმა ძილს არ გაცლის, ხოლო მეზაჟე-მევახშეთა შავ-თეთრი, ხმოვანი პორტრეტები ჭერიდან იატაკამდე და პირიქით, ჯიუტად აგრძელებენ ჰაერის რღვევა-კემსვას — ციანოზით შეფერადებული, მოკუმული ბაგეები შესაკმაზად გამზადებულ, გადარჩეულ უმ სიტყვებს უკანვე ჩაიბრუნებენ. ლურჯად მოკირწყლულ უპეებში ჩაკირული სარკის პირბასრი ნატეხები თავგანწირვით აცეკვდებიან და მარცხენა ფერდქვეშ შეჩურთული იმპლანტატის ვერშეგუების აღიარებით ჩვენებაზე ხელის მონერის უარყოფას თანხმობით ანაცვლებ — პრეისტორიულ ხეზე მჭახედ შემორჩენილი პირველყოფილი სიჯიუტის ერთგული რჩები.

 რამდენჯერ უნდა მოიხარო წელში, რომ მისი სიმალღე შენსაზე უკეთ წარმოაჩინო? რამდენჯერ უნდა მოიყარო მის წინაშე მუხლი, რომ თავისი სისუსტე თანდაყოლილი არ ეგონოს? ღრუბლებს შერთული იმას თუ ამჩნევს, როგორ დაავინყე მის დასამშვიდებლად: თვალს — ცრემლი, ხმას — სიმყიფე, სახლს — მარტოობა, ღამეს — სიზმარი... წყლისფერ ვოლიერში შენი სილუეტი მოჩანს. ფსკერისაკენ დატოტვილხარ და მესმის, როგორი სიჯიუტით უმეორებ შენს თავს, რომ ბედნიერებაა ის, რაც დაიმართე. რომ ბედნიერებაა ის, რამაც სინამდვილეს მთელი სინათლის წელიწადით დაგაშორა. სიკეთით მომინანქრებული ზღაპრები კი ღანწებულენილები მიყრდნობიან ერთმანეთს და ცდილობენ, გადაგარწმუნონ, რომ ჭირი, ქატი მხოლოდ სხვისი არაა, არც ლხინი და ფქვილია მხოლოდ შენი. ამიტომ, უნდა გამოიღვიძო, სანამ მზე საბოლოოდ არ ჩასულა, სანამ ველურ ალუბალს ჯერაც შერჩენია სიტკბო სიმნიფის.

გაიღვიძე. თუნდაც უხმოდ, მალულად. ოღონდ მალე. მალე გამოიღვიძე.

 ნუ მოეფერებით ქალებს, რომელთაც ცა იძულებით ჩამოამხეს თავზე გუმბათად. სიმშვიდე ძრწოლით ჩაუნაცვლეს, გაზაფხული — ზამთრით, აბრეშუმში — ხამი ტილოთი, ოცნება — მდუმარებით, ღიმილი — ცრემლით, პოეზია — მდარე პროზით. არ დაუმძიმოთ ქალებს ქედი იმედის ჯაჭვით — არ მოეფეროთ. არ გაუღიმოთ ქალებს, თუკი თქვენი ღიმილი მხოლოდ ეჭვებსა და უნდობლობას ამძაფრებს მათში. თუ ეს ღიმილი უხილავ საბელს გამობმული მორჩილების დითირამბია და ჩაღლით გადახურულ ქვეყანაში პირში ჩალაგამოვლებულობის შეგრძნება ჩვეულებრივ ტოქსიკურ სინდრომს წარმოადგენს. იყავით გულქვა. უმიმიკო. უგულისყურო. ნუ გაუღიმებთ. არასდროს ეთამაშოთ ქალებს მეტაფორებით დანალმული სცენის ბნელი კულისებიდან. ნურც ნაცნობ-მეგობრებს მისცემთ საბაბს, ეძებონ მათში ის, რაც არ თქმულა, არც შობილა და სიზმრის ფერიც კი არ ადევს. ფანტაზიები აშიმშილეთ. აშიმშილეთ ბრმადშობილი ფანტაზიები. ვზივარ ლექსების დამტირებლის ჩვეულ პოზაში, მკვდარ სიტყვებს მარცხნივ ვუჩენ ადგილს, მფეთქავებს — მარჯვნივ. დაქტილოსკოპის „დამღერებულს“ მუდარით ვატან ქარს, რომელიც უკან იხევს სახემშლილი, გაფითრებული და ყველა სიტყვას, უნამუსოდ, სახეში მახლის.

 მშვიდ ლექსებს მშვიდი ქალები წერენ. თავლივით ტკბილი ცოლები და სატრფოები, რქეში ჩამბალი ორცხოობილის მსუყე ლუკმები, უსაკეტურო თბილი, ნოტიო მღვიმეები, ახდენილი და წყლისთვის არმოსაყოლი სიზმრები. ქალები თეთრი ხელებით და თეთრი სინამდვილით — ნაფტალინმოყრილ მორჩილებას დაზავებული სამშვენისები. მათ ვერაფერს ვნებს შემლილი ღამის დამცინავი მზერა, ხარხარი. არც მთვარეულის სიჯიუტით ძილღვიძილობენ თვალის ბუდეებიდან ამოჩიქნილი გუგებით ხელში, რათა ტერფებქვეშ ყინულის მტვრევის ხმაზე იცეკვონ კიზომბა

საკუთარ ღანდთან. და მაინც, ჩუმად თუ ხმამალა, გაბედულად, უხერხულად თუ დანანებით, ათასში ერთხელ მაინც უნდა ითქვას, რომ მშვიდ პოეტ ქალებს, ასე ნუგზარ, ღიმგადაკრულ და ბედნიერ, მშვიდ პოეტ ქალებს, არამშვიდი, არაპოეტი, მაგრამ მზრუნველი კაცები ქმნიან.

 მას შემდეგ, რაც დავმახინჯდი, შენი სიტყვები აღარ მოდიან ჩემთან, შორიდანღა თუ შემავლებენ თვალს. დღემდე გიკვირს, სხვები ჩემს უსახურობაზე ჩვეულებრივად რატომ რეაგირებენ, რატომ მითმობენ დროს, რომელიც გაძვირდა.

მათგან სასიკეთოს დაცდენის შემთხვევაში,
 რაც იშვიათად ხდება,
 თავს ჩაქინდრავ,
 სუნთქვაშეკრული შეაყოვნებ მომდევნო ნაბიჯს.
 უფერულდები და
 წარსულდები.
 შენი სიტყვები ისევ ეძებენ კედლებს
 სახლის შესაკრავად,


ქანცის განწყვეტამდე ეძებენ
 და პოულობენ.
 იკარგებიან მის სიღრმეში.
 სახლი თბილია.
 სახლი თვლემისმომგვრელია.
 რბილია სახლი.
 აქ უნდა განანილდე,
 დაიმარცვლო,
 გაიფანტო ხმოვნებად და თანხმოვნებად.
 სიტყვაც აღარ უნდა გერქვას.
 ასეც იქცევი.
 შემოსაზღვრულ სივრცეში მხოლოდ
 მოშინაურებული ფიქრები ჭაჭანებენ:
 სამზარეულოში ყავას დასტრიალებენ,
 თაროზე — წიგნებს,
 საწოლში — ძილსა თუ უძილობას,
 აბაზანაში — სხეულს,
 რომელსაც ზოგჯერ შინიდან გაპარვა სურს,
 ძალიან სურს,
 მაგრამ როცა ახსენდება,
 რომ მე დავმახინჯდი —
 ყოვნდება კარის მუქლურჯ ზღურბლთან
 და ლამაზი,
 გაცრეცილი სიტყვიდან
 შორისდებულებად ამოგლეჯილი,

ცალკე მდგომის იერსა და
 მდუმარებას იძენს.
 მათ, ვინც შემოდგომაზე კვდება,
 რაღა საპარა და რაღა ეს ყელამდე ხვატში ჩაჟანგული,
 უდამიანებო სივრცე.
 მინიდან მიჯრით ამოსული სოკო-სახლები.
 არცთუ მაღლები.
 „სოკოში ცხოვრება პოეტურია“ —
 ამბობ.
 გჯერა და არა მხოლოდ შენ.
 საღამოსპირზე თუ შეგამცივნა,
 ჰაერს კარგა სქლად ჩამოაჭრი ერთ გახვევა სმოგს,
 მოიხურავ ნაბადივით და
 უვარსკვლავებოდ მიინავლები

ბერს სარეცელზე.
 გედარდება, ზაფხულობით რომ შრება მდინარე —
 სიზმრებს ვერ ატან.
 ამ დროს დარდი ბოლქვებად მნიფს.
 ველარ ერევი.
 გადამნიფებულს კუბიკებად ჭრი და
 მეზობლის ხის ფესვებში მარხავ.

ისიც გაშინებს,
 აშარ სიზმრებს თავთხელ წყალში რომ ვერ გარეცხავ
 ღრმად დასერილები თითებით,
 საიდანაც გვირილის ნაცვლად
 ახლა გვიმრები ინვერებიან.
 ინერებიან მშრალი,
 მტვრევადი ლექსები,
 რომელშიც არავის უმხელ,
 რომ გინდა იყო მეთევზე,
 რომელსაც წყალი
 ლიფსიტების ქარავანს ჩამოუტარებს —
 ვერცხლისფერ ქაოსს,
 საიდანაც ერთი მათგანი,
 შენი აკვარიუმის ბინადარი გახდება.
 მანამდე კი მოწყენას ებრძვი
 და თხავ მითს შემოდგომაზე,
 უფრო სწორად,
 გარდაცვალებაზე შემოდგომის ერთ ნაღვლიან დღეს,
 რომელიც ისეთი სასურველი გეჩვენება,
 რომ მოჭარბებული ემოცია
 ჭორფლებად გაყრის.

 გვერდი აუქციეთ სხვათა
 აუხდენელ ოცნებებს.
 მათი აუხდენლობა ისეთივე აუცილებელია,
 როგორც მირაჟის ხიბლი
 უდაბნოს უთავბოლო ბარხანებში,
 როგორც სხივმიმქრალი მზერის ნაოჭთა
 აბლაბუდით დანანევერება,
 ან ვიტრინაში ხელუხლებლად დაძველებული
 შაქარლამის ობიანი სევდა —
 რომ წამიერადაც
 ვერავის მიუძინა შიმშილის ანგელოზი.
 სხვათათვის ახდენილი ოცნებები
 მარადიულად იმ ოთხ სამსჭვალში ინილებიან,
 ყველაზე დიდი სიკეთე რომ
 დაამახსოვრეს
 უმონყალობით
 გულგადაღლილ
 კუზიან მთას —
 ღმერთკაცის ბოლო ამოსუნთქვის
 ბებერ გრაფომანს.



დაბიუტი
 მაია ქსოვრელი

 შოთა იათაშვილს

არიან ქალები,
 საღამოობით კატებს ჩაისვამენ კალთაში და
 ფიქრობენ ალუბლისფერ პომადაზე —
 ყველას ტუჩზე ალუბლისფერი არაა,
 ისე, როგორც ალუბალი არ შეიძლება იყოს
 ერთი ფერის და ერთი გემოსი...
 არიან ქალები, რომლებიც დარდობენ,
 რომ ლაქი მალე გადადის ფრჩხილებზე,
 რომ ეპილაციის შემდეგ თმა მაინც ამოდის...
 არიან ქალები,
 რომლებიც სახლში მორჩენილ ნამცეცებს
 აჭმევენ კატებს,
 ნატრობენ, ჰგავდნენ ალუბლისფერ პომადიან ქალებს,
 სარკის წინ რომ იზომავენ კაბებს და არ ფიქრობენ:
 რა ცუდია,
 რომ ყველაფერი ერთდროულად თავდება სახლში,
 გაზრდილ შვილებს დაუმოკლდათ ტანსაცმელი,
 და მხოლოდ სიზმრებში დარჩა
 ბავშვობაში ახალნაყიდი კაბების სიხარული...
 არიან ქალები,
 სახლში მორჩენილ ნამცეცებს აჭმევენ კატებს.

 როცა ხუთი წლის გავხდი,
 მამამ მითხრა, რომ გავიზარდე
 და აღარ უნდა ვიტირო...
 მე ვუთხარი, რომ არ გავიზარდე,
 რადგან ხეები და სახლები ჩემზე დიდები არიან.
 ახლა, როცა სახლები და ხეები
 ისევ ჩემზე დიდები არიან,
 მე ვუთხარი მამას, რომ გავიზარდე —
 რადგან, როცა ტირილი მინდა,
 მე აღარ ვტირი,
 რადგან ვიცი,
 ხეებზე და სახლებზე დიდი ვარ იმით,
 რაც მტკივა და რაც მიხარია
 და რაც მზესავით ანათებს ჩემში.

 ბავშვებს უნდა ერბინათ ეზოში,
 შენ შეშა უნდა მოგეტანა ტყიდან,
 მე კი ჩვენი ჭრელი სარეცხი
 გამეფინა თოკზე...
 ყველაფერი იქნებოდა კარგად,
 შენ რომ დაბრუნებულიყავი ტყიდან,
 ბავშვებს რომ ერბინათ ეზოში,
 მე რომ ჩვენი ჭრელი სარეცხი გამეფინა თოკზე...

 მე აღარ ვეჭვიანობ ქალებზე,
 რომლებიც მას მოსწონს.
 ქალები-ბანოვანები...
 იმათ ტუჩებს ვერ მიეკარები,
 ძვირფასი პომადა უსვიათ.
 არც ხშირად სცალიათ საკოცნელად —
 დაკავებულია ბაგე სიგარეტით...
 ქალები-ბანოვანები ასეირნებენ ძაღლებს,
 საღამოობით კატებს ისვამენ კალთაში,

კატები ნაბავენ თვალებს,
 ქალებიც ნაბავენ თვალებს...
 მე არ ვეჭვიანობ მის ქალებზე.
 ქალებს უყვართ ძაღლები და კატები,
 ქალები ვერ ძლებენ მათ გარეშე.
 მას ეშინია კატების და ძაღლების.
 შორიდან ლამაზები არიან ბანოვანები,
 ახლოდან საშიშია მათი კატები და ძაღლები...

 როგორ დავილაღეთ მე და შენ, დედა, ცხოვრებით,
 რომელიც მაშინ გვეძლეოდა,
 როცა სიხარულს ვეღარ გრძნობდნენ ეს თვალები
 და ღიმილიც გვეძნელებოდა გამოსახატად...
 მუხლებზე ხელებს ვინყობდი და
 თავს მხარზე გადავხდი,
 ცხოვრება ეს იყო — მაღლა ცა და მზე ფანჯრებში,
 და ერთმანეთი, როგორც იმედი.

 კაცები სიტყვებს ისე ამბობენ,
 თითქოს გულისჯიბიდან კოლოფს იღებდნენ
 და სიგარეტს უკიდებდნენ.
 რა რჩება მათგან?
 უმნიშვნელო ყვირთი კვალი თითებთან,
 ქალებს კი — ნამწვავების სქელი ნაწიბური გულზე.

 შიშით სავსე ცხოვრება აქვთ დედებს,
 ჩიტებს ჰგვანან,
 მაგრამ არ იმჩნევენ...

 მიყვარს შენი პატარა სახლი:
 ერთი სკამი — აივანზე,
 ერთი საფერფლე — მაგიდაზე,
 ერთი ბალიში — საწოლში,
 ერთი ყავის ჭიქა საშაქრესთან,
 ჩაიდან — ერთი ჭიქა ჩაის სამყოფი,
 მიყვარს შენი — „მეტი რად მინდა, ესეც მყოფის“,
 მიყვარს შენი სიმარტოვე...
 და ჩემი ადგილი ამ სიმარტოვეში.
 როცა შემიძლია ხმა გაგცე,
 შენ კი თქვა: რა კარგია ხანდახან ცხოვრება!

ბუბა

მთელი დღე იმაზე დარდობდნენ, იხვი რომ დაბრმავდა.
 ერთი ადამიანიც ვერ იპოვეს,
 ბრმა იხვს რომ დაკლავდა...
 — საჭმელს არ ჭამს, ეხეთქება აქეთ-იქით,
 სჯობს, დავკლათო, — ამბობდა ქალი.
 — ქათამს არ ვკლავ და ბრმა იხვი?
 აბა, რას ამბობ?! — ამბობდა კაცი...
 ისხდნენ სევდიანები ღუმელთან და გულში უხაროდათ,
 რომ ვერ იპოვეს ადამიანი, რომელიც იხვს დაკლავდა.
 დღით გუბესთან იპოვეს მკვდარი
 და თითქოს ამოისუნთქეს.
 — აღარასდროს გვყავდეს იხვები, — ამბობდა კაცი.
 — ბავშვებს უხაროდათ და იმტომ, — ამბობდა ქალი.

დასასრული

ერთ ღამეს ალი დაბრუნდა. მთვრალი იყო. იგინებოდა, ილანძებოდა. რაც ხელში მოხვდებოდა, ყველაფერს ამტვრევდა. დედა კიოდა, გაეთრიე, არ მომეკაროო. გულგახეთქილი კონა თავისი ოთახის ფანჯრიდან გადაიპარა და დახმარების სათხოვნელად მეზობლებთან გაიქცა. უკან რამდენიმე კაცთან ერთად დაბრუნდა, მაგრამ გვიანი იყო. ალი სამზარეულოს იატაკზე ეგდო და სისხლისაგან იცლებოდა. დედას ხელში დანა ეჭირა და შეშლილი იყო იყურებოდა. ხუთი წრილობა ჰქონდა ალის — სამი მუცელში, ერთი კისერთან და ერთიც ბარძაყში. აღარ სუნთქავდა. დედა იმ ღამესვე დაიჭირეს. კონა ბავშვთა სახლში გადაიყვანეს. ორი წლის შემდეგ, როცა სრულწლოვანი გახდა და თავის სახლს დაუბრუნდა. ახლა ის დაჯდებოდა ხოლმე აივანზე, ბაღებს ქსოვდა. მერე ბაზარში მიჰქონდა და მეთევზეებზე ყიდდა. ძალიან რომ გაუჭირდა, ნავი გაყიდა, რომელსაც აღარც ცისფერი და აღარც სახელი „ევა“ ემწნეოდა. დედა ციხიდან ველარ გამოვიდა, ჰეპატიტით დაავადდა და ციხის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

— გაყიდე სახლი, მანდარინის ბაღიც, და წადი... ყველაფერი დაივიწყე, ახალი ცხოვრება დაიწყე, — ეს იყო დედის ბოლო სიტყვები, როცა კონა საავადმყოფოში მის სანახავად მივიდა.

ასეც მოიქცა. გაყიდა სახლიც, მანდარინის ბაღიც. მერე მატარებლის ბილეთი იყიდა და იმ ლიანდაგს გაჰყვა, ყოველთვის რომ აინტერესებდა, საით მიდიოდა.

კონა

ივანის ადრინი დილა იდგა, ალექსი რომ კონასთან მივიდა. ხალთამთის ქუჩა უკვე ხილითა და ბოსტნეულით მოვაჭრეებს აეფრიაშებოდა. ტროტუარებზე გამოტანილ დახლებთან მნიფე ალუბლისა და გოგრა ბლის სურნელი ტრიალებდა. სადარბაზოში ქურდულად შევიდა და ნახევრად გვერდზე მოქცეული კიბე სწრაფად აირბინა. კარზე არ დაუკაკუნებია, გაალო და შევიდა. კონა ირმებამოქარგული შირმის იქით სანოლზე იჯდა. ფერხითი კარტი გაეშალა. მოვა თუ არ მოვაო, მარჩიელობდა. კარის ხმა გაიგონა თუ არა, მოვიდაო, ამოიჩურჩულა. კარტი სწრაფად მოაგროვა და კომოდზე მიყარა. ლიბზე მოიკუნტა, თავი ბალიშში ჩარგო, ვითომ ეძინა. ალექსი ოთახში შევიდა, პერანგი გაიხადა და ირმებამოქარგულ შირმაზე გადაკიდა. კონას მიუახლოვდა. ხელები მხრებზე შეახო და თავისკენ მიიზიდა. ქალმა თვალები გაახილა, ალექსის ახედა. მკლავები ასწია და თითები მუქ თმაში შეუცურა. ალექსი დაიხარა, კონას ხელი წელზე მოხვია, სახიდან თავლისფერი, ხვეული თმა გადაუნია და გაბუტულ ტურჩებზე ნაზად აკოცა. კონამ ქალს წყენა მაშინვე დააინყა, მამაკაცის მკლავებში გაიტრუნა.

ივანის ალექსი ყოველ შაბათ-კვირას კონასთან ატარებდა.

— რას ამბობ სახლში, სად ვარო? — ერთხელ გაბედა და ჰკითხა.

— ვმორიგეობ, ბევრს ვმუშაობ... — უხერხულად გაიღიმა და კონას თვალი აარიდა.

ავგისტოში ალექსი მივლინებით პარიზში წავიდა. ორი კვირა მისგან არაფერი ისმოდა. ერთ დღეს ფოსტალიონმა ხალთამთის ქუჩაზე წერილი მიიტანა. კონა მაშინვე მიხვდა. კონვერტს რამდენჯერმე აკოცა, მერე გულში ჩაიხუტა. გახსნა. საფოსტო ბარათზე ანტონიო კანოვას ქანდაკება იყო გამოსახული — „ფსიქეა, ეროსის კოცნით რომ ცოცხლდება“, უკანა მხარეს კი ხელით ეწერა: „ნებადაურთველ სილამაზეს ადამიანები არ პატიობენ და არც ღმერთები... თავხედი სილამაზის პატრონები კი ასე ისჯებიან — ადამიანთა შორის ყველაზე უღირსი უყვარდებათ... უნდა მაპატიო, რადგან შენ ჩემი ფსიქეა ხარ, ჩემი სული ხარ.“

მეორე დღესვე ბარათი ჩარჩოში ჩასვა და სანოლის თავთან კედელზე ჩამოკიდა. ყოველ ღამე ჩამოხსნიდა, ჯერ ეროსსა და ფსიქეას აკვირებოდა, მერე რამდენჯერმე გადაიკითხავდა ალექსის მინანერს. წლების შემდეგაც ეს „ძილის წინა ლოცვა-სავით“ იყო კონასთვის, მის ნაუკითხავად არასოდეს დაუძინია.

გაზაფხული

— პატარა რომ ვიყავი ფუტკრებმა დამკბინეს, — კონას ალექსის გულზე ედო თავი. ალექსის — ხასხასა ბალახზე. ქალაქგარეთ აყვავებული ტყემლის ქვეშ იწვნენ, — ტანზე 13 ნაკბენი მქონდა. ბავშვებმა გრძელი ჯოხებით ხეებზე გაკეთებული ბუდეები დაუნგრეს და გაიქცნენ. მე არ გავიქეცი. ვიდექი და მშვიდად ვუყურებდი. მეგონა, ფუტკრები მიხვდებოდნენ, რომ არაფერ შუაში ვიყავი. მაგრამ და-



ნესტან ეგეტაშვილი

სხვა ევა

მესიენ და დამკბინეს. მთლად დაესვიდი, აღერგია მომცა. შეშინებულმა დედაჩემმა ხელში ამიყვანა და საავადმყოფომდე ირბინა. უფრო მწყინდა, ვიდრე მტკიოდა. მე ხომ ბუდეები არ დამინგრევია, რატომ დამკბინეს-მეთქი, ვეკითხებოდი დედას... გგვანან შენი ბიჭები? — კონა წამოჯდა და ალექსის ზემოდან დააცქერდა.

— მეგონი, კი. ჩემსავით სიმპათიურები არიან.

— და თამთა როგორია?

— თამთაა, უბრალოდ თამთა...

— ერთი მეგობარი მყავს, ამირანი... ჩვეულებრივი ბიჭია, არც ძალიან სიმპათიური, არც ძალიან უშნო. გუშინ კინოში ვიყავით, მერე ბარში შევედით, ცოტა დაველიეთ. ცხოვრებაზე ვლაპარაკობდით. იცის ჩვენზე. მითხრა, რომ თავს ვილუპავ, დროა, დაგმორდე და ჩემს ცხოვრებას მივხედო. არ ვიცი, იქნებ, მართალიცაა... მერე სახლამდე მიმაცილა და დამშვიდობებისას ცოლობა მოხოვა.

— ალექსიმ გაიღიმა, მაგრამ კონა რომ არ აჰყვა, შუბლი შეიჭმუნა.

— კარგი ბიჭია, მზრუნველი, კეთილი.

— შენ რომ ჩემი გოგო ხარ? — წელზე მოხვია ხელები და ბალახზე გადააკოტრიალა, — მარტო ჩემი.

— და შენ? მარტო ჩემი ხარ?

— მარტო შენი ვარ.

— და თამთა?

— მთელი დღე თამთაზე უნდა ვილაპარაკოთ?

— ხანდახან მინდა, რომ ჩვენზე გავიგოს... ერთხელ ისიც ვიფიქრე, შევხვდები

და ყველაფერს მოვუყვები-მეთქი... ნეტავ, გაგმორდეს, არ გაპატიოს... მხოლოდ ეს ორი დღე ჩემთვის საკმარისი არ არის, უშენოდ უბედური ვარ.

— გაგიკვირდება, მაგრამ თამთა ისევე ორსულადაა... გთხოვ, არ ატირდე. რატომ არ შეიძლება, უბრალოდ ბედნიერები ვიყოთ? დაანებე ყველაფერზე ფიქრს თავი და მომენდე. მიყვარხარ. მთელი კვირა დღეებს ვითვლი, რომ შენთან მოვიდე. ჩაგეხუტო. ყველაფერი დავივიწყო.

— იმ დღეს კაცი მოიყვანეს დაჭრილი, მორიგე ვიყავი. აღმოჩნდა, რომ გარდაცვალების მოწმობის გარდა, არანაირი საბუთი არ ქონდა. ომში ყოფილა. იქიდან რომ აღარ დაბრუნებულა, უფიქრიათ მკვდარიო და გამოუწერიათ გარდაცვალების მოწმობა. ცოტა ხანში დაბრუნებულა კიდევ. მაგარი ლადაობა იყო, განერისას რომ უთხრა მენჯეგრმა, თანხა გადაიხადე, რა თანხას მთხოვ გარდაცვალებულ კაცსო, დაიხურა ქუდი და წავიდა.

კონა ცივად უსმენდა, გამუდმებით თვალს არიდებდა. მერე რაიმე საქმეს იმიზეზებდა და ალექსიც მიდიოდა.

ისევ ზაფხული

ივანის პირველ შაბათს, როცა ალექსი დილაადრიან მიადგა კონას, კარში წერილი დახვდა: „არ დამელოდო, ამირანთან ვარ“. გამწარებულმა ქალაქი ხელში ჩაქმუჭნა და კიბეზე დაემგა. კონა არც კვირას დახვდა სახლში. კარი დაკეტილი იყო და ტელეფონზეც არ პასუხობდა. ორშაბათს დილით კიდევ ერთხელ სცადა დარეკვა. კონამ უპასუხა. ცივად ელაპარაკებოდა. უთხრა, რომ შაბათ-კვირას ამირანმა დაპატიჟა თავის სოფელში, მშობლები გააცნო. ისიც თქვა, რომ სიახლეა მის ცხოვრებაში და საღამოს რვაზე „ალუბლებთან“ დაიბარა.

ალექსიმ საღამომდე ძლივს მიადგა. სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. გამუდმებით საათზე იყურებოდა. მაინც როგორ ინელება დრო, როცა მას ვუთვალთვალე-ბთო, ფიქრობდა. რვის ნახევარზე უკვე საკონდიტრო „ალუბლების“ წინ იდგა მანქანით. ხვდებოდა, კონა მისთვის რის თქმასაც აპირებდა, მაგრამ მაინც არ სჯეროდა, ვერ წარმოედგინა. კონა მის გარეშე როგორ იცოცხლებდა? ან თვითონ რა უნდა ექნა, ქვეყანაზე ყველაფერი ჩაქრებოდა, შავ-თეთრი გახდებოდა ქალაქი, ცა, ზღვა. „ზღვაზე წავალთ ამ ზაფხულს“, თავისთვის ფიქრობდა, „ვიმოგზაურებთ...“

ზუსტად რვაზე კონა „ალუბლებიდან“ გამოვიდა, ქლიავის ჯემიანი ფუნთუშები მოიტანა. მანქანაში ჩაჯდა, ეს ჩემგან, სულ ახალიაო და ყუთი უკანა სავარძელზე მოათავსა.

— რა ხდება, კონა? — ალექსიმ კბილებში გაშალა.

— ამირანს მიყვები ცოლად, ამ შაბათს ნიშნობა გვაქვს, — ამოიჩურჩულა და დაძაბული თავის ხელებს დააცქერდა, — მის ბინაში პატარა სუფრას ვაკეთებთ, რამდენიმე მეგობარი და ნათესავი იქნება. ნანაც მოვა. მეჯვარეობა ვთხოვე, სიხარულით დამთანხმდა. მერე მასთან გადავალ საცხოვრებლად, ჩემი ბინა უკეთესია, მაგრამ... არ შემიძლია იქ სხვასთან ერთად ცხოვრება, მინდა, მხოლოდ ჩვენი ხმები დარჩეს... ალექსის ხმა არ ამოუღია. მანქანა დაქოქა და სწრაფად დაძრა ადგილიდან. უხმოდ იარეს, ქალაქი უკან ჩამოიტოვეს, ის ჭალაც მდინარის პირას, სადაც ტირიფების ჩრდილქვეშ ორი წლის წინ პირველად ივახშმეს.

— სად მივდივართ? — უკვე დაბინდებული იყო, კონამ რომ იკითხა.

— არ ვიცი, შორს... უნდა მოგიტაცო, სადმე გამოგვეტო, რომ მარტო ჩემი იყო, არავინ ნახო, არავინ იფიქრო.

— გაგიჟდი? — გაეღიმა კონას და ხელი დაძარღვეულ ხელზე შეახო.

ულრან ტყეში გაჩერდნენ და ერთმანეთს გადახევივნენ.

— მითხარი, რომ ეს ყველაფერი ტყე-ილია, მითხარი, რომ მოვიგონე, მითხარი, რომ უბრალოდ მაქვებიანებ, — ჩურჩულებდა ალექსი და ხარბად უკოცნიდა თვალებს, ტურჩებს, მკერდს, ხელებს. კონა ტიროდა, ხმას არ იღებდა.

შუალამე იყო, ტყის პირას პატარა სასტუმრო რომ იპოვნეს. ის ღამე იქ გაათიეს. ხის ვინო საწოლზე ერთმანეთს ჩახუტებულები იწვნენ. არც ერთი წამი არ დაუძინიათ. ერთმანეთის სუნთქვას უსმენდნენ. ერთმანეთს სახეში შესცქეროდნენ, ეხუტებოდნენ, ეფერებოდნენ. გამთენიისას უხმოდ ადგნენ, მანქანაში ჩასხდნენ და ქალაქისკენ წავიდნენ.

— აკი, უნდა მოგიტაცო და სადმე გამოგვეტო, — მხოლოდ ეს სიტყვები უთხრა დამშვიდობებისას საკონდიტრო „ალუბლებთან“ კონამ.

— მაგრამ... ვერ შევეძელი... — ალექსიმ სიმწრით ჩაიცინა და შუბლზე აკოცა.

კონა მანქანიდან გადავიდა. ჩანთიდან

ნითელი ტელეფონი ამოიღო და ალექსის ნომერი ნაშალა. როცა მიხვდა, ნომერთან ერთად ყველა მიმონერა ნაიშლებოდა, გული დასწყდა, ერთი მინც დამეტოვებინაო, მაგრამ სინანულმა მალევე გადაუარა. გაბრაზებული იყო თავის თავზეც, ალექსიზეც, ამირანზეც, მთელ სამყაროზეც.

ნიშნობა

ნიშნობა შაბათს, 23 ივნისს, 5 საათზე იყო დათქმული. ამირანი ბედნიერებისგან მეცხრე ცას სწვდებოდა. მთელი კვირა ფუსფუსებდა, მოპატიჟებულთა სიას ადგენდა, სუფრის მენიუს ხან რას დაუმატებდა და ხან რას გამოაკლებდა. კონამ ლამაზი კაბა და ფეხსაცმელი იყიდა, ცდილობდა, ალექსიზე არ ეფიქრა, მაგრამ ყოველ წუთს მის ზარს ელოდა. ღამეები თავზე ათენდებოდა. ზოგჯერ ძილში კაკუნის ხმა ჩაესმოდა. ნამოსტებოდა, კართან ფეხშიშველი მიირბენდა, მაგრამ არავინ იყო, ეჩვენებოდა. ალექსი არც რეკავდა, არც მოდიოდა. „ყველაფერი დამთავრდა. შეეგუა... როგორ ადვილად, უბრძოლველად, უმტკივნეულოდ“.

— ნიშნობის შემდეგ ერთი კვირით მთაში წავიდეთ, მერე — ჩემს სოფელში, იქ დავინეროთ ჯვარი...

ამირანს გულგროვდა უსმენდა, თითქოს ასე აღტაცებით ვილაცხვინებდა ცხოვრებაზე ესაუბრებოდა. თავის გადანყვეტილებას უკვე ნანობდა, მაგრამ არც ალექსისგან ისმოდა რაიმე.

იმ დილასაც ელოდებოდა. შუადღისთვის ხელი ჩაიქნია. ყველაფერი დამთავრდაო, გაიფიქრა და სახეზე მაკიაჟის გაკეთება დაიწყო.

ოთხ საათზე ამირანმა მოაკითხა, ჰორტენზიების თაიგული მოართვა. კონას სალათისთვის კაბა ეცვდა, გაშლილი, დატალღული თმა წელამდე სწვდებოდა. მანქანაში ჩაჯდა და ლამაზიანებთან სახლს სვედიანი თვალებით კიდევ ერთხელ ახედა.

სუფრა ამირანის ორთახიან ბინაში იყო გაშლილი. ოთახის შუაგულში ლამაზად განწყობილ მრგვალ მაგიდას ათიოდე კაცი შემოსხდომოდა — კონასა და ამირანის წინ უზარმაზარი მარწყვის ტორტი იდო, საკონდიტრო „ალუბლებმა“ საჩუქრად რომ გაუგზავნა. კონას გვერდით მეთისმეტად გამხიარულებული ნანა იჯდა, მის იქით — ამირანის ხუთი მეგობარი, სულ ვაჟები, მერე ბიძა და ბიცოლა.

ის იყო, თამადა ფეხზე წამოდგა და სადღეგრძელოს სათქმელად ჭიქა ასწია, რომ კარზე დააკაკუნეს. კონამ თითქოს რალაც იგრძნო, სახეზე აღმური მოეკიდა.

— ვინ უნდა იყოს? ვინმეს ველოდებით კიდევ? — ამირანის ბიცოლა ფეხზე წამოდგა და კარისკენ წავიდა. მალევე შემობრუნდა. მის უკან ალექსი იდგა. ამღვრეული, არანორმალური თვალებით კონას ეძებდა. დაინახა თუ არა, თითქოს მხოლოდ მას ხედავსო, ამოიგმინა:

— კონა.

კონა ფეხზე წამოდგა, ერთიანად ცახცახებდა. გაკვირებული სტუმრები ალექსის მიაჩერდნენ. ამირანიც ადგა და კონას გვერდით ამოუდგა. ისიც ალექსის უყურებდა გამშრალი.

— კონა, — ალექსი მხოლოდ კონას უტყუარდა, ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა, — არ ვიცი, აქ რისთვის მოვიდა... სულელი ვარ, არანორმალური... მთელი კვირა თავს ვებრძოდი, მინდოდა, ამ ამბავს როგორმე შევგუებოდი... არ შემიძლია... მიყვარხარ... უშენოდ მკვდარი ვარ... შეიძლება უკვე გვიანია, მაგრამ გთხოვ, ნამომყევი... წავიდეთ აქედან... — აცახცახებული ხელი კონასკენ გაიშვირა, თეთრი პერანგი მხრებთან, ბეჭებთან ერთიანად ოფლით ჰქონდა დასველებული.

კონა ალექსის ხელს დააცქერდა — დაძარღვული, ლამაზი ხელის მტევანი მას ელოდებოდა, როგორც განწირული, დაცემული ადამის ხელი „სიქსტუს კაპელაში“ ღმერთს. როგორ უყვარდა ეს ხელი, როგორ უყვარდა ეს დაკუნთული მკლავები, ეს თვალეები, ეს ხმა... სხვანაირად მოქცევა არ შეეძლო, მისკენ მთვარეულივით წავიდა, სხეული თავისით ადგამდა ნაბიჯებს... ამირანმა მხრებში წაავლო ხელი, თითქოს მის გამოფხიზლებას ცდილობსო, მაგრამ კონას ხელი ხაფანგში მომწყვედილი ჩიტვით უკვე ალექსის მტევანში ფართხლებდა. არაფერი უთქვამთ, შეტრიალდნენ და ოთახიდან მოჯადოებულვით გავიდნენ. ერთმანეთის მეტს თითქოს ვეღარავის ხე-

დავდნენ. გაოგნებული ამირანი უკან გაჰყვა, მაგრამ მხოლოდ მათი ფეხის ნაბიჯები გაიგო, კიბეზე გიჟებოდა რომ ჩარბოდნენ.

სამოთხეში

ამ დღის მერე კონა საკონდიტრო „ალუბლებში“ აღარ წასულა. აღარც ამირანი უნახავს, აღარც ნანა. სულ სახლში იყო, ხალთამთის ქუჩაზე. ალექსი უფრო ხშირად მიდიოდა, თითქმის ყოველ საღამოს აუვლიდა, ეფერებოდა, კოცნიდა. თამთას გაცვილდები, როგორც კი იმშობიარებს და ბავშვი ცოტა წამოიზრდებაო, ამბობდა. ამ ზაფხულს სამოგზაუროდ წავალთო, პირდაგოდა. ჩვენც გვეყოლება ბავშვი, ალბათ ფაგონაო, იცინოდა. შენნაირი ლამაზი თვალები და თმები ექნებაო, უხაროდა. კონა რალაცნაირად დასევდიანდა. რცხვენოდა, ამირანზე დარდობდა. „ეს რა ჩავიდინე?“ დროდადრო თვალეზგაფართოებული სივრცეში იყურებოდა, „სანყალი ბიჭი“, გული ეწურებოდა.

ივლისში ახალი სამსახურის ძებნას შეუდგა. როდემდე უნდა ვიყო ალექსის კისერზეო, ფიქრობდა. მაგრამ სანამ რამეს მოძებნიდა, ალექსიმ საჩუქარი გაუკეთა, ფოტოგრაფიის ერთთვიან კურსზე ჩარიცხა და ფოტოაპარატი უყიდა.

სამსახური მალევე იპოვა, ხალთამთის ქუჩაზე კაფე „მანუელაში“ მიმტანად. დილით ფოტოგრაფიის კურსზე მიდიოდა, შუადღისას — „მანუელაში“ გარბოდა. გახალისდა, ახალი ნაცნობები გაიჩინა, ისევ აუბრწყვილდა თვალები.

ივლისის ბოლოს ისეთი რამ მოხდა, ამქვეყნად ყველაფერი გადავიწყდა. ორსულად იყო. მაგრამ ნელ-ნელა ამ სიხარულში გაფუჭებული ფოტოკადრით ისევ სევდა გაიდღაბნა. თებერვალში თამთა ელოდებოდა ბავშვს, აბრლიო — კონა. მის ცხოვრებაში გაზაფხულიდან ყველაფერი ბედნიერებისკენ თვალდაყირა დადგებოდა, თამთას ცხოვრებაში კი — პირიქით. დარდობდა. ახლა მის გულზე ამირანის აჩრდილთან ერთად თამთას აჩრდილიც სახლდებოდა. ალბათ ალექსიც, ხშირად რომ ირინდებოდა და კედელზე არარსებულ სივრცეს ამტვრევებოდა, ამაზე ფიქრობდა.

ერთ ღამეს, ორსულობიდან მეხუთე კვირას, ძილში სისხლდენა დაეწყო. საათს დახედა, სამი სრულდებოდა. ალექსისთან დარეკვა დააპირა, მაგრამ მალევე გადაიფიქრა. ისევ მარტო არჩია საავადმყოფოში წასვლა. ჯერ ტაქსი გამოიძახა, მაგრამ ტაქსიმ დაიგვიანა და ქუჩაში ჩავიდა. ყველაფერი სტკიოდა. მღელვარებისაგან ფეხები და ხელები უცახცახებდა. ტიროდა. ტაქსიმ ხალთამთის ქუჩაზე დაახლოებით ათ წუთში ჩამოიარა. საავადმყოფომდე თხუთმეტი-ოც წუთში მიიყვანა. მძღოლმა კონა არც იქ მიატოვა, შენობაში შეყვდა და სანამ ექიმებს არ ჩააბარა, ფეხი არ მოიცვალა.

კონა საკაცზე დაწვინეს. განათებული ოთახში შეიყვანეს. გინეკოლოგიურ სკამზე მოათავსეს. ახალგაზრდა ექიმი ყურადღებით სინჯავდა და დროდადრო თანაგრძნობით სავსე თვალებით აკვირდებოდა. მერე ექთანმა ოთხკუთხედი მონყოილობა შემოიტანა და ზედ მიმაგრებული მავთულები კონას მუცელზე რკინის კაუჭებით მიანება. დაძაბული ექიმი ცდილობდა, ნაყოფის გულისცემა გაეგონა, მაგრამ მხოლოდ შხული და მოგუდული ხმები ესმოდა. მერე თავი სინანულით გადააქნია, ფეხზე წამოდგა და ოთახიდან გავიდა. ცოტა ხანში ასაკოვან კაცთან ერთად დაბრუნდა. ახლა ამან გასინჯა კონა. ექთანმა ექოსკოპიის აპარატი შემოიტანა. ჭალარა ექიმი თეთრ ეკრანზე დიდხანს, გულდასაბით ათვალიერებდა კონას სხეულის ტალღებში გარინდებულ, ნერტილისოდენა ნაყოფს, ახლა ამ ატირებული, თმაგამოლილი ქალისთვის იმედის, ოცნების, სიყვარულის, შიშის, ტკივილის და ქვეყნად არსებული ყველა სხვა ძაფის გორგალად რომ ტყუილიყო.

— ანესთეზიოლოგს დაუძახეთ, — თქვა ბოლოს და ახალგაზრდა ექიმთან ერთად ოთახიდან გავიდა.

ოპერაციის გამოქვინისას გაკეთდა. გულგაბრუნებული ალექსი მანამდე მივიდა. ჭალარა ექიმი მისი ნაცნობი აღმოჩნდა, კაბინეტში შეიყვანა და მდგომარეობა აუხსნა:

— ვნუხვარ, მაგრამ ორსულობა შეწყვეტილია. მიზეზი ჯერჯერობით უცნობია... გარდა ამისა, საშვილოსნოზე საკმაოდ დიდი ზომის კუნთშია მიომები აქვს.

ოპერაცია მუცელკვეთით უნდა გაკეთდეს, შეიძლება ჰისტერექტომია, საშვილოსნოს მთლიანად ამოკვეთაც დაგვჭირდეს...

— მართალი იყავი, რომ ამბობდი, ყველაფერი ასე დავტოვოთ, არაფერი შევცვალოთ, ხომ ბედნიერები ვართო? ბევრი მოვინდომე... ამიტომაც დავისაჯე... ოჯახის მიტოვება რატომ დავაძლევ? ეს ხომ უსამართლობა იყო... — ჩურჩულებდა კონა სუსტი ხმით.

ალექსი პალატაში იყო, თავთან ეჯდა. — შენ არაფერი დაგიძალეობა... კი არ დაისაჯე, უბრალოდ ასე მოხდა... გთხოვ, სისულელეებს ნუ ლაპარაკობ.

ერთ კვირაში კონა საავადმყოფოდან განერეს. ალექსი მთელი ამ ხნის განმავლობაში გვერდიდან არ მოსცილებია. ნაცნობ კოლეგებსაც არ ერიდებოდა, თავს დასტრიალებდა.

— თამთამ რომ გაიგოს? — ეკითხებოდა კონა.

— ხანდახან მგონია, თამთამ ისედაც ყველაფერი იცის, — ალექსი საავადმყოფოს ფანჯრიდან ქალაქს გასცქეროდა.

სექტემბრის ბოლოს კონა უკეთესად გრძნობდა თავს. ჭრილობა შეუხორცდა, მხოლოდ ღრუბლიან დღეებში თუ შეახსენებდა თავს. ისევ დაიწყო კაფე „მანუელაში“ მუშაობა. ერთი ეგ იყო, უფრო ნაღველიანი გახდა, კიდევ უფრო სევდიან სიმღერებს მღეროდა.

ოქტომბერში ალექსიმ დანაპირები აასრულა. ერთი კვირით სამსახურისა და ოჯახის წევრებისაგან თავის დაძვრენა მოახერხა და კონასთან ერთად კუნძულ მილოსზე გაიპარა.

გამთენიისას უკვე ათენში იყვნენ. პირეასში ტაქსით წავიდნენ. სანამ მილოსისკენ მიმავალი „Aegean Speed Lines“-ის გემი ჩამოდგებოდა, პატარა კაფეში შევიდნენ, ტიროპიტები მიირთვეს და მერე ფრაზე შეუკვეთეს. გემი ზუსტად თორმეტ საათზე გავიდა. გემბანზე დასხდნენ. პირეასის სანაპიროს გაჰყურებდნენ, სულ უფრო რომ იკარგებოდა ეგეოსის ზღვის სილურჯეში. შემოდგომის მიუხედავად, ჯერ ისევ ცხელი იყო. შუა ზღვაში მათ გემს თოლიები აედევნა, მთელი გზა გვერდიდან არ მოსცილებია. აღტაცებული კონა სურათებს უღებდა. ხუთ საათზე უკვე მილოსზე იყვნენ. ადამასის პორტში მანქანა იქირავეს და კლიმაში წავიდნენ, მეთევზეების სოფელში. იქ ალექსის ცისფერდარბებიანი თეთრი სახლი დაეჯავშნა.

— ასეთი ბედნიერი არასდროს ვყოფილვარ, — იღიმოდა კონა და დროდადრო ალექსის კოცნიდა.

პანანინა სახლი ზედ ზღვის პირას იდგა. მის წინ ქვის კიბეს ტალღები გადაუვლიდა და გადმოუვლიდა. ცისფერ კარს ნიჟარებისაგან აწყობილი გემები ჰქონდა მიკრული. გამჭვირვალე, რძისფერი ფარდის მიღმა, ზედ სახლის ზღურბლთან, ზურმუხტისფერი ზღვა ირნეოდა. ცისფერი კიბე მერე სართულზე ადიოდა. საძინებელს წინ ცისფრად შეღებილი პატარა აივანი ჰქონდა. თეთრ ქოთანში ჩარგული ბუგენვილია რიკულეებს ჩახვეოდა, კედლისკენ გადაცოცებულიყო და უცერად აფეთქებული სიყვარულივით ჟოლოსფრად ყვაოდა.

— ეს სამოთხეა? — კონა ყველაფერს გაკვირებული ათვალისკვლივით დასწავლიდა, — სიკვდილის შემდეგ აქ მინდა, მოვხვდე.

უკანასკნელ ღამეს ზღვის პირას ისხდნენ. ბევრს ლაპარაკობდნენ. ერთმანეთს სიყვარულში აღარ ფიქრობდნენ, ისედაც ყველაფერი გასაგები იყო. მომავალზე ფიქრობდნენ. ბოლოს შეთანხმდნენ, ყველაფერი ისევ ისე დაეტოვებინათ, როგორც აქამდე იყო, ერთმანეთს ძველებურად, შაბათ-კვირას შეხვდებოდნენ...

თებერვალში თამთას და ალექსის მესამე ბიჭი შეეძინათ. ერეკლე დაარქვეს.

სიკვდილი სიკვდილის გარეშე

კონა და ალექსი ერთმანეთს თითქმის ყოველ შაბათ-კვირას ხვდებოდნენ.

კონას მარტო ალექსი ეძახდა ასე.

ალექსი ხალთამთის ქუჩაზე ლამაზიანებთან ძველისძველ სახლში შაბათს დილაადრიანად მიდიოდა. მიჰქონდა ხან ღვინო, ხან მარწყვი, ხანაც ტკბილეული. კონა ყოველთვის გულისფანცქალით ელოდებოდა. ყველამ მის გარშემო — მეგობრებმა თუ თანამშრომლებმა — იცოდა, რომ კონა შაბათ-კვირას მხოლოდ და მხოლოდ ერთი ადამიანისთვის ცხოვრობდა. ახალ

კაბას იცვამდა, ახალ პერანგს ყიდულობდა. სახლს საგანგებოდ ალაგებდა, გემრიელ სადილებს ამზადებდა. მერე ინგნენ ხან ლოგინზე, ხან ტახტზე, ირმებამოქარგული შირმის იქით, მრგვალ მაგიდასთან ეწოდნენ სიგარეტს და სვამდნენ ღვინოს. კონას გადაღებულ ფოტოებს ათვალიერებდნენ, იცინოდნენ, ლაპარაკობდნენ, ყვებოდნენ სამსახურის ამბებს, იხსენებდნენ კუნძულ მილოსს და იქ გატარებულ ზღაპრულ დღეებს. ზოგჯერ ალექსი თავისი ბიჭების ამბებს ყვებოდა. ამაყოფა, როგორ თამაშობდნენ ფეხბურთს, ცურავდნენ ზღვაში, სრიალებდნენ თოვლზე. ამთავრებდნენ სკოლას, ირიცხებოდნენ უნივერსიტეტებში... კონა მათ სურათებიდან იცნობდა. მოგვიანებით ალექსი ბიჭების დაოჯახების ამბებს განიხილავდა. მერე კონას შვილიშვილების ოინებზე აცინებდა. კონა ყურადღებით უსმენდა, თამთაზე საუბარს ერიდებოდა, იცოდა, ისევ აკრძალული რომ იყო.

— მე შენზე ბევრად ახალგაზრდა ვარ, — უთხრა ერთხელ ღიმილით.

— ვიცი, — გაეცინა ალექსის და ხორბლისფერ თმაში გამოჩეულ ჭალარას თვალი აარიდა.

— ნლებზე არ გეუბნები... რომ დავითვალთ შაბათი და კვირა, რაც შენთან ერთად გამიტარებია, მხოლოდ 5-6 წელი გამიოვა. დანარჩენ დღეებს არ ვაღიარებ, თითქოს არც მიცხოვრია... ასე რომ, ახლა სადღაც ოცდაათ წლამდე გამოვდივარ, მეტის კი არა.

იანვრის ბოლოს ალექსის მეხსიერებაზე პრობლემები შეექმნა. ჯერ პაციენტების სახელები ავიწყდებოდა, მერე უკვე თანამშრომლების. ერთხელ ოპერაციის დროს ავადმყოფის დიაგნოზი ვეღარ გაიხსენა, ცივმა ოფლმა დაასხა, თვალეში დაუღამდა... სამსახურს მამინვე თავი დაანება, პენსიაზე გავიდა. სახლშიც ნივთების სხვადასხვა ადგილას დალაგება დასჩემდა, მერე დაკარგულ ნივთებს დიდხანს ეძებდა. თვითონ უკვე იცოდა, რაც სჭირდა, მაგრამ ოჯახის წევრების დაყინებული თხოვნით, გამოკვლევებზე მაინც წავიდა. მართალი აღმოჩნდა, არ ცდებოდა. სახლში ალცჰაიმერის დიაგნოზით დაბრუნდა. შაბათს დილას კონასთან წავიდა. მისი მისამართი ჯერ კიდევ ახსოვდა, ისიც, როგორ შეხვდა, როგორ შეუყვარდა, როგორ ივასშემეს ტირიფების ჩრდილქვეშ პირველად.

— თავის ტვინში უჯრედები ნელ-ნელა კვდება. ის უბნები, რომლებიც პასუხისმგებელია მეხსიერებაზე, აზროვნებაზე, მეტყველებაზე თანდათან ზიანდება, — აცრემლებულ კონას მშვიდად უხსნიდა, — უკვე ვიცი, რაც მელოდება: ჯერ ახლობლების სახელები დამავიწყდება, ვერ მივხვდები, სად ვარ, რა მინდა, სად მივდიოდი... მერე შეიძლება, ნაბიჯის გადადგმაც კი დამავიწყდეს, — ჩაიციხა, — მაგრამ თანდათან ფიქრის უნარსაც დავკარგავ... იმედია, სევდისაც... დავიწყება ბოლოს განვითარებული მოვლენებიდან იწყება და ნელ-ნელა წინ მიიწევს... რალაც მომენტში, მემახსოვრება მხოლოდ ბავშვობა... ასე თანდათან გაეუჩინარდები, ოლონდ სიკვდილის გარეშე.

კონა ტიროდა. ალექსის ელიმებოდა, რალაცნაირად სევდაგამორეული ღიმილით და თმებზე ნაზად ეფერებოდა.

— ნუ გეშინია, შენ მაინც არასოდეს დამავიწყდები, — მუბლზე აკოცა, მაგრამ ჩაიხუტა გულში და მე-18 საუკუნის უძველესი სახლის ნახევრადმოღვრილ კიბეს ჩაუყვია. ერთი კიდევ ახედა, სანამ კედლებს მიეფარებოდა და ისე გაუწრდა ხელი, როგორც მაშინ, მრავალი წლის წინ, ამირანის სახლში.

*

ერთხელ დაურეკა. მეტყველება უჭირდა. ოლონდ ხმა ისევ ისეთი ჰქონდა, თავისი.

— ვინ ხარო? — ზრდილობიანად იკითხა, — თქვენი ნომერი მიწერია ტელეფონში, უცნაური სახელით — „ყვავილების კონა“... ვერაფრით გიხსენებთ. ვინ ხარო?

ყურები დაუფუჭდა, ყელში ნერწყვი სქელი მუხლუხოსავით გაეჩხირა, მუხლებზე მოწყვეტით დაეცა:

— დავიწყე... ნამშალე... არავინ ვარ, არავინ... — ამოიწურჩულა. მერე კი თითქოს მთის ჩაგუბებული მდინარე ჯვბირებიდან გადმოქცაო, ისე ატირდა.

„მშობნი, რომ ეს ახალი მსოფლიო პანდემია უხილავი ვირუსისა, კაცისთვის ფანჯარა ახალი დროისა, რომელსაც, ხამს, პირველი მიეგვებს პოეტი“ — წერს ბესიკ ხარანაული ლექსში „ტკბილი ანალოგია“. ახალი კორონავირუსის გამო შეცვლილი მსოფლიოს განახლებული სახე თანამედროვე ქართული პოეზიისთვის ასათვისებლად, მართლაც რომ, ძალიან ნაყოფიერი სივრცე აღმოჩნდა — ჯერ ერთი წელიც არ გასულა მომავლიანი ვირუსის პანდემიად გამოცხადებიდან, მასზე შექმნილი ტექსტებით კი ქართული ლიტერატურა უკვე საკმაოდ გამდიდრდა და გამრავალფეროვნდა. ჩვენს ტრადიციულ ტრადიციულ, ამავედროულად კი, აბსურდულზე აბსურდულ რეალობაზე ერთიანი გზებითა და ინტერესით წერენ განსხვავებული შემოქმედებითი ინდივიდუალების, ხელწერისა და ესთეტიკის მქონე ავტორები. ბუნებრივია, თითოეულ ლექსში აღნიშნული თემა ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული რაკურსით რეპრეზენტირდა. ჩემი წერილის ძირითად მიზანს იმის განსაზღვრა წარმოადგენს, თუ როგორი პოეტური სახე მიიღო, თანამედროვე ქართულ პოეზიაში როგორ ტრანსფორმირდა ჩვენი ახალი რეალობა, ასევე, სინამდვილის სწორად აღქმისა და შეფასების, სწორი აქცენტების დასმის პროცესში როგორია თანამედროვე ქართველი პოეტის როლი და მოქალაქეობრივი პოზიცია.

რადგან წერილი ბესიკ ხარანაულის ციტატით დაიწყო, ჯერ პოეტის მიერ პანდემიის დროს პანდემიაზე შექმნილი ლექსების განხილვას შევეცდები. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს გამოცემლობა „ინტელექტმა“ ბესიკ ხარანაულის ახალი პოეტური კრებული „ეპ, ბესარიონ“ გამოსცა. წიგნი შემოქმედის მიერ ბოლო პერიოდში შექმნილ ლექსებსა და რამდენიმე ლირიკულ პოემას აერთიანებს, ნაწარმოებების ერთ მესამედზე მეტი კი სწორედ ახალ მომავლიან ვირუსსა და პანდემიას ეძღვნება.

ერთ წელიწადში რადიკალურად შეცვლილი „შემოქმედის, შემოქმედის, შემოქმედის მსოფლიოს“ ერთდროულად რაციონალური-ირაციონალურ სანყისად, სახეხატად, მეტაფორად გვევლინება ბესიკ ხარანაულის შემდეგი სტრიქონები:

„იყო დრო, როცა კაცს
კატელტიდან ძროხამ ამოხაველა,
ლორმა უჭყვიტინა, თხამ უკიკინა,
ფარშიდან ამოუხტა მამალი,
ჩაკორტნა, ჩანგალი გაავადებინა“.

აღნიშნული ციტატა ახალი რეალობის ზუსტ პოეტურ დეფინიციას წარმოადგენს, ტექსტში აღწერილი მხატვრული სინამდვილე კი საკუთარ თავში ჩვენი ეპოქის მრავალნაზნაგოვან სიმძიმეს იტევს — ახალი რეალობით გამოწვეული შოკური მდგომარეობითა და კაცობრიობის დაბნეულობით დაწყებული და ჰიპერაბსურდული სინამდვილეთა და ტრადიციული დამთავრებული. ყოველ ახალ ლექსში პოეტი პანდემიას განსხვავებული ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური რაკურსით, თვალთახედვით წარმოაჩენს, კრებულის ნაკითხვის შემდეგ კი ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს „პანდემიის დროის სიმღერები“, როგორც თავად ავტორი უსწოდებს მათ, ერთი გრძელი ამბის სხვადასხვა ქვეთავი, სხვადასხვა შრეა, ამიტომ საკმაოდ რთული ამოცანაა საერთო ჯაჭვიდან რომელიმე ერთი ფრაგმენტის ამოგლეჯა და მისი ცალკე, დამოუკიდებლად განხილვა; თუმცა, იმის საილუსტრაციოდ, რომ ბესიკ ხარანაულმა ახალი პოეტური კრებულით, პრაქტიკულად, აუთვისებელი, შეუსწავლელი, გაუცნობიერებელი რეალობის თავისებური პოეტური აღქმა, შეფასება, გადაფასება შემოგვთავაზა და, ამავედროულად, პანდემიის საინტერესო პოეტური სახეხატი შექმნა, რამდენიმე ციტატას მოვიყვან; ლექსში „ძახილი ბორბალოს მთის კიბუჭებიდან“ ავტორი, თითქოს, მიზანმიმართულად ცდილობს, პოეტის ერთ დროს უმთავრესი, მოგვიანებით კი უკვე ანაქრონიზმად აღქმული და საბოლოოდ მივიწყებული ფუნქცია — ერის სულიერი მესაჭის, წინამძღოლის როლი, კვლავ მოიგოს ეპოქაში, როცა ერთგულება მართო ახალ ვირუსს შერჩენია. ბესიკ ხარანაულს, თითქოს, ჩვენთვის იმის შესხენებაც სურს, რომ ჭკმარობა პოეზიას ჯერ კიდევ შესწევს ძალა, ბოლომდე არ დაუკარგავს უნარი, „უსწავლელ ცოდნით“ გზის

გაგნებისა... და, მართლაც, ჩვენს პლანეტაზე გაბატონებული ახალი წესრიგის პირობებში, როცა პოლიტიკის, ეკონომიკის, ურუნალისტიკის, ბიზნესისა თუ პიარის მახინჯი ენით მუდმივად ცდილობენ, უნიჭოდ შეთხზულ „სიმართლეს“ დაგვარწმუნონ, რეალურად კი ახალსა და სანუგეშოს ვერაფერს გვეუბნებიან, იქნებ სწორედ პოეზიას, პოეტურ ენას შესწევდეს ძალა იმისა, ახალი სინამდვილის გააზრებაში დაგვეხმაროს, კოლექტიურ ცნობიერებას გადაფარებული ბუნდოვანებას კი ნათელი მოჰფინოს?..

იქნებ სწორედ ეს მიზანი თუ სურვილი ამოძრავებდა პოეტს, როცა წერდა: „მოეუხმობ ბრძენთ ყოველი ქვეყნისას — შევიკრიბოთ, ვიხსნათ დედამიწა“... და მიუხედავად იმისა, რომ დუმლია სამარისებრი,

ბესიკ ხარანაულის პანდემიის თემაზე შექმნილ ლექსებში შემოქმედის და 180 გრადუსით შემოტრიალებული, უფრო სწორად, ამოყრავებული მსოფლიოს ისეთი განუყოფელი ნიშნები, მახასიათებლები თუ ერთგვარი ატრიბუტები, როგორებიცაა, მაგალითად, „სახლში ყოფნა“ ან „სოციალური დისტანცია“, პირველადთან, ფასადურთან ერთად, თითქოს, ტრანსცენდენტურ მნიშვნელობასაც იძენს; უპირველესად, სწორედ ეს ქმნის განსხვავებულ პოეტურ სამყაროს — ეს ავტორის მიერ შექმნილი პარალელური რეალობაა, სადაც ყველაფერი, ერთი შეხედვით, ნატურალისტური, დამორგუნივლი და საზარელი, მაგრამ ამავედროულად დამატყვევებლად მომწუსხველი, მიმზიდველი და საკრალურია, სწორედ ამიტომ აქვს ასეთი ძლიერი ზემოქმედების ძალა.



რადგან „ბრძენ არ გყავს“, შემოქმედი არ ნებდება და მაშინ, როცა „დედამიწის გალავნისთვის ურჩხულს ტანი შემოუხვევია“... „რაინდი კი ჩონჩხშია და არა ჯავშანში“... თავად ტრანსფორმირდება ახალი დროის რაინდად, „უცხო მოყმედ“ და კორონასთავებიან ურჩხულთან შებმას გადაწყვეტს (ის წერილმანი გარემოება, რომ უკვე 81 წლისაა, ხელს ოდნავაც არ უშლის)... და სამყაროში, სადაც „პრეზიდენტები ჩონჩხში არიან“ გამოწყობილი, მკვდრებად ქცეულან ყოვლისშემძლენი ამა ქვეყნისანი, ანუ ისინი, ვისაც დედამიწაზე ზრუნვა, კაცობრიობის გადარჩენა ევალება, პოეტი, ნაცვლად მახვილისა, სიტყვას იმიშვლებს, ასეთ რიტორიკულ შეკითხვას დასვამს: „ვინ თქვა, რომ დედამიწას ჰაზარი აბრუნებს და არა ოცნება?“, იქვე დასძენს: „სისულელეს არ მოვეშვები — ეს ჩემი ნიჭია“ და ბრძოლაში მიდის... ასეთ დროს მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ჩვენს ახალ რეალობაში პოეტია ერთადერთი, ვისაც ბოლომდე აქვს გაცნობიერებული, მაშინ, როცა „ადამიანი ურევს“, მისი უნუგეშოდ დატოვება ბოროტებაა.

ბესიკ ხარანაული ერთ-ერთ ლექსში, თითქოს სასხვათაშორისოდ, ასეთ რამეს ამბობს: „აღმოვარჩინე განსხვავება ჩემსა და სხვებს შორის — ისინი დღეს წერენ გუმინდელს, მე კი დღეს ხვალის დავეწერ“, იქვე კი დასძენს: „ძველია ყველაფერი ჩემ გარდა“... და მაშინ, როცა: „დედამიწა გაჩერდა“, „ყოველ საგნისთვის უმთავრესი დისტანციაა“, „სიყვარული ჩამკვდარია ცოლქმართ ლოგინებში“ (და ადამიანების გულგებობა), „სულიერად და ხვალისდელი და ზეგინდელიც რომ უიმედოა“, „ისეთი მწუხარებაა, რომ სახელი და პასუხი არა აქვს“, „ადამიანი ადამიანისთვის გახდა ვარდი მომწამვლელი“, „ყველა სკამზე მხოლოდ ამპროტავინია“, „სენიანობის ნამდლს კითხულობს ყველა ცხრა მთას იქით და ცხრა მთას აქით“, „დედამიწა კი იშვება თავიდან“, სწორედ პოეტის სიტყვებს შესწევს მანუგეშებელი, შევებისმოგვრელი ძალა, სწორედ მისი ნიჭი და ძალისხმევა შთაგვაგონებს, რომ ახალი ვირუსივით ბუნდოვანი მომავალი ანმყოზე ბევრად უკეთესი იქნება.

აღნიშნულის უკეთ გასაზრებლად დავაკვირდეთ შემდეგ პოეტურ სტრიქონს: „მეც სახლში ვარ, შენც სახლში ხარ, დედამიწაც შეყრილა სახლში, გვიცქერის ფანჯრიდან.“ — პირველი ორი ფრაზა: „მეც სახლში ვარ, შენც სახლში ხარ“, რომელიც თითქოს ჩვენი სასტიკი ყოველდღიურობის ზუსტი ასლია, მაშინვე სულ სხვა შრეში, სივრცეა და განზომილებაში გადაინაცვლებს, როგორც კი პოეზია — „დედამიწაც შეყრილა სახლში, გვიცქერის ფანჯრიდან“ — შეერწყმება, სიკვდილის წინაშე სრულიად მარტო, შიშველი ხელებით დარჩენილ, იმედებშემოძარცვულ ადამიანებზე კი წყალში გაზავებულ დამამშვიდებელ საშუალებასავით მოქმედებს. თითქოს, ვიცოდით, მაგრამ ბოლომდე არ გვეჯეროდა, ახლა კი ვაცნობიერებთ, რომ მარტო არ დაგვრჩენილვართ, რომ ყველანი ერთად ვართ, რაც შანსს იმისა, რომ გადავრჩებით, მნიშვნელოვნად ზრდის.

„პოეტი მარტოა ახალ სამყაროში, სადაც ის პირველად მომჩინა შედის... ერთადერთი ნუგეში, რაც მას რჩება, არის ის, რომ ადამიანები მხოლოდ ჭკმარობით ცხოვრობენ (თუმცა მათ ხშირად სიყალბით ასაზრდოებენ), პოეტი კი ერთადერთია, ვინც შეავსებს, გააჯერებს ცხოვრებას, რომელშიც მოკვდავი ამ ჭკმარობის პოეტიკურ — წერს გიომ აპოლინერი წერილში „ახალი ცნობიერება და პოეტები“ 1918 წელს. ფრანგი პოეტის საუკუნით ადრე გამოთქმული ეს მოსაზრება კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ახალი რეალობის გაცნობიერების, სინამდვილის მხატვრული საზოგადოების ცნობიერების ამალეების საქმეში პოეზიასა და, ზოგადად, მხატვრულ ლიტერატურას ერთ-ერთი უმთავრესი როლი აკისრია (შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს შემოქმედს, ბესიკ ხარანაულს — მიკთვებისთვის პოეტის ერთ დროს უმთავრესი ფუნქციის — ერის სულიერი წინამძღოლის როლის შესხენება სწორედ ახლა გადაუწყვეტია). ჩემ მიერ ზემოთაღნიშნულ წერილში გიომ აპოლინერი ასეთ რამესაც ამბობს: „პოეტები ახალი რეალიზმის ფუნდამენტს შექმნიან, რომელიც ანტიკური საბერძნეთის პოეტურ და დახ-

ვენილ რეალიზმს ტოლს არ დაუდებს“, ჩვენი მხრივ კი, თამამად შეიძლება დავასკვნათ, რომ პანდემიასთან მიმართებით, ქართველმა პოეტებმა „ახალი რეალიზმის“ საკმაოდ მყარი ფუნდამენტის შექმნა შეძლეს.

პანდემიას ორი ლექსით გამოეხმაურა თანამედროვე ქართული კონვენციური ლექსის ერთ-ერთი მთავარი რეფორმატორი ვახტანგ ჯავახაძე. პოეტი მრავალი წლის განმავლობაში მისი შემოქმედების მეგზურად ქცეულ, ფაქტობრივად, განუყოფელ, ორგანულ ნაწილს — ირონიას — გვერდს გულგრილად ამჯერადაც ვერ უვლის და ლექსებში: „კორონავირუსი ანუ დაეტიე სახლში“ და „ანტივირუსი“ ჩვენს სინამდვილეს სწორედ ირონიის საშუალებით ასახავს. ერთსტროფიანი ლექსი „კო-

რონავირუსი ანუ დაეტიე სახლში“ სტრიქონებსა და სტრიქონებს შორის შემოქმედის ანტირუსულ განწყობასა და საზოგადოების პრორუსულად მოაზროვნე ნაწილისადმი სარკასტულ დამოკიდებულებას („მინდა მუდამ ვიქართველო და არასდროს ვირუსო“), პანდემიის თემის ხელოვნური „ინტელექტუალიზმის“ მცდელობისადმი ერთგვარად სკეპტიკურ, პარალელურად, ირონიულ განწყობას („ვინ ვოლტერი გაიხსენა, ვინ დიდრო და ვინ რუსო“) და ჩვენი დროის ერთ-ერთი მთავარი მოწოდების თუ რეკომენდაციის („ვინც სახლში არ დაეტიოს, ნიხლი მოხვედს ვირისო“) პაროდირებას იტევს. ომონიმური და ზუსტი რითმები: ვირუსო — ვირუსო — ვინ — რუსო — ვირისო — გარდა იმისა, რომ ლექსის სასიამოვნო ფუნდამენტს განსაზღვრავს, პოეტის ირონიულ პათოსსა და განწყობასაც აძლიერებს (ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ომონიმების — „ვირუსო-ვირუსო“ დანვითლება).

„მე თუ მკითხავთ, არ მაქვს ალტერნატივა, ვინაიდან ნაღდი კანდიდატი ვარ...“ წერს ლექსის ბოლოს 88 წლის ვახტანგ ჯავახაძე, რომელიც ასე და არა სხვაგვარად მხოლოდ იმიტომ იქცევა, რომ კანონისადმი პატივისცემასა და სამოქალაქო პასუხისმგებლობას გრძობს, თორემ ასაკის განმსაზღვრელი რიცხვები რომ პირობითია, რამდენიმე წლის წინ უკვე შეგვახსენა — როცა თანამედროვე ქართულ პოეზიაში ერთ-ერთი ყველაზე ხატოვანი ელევია შექმნა სიყვარულზე და სამყაროს მამოძრავებელი უმთავრესი გრძობის დამცველად, გნებავთ, სიყვარულის უკანასკნელ რაინდად მოგვევლინა.

„გადამივიწყეს თვითმფრინავებმა, გემებიც აღარ მეპიტნავენა, ნავებიც აღარ მენანავენა, მატარებლებიც მეცოტავენა და ვემალები ქუჩაში ნაცნობს, რომელიც მუდამ მეოცნავენა“.

ვკითხულობთ ლექსში „ანტივირუსი“, სადაც წინა ლექსთან შედარებით, ირონია შერბილებულია, მის გვერდით კი დააბუხებული მსოფლიოს და პირბადეების მასობრივი ტარების გამო გამოწვეული სევდაა რეპრეზენტირებული. თანამედროვე პოე-

ზიანი მხოლოდ ვახტანგ ჯავახიძეს შეუძლია „ახალი რეალობის“ ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი — ჩვენი დაპაუზებული რეალობა — პოეზიის ენაზე ასე გადათარგმნოს: „გემები აღარ მუშაობენ, ნავები აღარ მენანავენ, მატარებელიც მეცოტავება“... ზმნები: „მეცოტავება“, „მენანავენ“, „მეპოტავენ“, თითქოს, ჩვენს რეალობასთან წინააღმდეგობაშია და სასონარკვეთილებში ჩავარდნილი ადამიანებისთვის ნუგეშისცემას ცდილობს, შოკური მდგომარეობიდან გამოსვლაში ეხმარება, შთააგონებს: ტრანსპორტი იმიტომაც გაჩერებული, რომ მას სურს ასე.

პოეტმა ბათუ დანელიამ ლექსში „კარანტინი“ თანამედროვეობის ერთ-ერთი ისეთი აქტუალური პრობლემის რეპრეზენტაცია შექმნა, როგორცაა მარტოობა — გლობალური პანდემიის ფონზე რომ კიდევ უფრო ტრაგიკული ელფერი შეუქმნია. პოეტის სუბიექტური ტკივილიანი განცდები განზოგადებულ სახეს წარმოადგენს იმ მარტოხელა ადამიანებისა, საყოველთაო კარანტინის პირობებში ოთხ კედელს შორის რომ გამოკეტილან, ხმის გამცემი არავინ ჰყავთ და შიშების, ტკივილების, ტანჯვის, უსასტიკობის პირისპირ მართო დარჩენილები, იძულებულნი ხდებიან, უსიტყვოდ დაემორჩილონ გარედან მიღებულ დირექტივებს — იქნება ეს რეკომენდაცია „დარჩი სახლში“ თუ „დაიცავი სოციალური დისტანცია“...

ბუნებრივია, ასეთ დროს შინაგანი სიმშვიდისა და წონასწორობის შენარჩუნება ურთულესი ამოცანაა. სწორედ ამ წინააღმდეგობრივი განწყობით გამოწვეული შინაგანი მღელვარების გამოხატულება ლექსის ლირიკული გმირის ეს სიტყვები: „სახლში დარჩიო —

ვრჩები და ვრჩები და დავმგვანე მოთმენის სამოსს, თვალები, თითქოს, გამიხდნენ ჭები, რისგანაც წყალი ამოსვლას ლამობს.“ თუმცა, ერთი შეხედვით, სასონარკვეთილებში ჩავარდნილი პოეტი მძიმე მდგომარეობიდან გამოსავლას მალევე პოულობს და მთელ თავის შინაგან მღელვარებას, ძალას, ენერგიას... წარმოსახვის გაძლიერებებიკენ მიმართავს:

„ხვალ შეიძლება მესტუმრონ სახლში და ჩემთან დარჩნენ ეზო და ქუჩა.“

წერს ის, ამ სიტყვებს კი, თითქოს, სახლში დარჩენილთა ლაბირინთიდან გამოყვანა განუზრახავს. მართალია, მსოფლიოში ახალი წესრიგი დამყარებულია — ჩვენსავე უსაფრთხოებისთვის საყვარელ ქუჩებსა და ეზოებში თავისუფლად გადაადგილების უფლება ჩამოგვართვეს, მაგრამ სურვილს — ვინც (რაც) ასე გვაკლია, გვჭირდება, გვაკლავს და გვეტანჯება — ჩვენს სივრცეში შემოვიპატიჟოთ, წინ ვერაფერი დაუდგება. ბათუ დანელიას ლექსის პოეტურ სამყაროში ლირიკული გმირთან შესახვედრად არა მარტო ქუჩა და ეზო, არამედ, ხეები და ძველი სატროფოც კი ემზადებიან და მერე რა, რომ პოეტის წარმოსახვა და ფანტაზია ჩვენსავე გაცილებით ხატოვანი, მდიდარი, მეტყველი და შთაბეჭდავია... შეგვიძლია, ცოტათი მაინც მივბაძოთ — იქნებ, ტკივილი ასე მაინც დაცხრეს...

მარტოობაზე აკეთებს აქცენტს **ზინაბ სარიაც** — თანამედროვე მსოფლიოს ამ უმძიმეს სენს პოეტი წარმოსახვასა და ფიქრს უპირისპირებს. ამ საკითხთან მიმართებით, შემოქმედს ერთი ძვირფასი მიგნებაც ჰქონია, რომელსაც დაუნახებლად გვიზიარებს — ვინ იცის, ვის როგორ გვჭირდება და გამოგვადგება: „მატყუარაა სიმარტოვე... ვისზე ფიქრიც გამოიღება, ყველა აქ გყავს“. ეს სიტყვები კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ სამყაროში, სადაც, თითქოს, ყველაფერი თავდაყირა დამდგარა, წარმოსახვის გაფართოებით მარტოობის დამარცხება გადარჩენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად შეიძლება იქცეს.

მარტოობის პარალელურად ლექსში სახელწოდებით „COVID-19“, ზინაბ სარიაც პანდემიის პირობებში განსაკუთრებით თვალშისაცემ და მტკივნეულ ისეთ საკითხზე აკეთებს პედალირებას, როგორცაა ახალი წესრიგის შემქმნელების კიდევ ერთი რეკომენდაცია თუ დირექტივა, რომელიც ადამიანებისგან ხელების საპნით ხშირად დაბანის პარალელურად (რამიც, პრინციპში, ცუდი არაფერია) სხვებზე ხელის დაბანაც ითხოვს; სწორედ ამის საფუძველზე ახალ მომკვდინებელ ვირუსს პოეტი ინტორიკულ შეკითხვას უსვამს:

„თუ გადავიჩნი, ვინ ვიქნები?..“ ამ კითხვაზე პასუხი, იქნებ, ყველამ კარგად ვიცით, აი, პასუხის გაცემისგან კი თავს ვიკავებთ, თითქოს, ვერ ვებედავთ... ერთი კი ცხადია: ახალ რეალობაში ეს პრობლემა ისეთივე ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობასა და მასშტაბს იძენს, როგორც დედამიწაზე ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი; პირადად მე, ლექსის ნაკითხვის შემდეგ ისეთი განცდა დამეფულა, რომ თუკი გადარჩენის მიზნით ხელების ხშირი დაბანისას ვირუსთან ერთად ადამიანებზე ზრუნვის სურვილს, სიყვარულსა და მათ წინაშე პასუხისმგებლობასაც ჩამოვირეცხავ, აუცილებლად დავეკარგებ იმას, რაც ჩვენი პლანეტის სხვა ცოცხალი არსებებისგან განმასხვავებს.

ჩვენს ახალ რეალობაში ჟურნალისტიკა ერთ-ერთი იმ გამოწვევისთავანია, რომელსაც „დაპაუზება“ არ შეეხება. სწორედ ამიტომ, რეალობის ერთგვარი მიზაძვით, ჩემს წერილში ჟურნალისტიკის უმთავრესი ხერხის, შეკითხვის დასმის მეთოდი გამოვიყენე და ზეინაბ სარიას, რომელიც პოეტთან ერთად ლიტერატურათმცოდნე და ლიტერატურულ ჟურნალ „ეგვრის“ მთავარი რედაქტორიცაა, ვკითხე, რისი თქმა სურდა ლექსით მკითხველისთვის, რაზეც რესპონდენტმა ასე მიპასუხა: „1968 წლიდან, ანუ იმ დროიდან, როდესაც დაიბეჭდა როლან ბარტის სტატია „ავტორის სიკვდილი“, ცხადი გახდა, რომ ავტორი არ არის ის, ვინც განმარტავს ტექსტს. იზრდება მკითხველის ფუნქცია და მრავალფეროვანი ხდება ინტერპრეტაციები, ოღონდ არ უნდა იყოს ძალადობა ტექსტზე და თვითნებური ან ზედაპირული ნაკითხვები. ყოფილა შემთხვევა, მეც წამიკითხავს სხვისი ტექსტი ზედაპირულად, ნაჩქარევად და სხვახვალ მოსვლია ასეთი რამ ჩემს ტექსტზე. ნაწარმოების ჩაკვირებული კითხვა ყველაფრის გასაღები.“

მაგრამ თუ შემეკითხებიან, რა იყო ჩემი ძირითადი მიზანი, ან რა გახდა შთავგონების წყარო, ამაზე შეიძლება საუბარი, ოღონდ ერთია, რას ისახავს მიზნად ავტორი და მეორეა, რა გამოდის სინამდვილეში. უკვე შემდგარ ტექსტსა და ავტორის ჩანაფიქრს შორის შეიძლება თანაფარდობა არც იყოს, ამიტომაც ავტორის ინტენცია არც არის სახდო. და არც ენდობიან ისეთი თეორეტიკოსები, როგორებიც არიან: პოლ რიკორი, ჰანს გეორგ გადამერი, უელეკი, ფრია... აქვე დაგასახელებდი უმბერტო ეკოსაც. როგორც ვხედავთ, ამოსავალი მაინც ტექსტია. მხატვრული ნაწარმოები თვითონ ყველა საკუთარ თავზე და ძალიან ცოტას ნიშნავს (ან სულაც არაფერს), რას ისახავდა მიზნად ავტორი, ან რა შთავგონებდა მას.

...და მაინც, რაზე ვწერ ამ ლექსში? „COVID 19“ — ასეთი სწორხაზოვანი სათაური რომ მივეცი ტექსტს, ამით წამგებია სიტუაციაში ჩავიყენე თავი: იმთავითვე გზა ვუჩვენე მკითხველს, საით წარემართა ფიქრები. რატომ მოვიქეცი ასე?..

დინოზავრი და კოვიდ 19 — ორი საფრთხე — პრეისტორიული და თანამედროვე. განსხვავებაც თავად გამოვკვეთე: ის — ხმაურიანი, თავზარდამცემი და ეს — უჩინარი და არანაკლებ თავზარდამცემი... რატომ მოვიქეცი ამგვარად?.. ასე შემოვიტყუე მკითხველი ძირითად საფიქრალში: „ხელის დაბანვის“ ფრაზოლოგიზმი გავათამაშე და მთავარი ფინალური კითხვა დავსვი („ვინ ვიქნები, თუ გადავიჩნი?“). რაც დავზოგე მკითხველი დასაწყისში, ბოლოს გავუჩინე მძაფრი საფიქრალი. აქ ჩემი მთავარი ჩანაფიქრი შემიძლია გავამხილო: ლექსი ტექსტის ნაკითხვის შემდეგ გაჩენილი ფიქრებით იწყებს სიცოცხლეს. მე საფიქრალთან პირისპირ დავტოვე მკითხველი და მივეცი შესაძლებლობა, თავისი ფიქრი ეფიქრა“.

ნინო დარბაისელი ლექსში „პრიმა ვერა“ (რაც იტალიურად „გაზაფხულს“ ნიშნავს) ახალ კორონავირუსთან კონსტრუქციული დიალოგის წამოწყებას ცდილობს. პოეტს მომკვდინებელ სენთან გაბაასება მოგონებათა სკივრიდან ტკივილების ამოლაგებით, შემდეგ კი მისთვის სათითაოდ ჩვენებით განუზრახავს, თითქოს, ასე უფრო ადვილია სენის „მოშინაურება“, „მოთვინიერება“...

ლექსის შესავალი ნაწილი კორონასადმი მიძღვნილ ჰიმნად, უფრო ზუსტად კი, ანტიჰიმნად აღიქმება, სადაც ავტორი, უცხო, უსახო, უსხეულო სენის ვერბალიზაციას ერთი შეხედვით დადებითი კონოტა-

ციების მქონე ეპითეტებით ახერხებს („ფორმასრული“, „ფერადოვანი“, „რენესანსული ქალწულებით თუ ქალმერთებით სიცოცხლით სავსე“), რომლებსაც ლექსის ნარატივიდან და განწყობიდან გამომდინარე, ამბივალენტური მნიშვნელობები შეუძენიათ. და თუკი მეცნიერებას უცნობი დაავადების აბსტრაქტული ბუნების საილუსტრაციოდ მიკროსკოპი დასჭირდა, მის გარშემო არსებულ ბუნდოვანებას კი ნათელი მაინც ვერ მოჰფინა, რადგან ნარატივთან სრულიად შეუსაბამო ფორმა შექმნა, პოეტი COVID-19-ის შინაარსის ზუსტ დეფინიციას ეპითეტებისთვის დუალისტური, ორაზროვანი მნიშვნელობების მინიჭებით აღწევს — აქ დადებითი, თითქოს, უარყოფითს ნიშნავს, უარყოფითი კი — დადებითს — ზუსტად ისე, როგორც ახალ კორონავირუსზე გაკეთებული ტესტის შემთხვევაში.

ლექსის მეორე ნაწილში დაავადებასთან გაბაასების ძლიერი სურვილი, ავტორის სევდიან მონოლოგში, თვითრეფლექსიაში გადაიზრდება და მკითხველის თვალწინ პოეტის „უფსკრულებამდე ჩამიწებული, შავ-თეთრი, კუთხებზემოცრეცილი ახალგაზრდობის“ სურათების გაცოცხლება იწყება. ლექსის ნაკითხვის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს, ახალი კორონავირუსი ნინო დარბაისელს ერთგვარ მუხტს აძლევს იმისთვის, რომ „ჩვენი ქვეყნის თავისუფლების პირველი დღეები“ თანამედროვეობასთან მიმართებით კიდევ ერთხელ გაიზაროს, გადააფასოს... წარსულში დაგროვილი გამოცდილება კი, თითქოს, მის ტყუპისცალ ანწყობს გამოიყენოს.

„ჰო, კორონა, მე კვლავ დამჭირდა ჩემი ძველი გამოცდილება, როგორც საპონი და ნიღაბი... როგორც ფეხილი და კონსერვები... რომ დავებმარო დანარჩენებს, ჭირთუნახავებს.“

წერს ავტორი, მასთან ერთად კი ჩვენც ვაცნობიერებთ, რომ გამოცდილება, რაც არ უნდა მწარე და მტკივნეული იყოს, ნაგვის ურნაში გადასაყრელად არასდროს უნდა გავიმეტოთ, რომ ზოგჯერ ის იმ ადამიანების დასახმარებლადაც შეიძლება გამოგვადგეს, რომელთაც სწორედ მისი ნაკლებობის, თუ არარსებობის გამო უჭირთ და უმძიმთ ჩვენზე მეტად... აღნიშნული მოსაზრება ლექსში საინტერესო მხატვრული ხერხითაა ხორცშესხმული: ნაწარმოების ლირიკული გმირი, რომელიც, შეგვიძლია, ავტორის პროტოტიპადაც მივიჩინოთ — ამერიკაში მცხოვრები საშუალო ასაკის ქალი, რომელიც წლების განმავლობაში უხდია ფსიქოლოგს მსუყე თანხას იმისთვის, რომ მძიმე წარსულის დავიწყებაში დახმარებოდა, სწორედ პანდემიის პირობებში აცნობიერებს: რითიც 90-იანმა „დასაჩუქრა“, ახალ რეალობაში მისთვის ყველაზე ძვირფას და საჭირო მასალად იქცა.

ლექსში პოეტს მკითხველისთვის არც იმის შესხენება ავიწყდება, რომ: *„ქართველი დასაბამიდან სიკვდილს უყურებს და ნიადაგ ხელით ეხება, ხელს უტყაპუნებს ბეჭებზე და პირში შესციინის, მაშინ, როდესაც სხვები სწავლობენ, რომ სიკვდილის არსებობა არ დაივიწყონ“...*

ისტორიული რეალობა თუ ბედისწერა ჩვენს ქვეყანას არასდროს აზულუქებდა მსუყე კომფორტით, გულუბრყვლით კეთილდღეობით, საათივით აწყობილი, სიცოცხლიდან გამომშრალი ყოველდღიურობით, მოსაწყენად უსულგულო, პედანტურად ერთფეროვანი ბედნიერებით... ქართველს მუდმივად უნევდა ბრძოლა გადარჩენისთვის... ამერიკაში მცხოვრები ქართველი პოეტი „ჭირთუნახავების დახმარებაში“, ალბათ, სწორედ მსოფლიოს იმ ნაწილისთვის საკუთარი გამოცდილების გაზიარებას გულისხმობდა, ვისაც თვითადარჩენისთვის არასდროს უბრძოლია, ამიტომ ახალ რეალობაში ვერ ხვდება, როგორ უნდა მოიქცეს.

ლექსში საინტერესოაა გააზრებული ამქვეყნიური ცხოვრების ქრისტიანული აღქმა — რომ მზისქვეშეთში არაფერია ახალი, არც მარადიული, რომ განსაცდელი ისე უნდა მივიღოთ, როგორც გამოცდა — სასუფევლისკენ მიმავალ გზაზე გასავლე-

ლი საზვერე, წინააღობა, რომლის გადალახვის გარეშეც აღთქმულ მიწამდე ვერასდროს ჩავალწევთ...

გარდა იმისა, რომ პოეტია, ნინო დარბაისელი ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის მკვლევარიცაა, ამიტომ წერილზე მუშაობის პროცესში შეკითხვის დასმის მეთოდი კიდევ ერთხელ გამოვიყენე და მასაც ვკითხე, რა არის „პრიმა ვერა“ ძირითადი სათქმელი? პოეტის პასუხს უცვლელად გთავაზობთ: „როცა „პრიმა ვერა“ დაინერა — 2020 მარტის დასაწყისში — საქართველომდე ვერა ჭორად ძლივს იყო მოსული, რაღაც ახალი ვიწოვი ყოფილა ან არაო, ჩვენ კი, ამერიკაში უკვე დაზაფრულები ვიყავით. უცვლელად სხვა რეალობაში აღმოვჩნდით. ისეთი პანიკა ატყდა, მალაზიები მთლიანად დაცარიელდა.“

პირადად ჩემთვის დამშოკავი ამბავი იყო, როცა ინტერნეტში კორონას ულამაზესფერიანი, მიკროსკოპიან დაავადებულ პირველი ფოტოები დაიდო. ბოტიჩელის ნახატი „პრიმავერა“ მომგონა. ლექსი რომ გამოქვეყნდა ბეჭდურად, ერთმა ახლობელმა პირად წერილში მიითითა, „პრიმავერა“ — ეს ერთი სიტყვააო, მე კი ლექსზე მუშაობისას იგი საგანგებოდ „გაეჭერი“ და ფინალში პოეტური ტრანსფორმაციისთვის გამოვიყენე. გავიზრე, „ვერა“ — როგორც უარი, შეუძლებლობის გამო და კომპოზიცია ასე შევკარი...

ლექსში კორონა გააზრებული მაქვს, როგორც საერთო გლობალური განსაცდელი, შემდგომ ვიყენებ სოციალური ფსიქოლოგიის ექსპერიმენტთა გამოცდილებას, თუ როგორ იცვლება ჯგუფისა და ინდივიდის ქცევა, პრობლემის წინაშე დგომის სხვადასხვა საფეხურზე და ვუსადაგებ ქართულ გარემოს, ჩემს პირად გამოცდილებას... თავიდან ლექსი კორონას შესხმით, ქებით იწყება — გავიხსენოთ ხალხური სიტყვიერებიდან, მაგალითად ბატონების შელოცვა — ეს ერთგვარი ხრიკია სენის „მოსათავლავად“, მშვიდობით გასასტუმრებლად“...

პანდემიის თემაზე საინტერესო ტრუისტული ენციკლოპედია შექმნა **პაატა შამუგამი**. პოეტმა მისთვის ჩვეული ირონიისა და არტისტულობის ოსტატური შერწყმით, ცნობიერების ნაკადის, სატირისა და აბსურდის ელემენტების მკვეთრი მონაცვლეობით აქცენტით თანამედროვე ადამიანის წინაშე არსებულ ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ, პოლიტიკურ თუ ეგზისტენციულ კაზუსებზე გააკეთა, თითქოს, პანორამულად დაგვათვალირებინა თანამედროვეობის ყოველი ჩიხი — ბავშვთა მალაქი სიკვდილიანობით, ზოგადად მასობრივი სიკვდილით, ომებით, შიმშილით დაწყებული და როლან ბარტით, ფრიდრიხ ნიცშეით, სენეკათი, ლუცილიუსით, ფრედერიკ ბეგბედერით, ჩარლზ მეორით, „სეიფგარდით“, „კოკა-კოლაით“, მარსის ათვისების სურვილითა და უხანის პროვინციაში ღამურების დაგვიმთავრებით და მთავრებული... ამ ყველაფრის ერთ სივრცეში თანაარსებობით გამოწვეულ ქაოსსა და ტრაგიზმს კი, თითქოს, პოეტის ირონიანარევი იუმორი ანეიტრალებს. ავტორი გვარწმუნებს: „ხელოვნება სწორედ ამიტომ არსებობს — ცოტა ხნით მაინც გვეგონოს, რომ ცხოვრებას აზრი აქვს, ხოლო სიკვდილი... გადავადებულია გარკვეული დროით“ (ასეთი ოპტიმიზმი სწორედ ისაა, რაც დღევანდელობაში ყველაზე მეტად გვაკლია და გვჭირდება).

პოემის მთავარი გმირი, რა თქმა უნდა, რეალობის სრული მიზაძვით, არის სიკვდილი. მიუხედავად ამისა, პოეტი თავს არ ზოგავს ჩვენს დასარწმუნებლად, რომ სიკვდილი საერთოდ არ არსებობს. ძნელი დასაჯერებელია, არა? — „იცით, თუ არა, რომ“ აღნიშნული თეზა იმაზე აბსურდული ნამდვილად ვერ იქნება, ვიდრე ადამიანის სიცოცხლისა და სიკვდილის სტატისტიკის უზარმაზარ ბრჭყალებში მოქცევა; და თუკი ამ საზარელი აბსურდის ჭეშმარიტებაში ეჭვი არასდროს შეგვიტანია, რატომ არ შეიძლება, თეორემა სიკვდილის არარსებობის შესახებ ყოველგვარი დამტკიცების გარეშე, სრული სიმშვიდით, ჩვენივე ჩვეული ინფანტილიზმითა და გულგრილობით მივიღოთ? ეს ხომ იმაზე ბევრად სასიამოვნო აბსურდია, ვიდრე სიკვდილის მართონისთვის თვალყურის მუდმივი დევნება...



დასასრული

პოემის სოციალურ-პოლიტიკური ქვეტექსტების პოსტმოდერნისტულ კორიანტელში რამდენიმეჯერ ხატოვანი მეტაფორებიც გაკრთება ხოლმე, მაგალითად, ასეთი: „დრო შედედა“ — რაც ჩვენი ეპოქის სულის, განწყობის, სუნთქვისა და მაჯისცემის საინტერესო მხატვრული ილუსტრაციაა. შემთხვევითი არ არის, რომ პოემაში ყველაზე ხშირად მეორდება ფრაზა: „იციოთ თუ არა რომ“... დაიხ, ჩვენ ვიცით, რამდენი მილიონი ადამიანი დაინფიცირებული დედამინაზე ახალი კორონავირუსით, რამდენია მათ შორის გარდაცვლილი, რამდენი — გამოჯანმრთლებული, მაგრამ, სამწუხაროდ, არ ვიცით, როგორ გადავრჩეთ, ასეთ მძიმე დროს კი კარგი იქნება, თუ პოეტის იუმორს მივბაძავთ და იმაზეც კი ვაგვეცინება, რაც სასაცილოდ სულაც არ გამოიყურება. რატომ უნდა გავიცინოთ? პაატა შამუგიასა და ფსიქოლოგებს თუ დავუჯერებთ, სიცოცხლის დროს მეტი ჟანგბადი შედის სხეულში — ჟანგბადი, რომელიც ახლა ასე სჭირდებათ ახალი ვირუსით დასნეულებულ ადამიანებს...

პირადად მე ლექსის ნაკითხვამდე ვერც კი წარმოვიდგინდი, ისეთ უმძიმეს თემას, როგორც პანდემია, ირონია თუ მოუხდებოდა, მაგრამ პაატა შამუგია იმდენად ოსტატურად ახერხებს ტრაგიკულისა და კომიკურის მონაცვლეობას, რომ ლექსის კითხვის პროცესში არც ზედმეტი ტრაგიზმი გვამძიმებს, არც მტკივნეული თემებისადმი ირონიული და იუმორისტული დამოკიდებულება გვავიზიანებს — ავტორს ზომიერების გრძნობა ერთხელაც არ ღალატობს, შინაგანი წონასწორობის დაცვასაც მუდმივად ახერხებს, მკითხველიც ერთი პოლუსიდან მეორეში ისე გადაინაცვლებს, უკიდურესობაში არასდროს ვარდება. ვინ იცის, იქნებ, სწორედ ასეთმა ორსახოვანმა, ორბუნებოვანმა დამოკიდებულებამ იხსნას კაცობრიობა „დიდი დეპრესიისა“ და ყველგან ასე გაბატონებული ნიჰილიზმისგან?..

„აღსასრულის იმიტაციით სამყარო იწყებს თავის მომავალს,“ — ეს ციტატა ფინალური ფრაზაა ზაალ ჯალალონიას პანდემიისადმი მიძღვნილი ლექსისა „აღსასრულის იმიტაცია“. აღნიშნული სტროფი, თითქოს, ლექსს კრავს, ამთლიანებს, თან ყველაფერს ნათელს ჰფენს: ნაწარმოების დასასრულში დეტალურად აღწერილი ქვეყნიერების აპოკალიფსის სურათი, ასე ძალიან რომ ჰგავს ჩვენს ყოველდღიურობას, მხოლოდღა აღსასრულის იმიტაცია აღმოჩნდება, ეს კი, თითქოს, იმაში გვარწმუნებს, რომ ყველაფერი არც ისე ცუდადაა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, როგორც მედიასაშუალებები ცდილობენ ჩვენთვის მის დანახვებას... და რომ დედამინა აუცილებლად გადარჩება...

პოეტი ლექსის ფაბულას ოსტატურად აგებს: დაძაბულობის, საშინელების განცდას საფეხურებრივად — ნაბიჯ-ნაბიჯ ძლიერდება, ყველაფერი, თითქოს, ძალიან ნაცნობი, რეალური და ხელშეხებად ცხადია, თუმცა, ბუნებრივია, პოეტის მახვილი და დაკვირვებულ მზერა სინამდვილისადმი ბევრად მგრძობიარეა, ამიტომ მკითხველი ზედაპირიდან ხილრემეში, ანუ იმ განზომილებებში გადაჰყავს, სადაც დამოუკიდებლად ვერასდროს ჩააღწევდა.

ზაალ ჯალალონიას ლექსში ევროპული მეგაპოლისის, პარიზის პოეტურ რეკონსტრუქციას ქმნის (პოეტი წლებია, ამ ქალაქში ცხოვრობს). მკითხველი ავტორთან ერთად ათვალთვრებს „უცნაურ ქალაქს“, რომელიც ყველას ძალიან აფრთხობს. აქ მთავარ გმირად შიში ქცეულა — ჰაერშიც კი გვზაფრავს და გვთრგუნავს, შიშისმომგვრელი ნიღბები მოურგიათ სუპერმარკეტებს, დაცარიელებულ ქუჩებსა და ტაძრებს, ჩვენს პირად ნივთებს... ადამიანის სახე შეცვლილა, სიზმრები ბნელი და პირქუში გამხდარა, გარშემო ტანჯული კაცის ყრუ შედახილი ისმის და ანტისეპტიკის მძაფრი სუნი ტრიალებს, ადამიანებს კი ყველაზე მეტად საკუთარი თავის ეშინიათ.

პანდემიის თემაზე ჩემ მიერ აქამდე განხილული მხატვრული ტექსტებიდან ზაალ ჯალალონიას ლექსი ერთადერთია, სადაც ბოროტება გარედან კი არა, საკუთარი თავიდან, უფრო სწორად კი, ზოგადად ადამიანიდან თუ მისი ისტორიული წარსულიდან გამოდის. „ის იდუმალი, თავს რომ გვესხმის ყოველი მხრიდან, ჩვენი თავიდან

აღდგა ოდესლაც,“ — წერს ავტორი. ძნელი სათქმელია, ამ ფრაზაში ადამის დროიდან დღემდე კაცობრიობის გონის მიერ ჩადენილი და დედამინაზე ბუმერანგით დაბრუნებული ბოროტება იგულისხმება, თუ ტექნოკრატულ ეპოქაში ადამიანის ყველაფერზე გაბატონების სურვილი — სამყაროსადმი უტილიტარული დამოკიდებულებით, ბუნების დამორჩილების დაუოკებელი ვნებითა და ადამიანებისადმი სრული გულგრილობით რომ გამოიხატება. იქნებ, ორივე ერთად...

„გაფრთხილებაა, რომ გადარჩე და შეიცვალო,“ — წერს პოეტი და, მართლაც, როდის, თუ არა ახლა, დამდგარ დრო ყველაფრის გადაფასებისა და იმის გაცნობიერებისა, რომ ადამიანებს მხოლოდ სიკეთე მოგვეთხოვება...


დისტანციური მუშაობა ახალი კორონავირუსის პანდემიის კიდევ ერთი — მარკეტინგისა და პიარის ენით რომ ვთქვათ, „ახალი გამოწვევაა“. ქეთი გზირიშვილის

ლის შიშით სოროებში დამალულებს შთაგვაგონოს, რომ ახლა თავდადების, თავგანწირვისა და სიყვარულის სწორედ ასეთი ისტორიების დროა — სულიერ სიკვდილს ამგვარად თუ გადავურჩებით, სწორედ ასე გავიარებთ, გადარჩენისთვის მთავარი სიყვარულის უნარის ჩახშობა კი არა, მის გადასარჩენად ბრძოლა რომაა, იმ ადამიანების ცხოვრებისა და მოღვაწეობის გადამეორება კი, ვინც თავიანთი სიცოცხლე სწორედ სიყვარულის სახელით, სხვების სიცოცხლის გადასარჩენად გაწირა, ამ ურთულეს გზაზე ძალიან დაგვეხმარება.

პანდემიის დროს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ხათუნა როგავას რჩევაც — პოეტი, საყოველთაო კარანტინის პირობებში, მკითხველს სთავაზობს, „მშინური ნერვების გასართობად“ პოეზიას მიმართოს. სწორედ თანამედროვე ქართულ პოეზიაა მისი ლექსის მთავარი გმირი. „ლექსქალაქის ვიტრინები გადაზნექილა

თიანებენ და სასაუბრო ენის ერთგვარ პაროდირებასაც ახდენენ — „კორონაზე დაუტესტავები“, „კორონაზე დასატესტები“, „კორონაზე დატესტილები“, „კორონით დაუინფიცირებლები“, „კორონით დაინფიცირებულები“, „უკარანტინოები“, „საკარანტინოები“, „უკორონოები“, „საკორონოები“, „კორონიანები“, „კორონაგამოვლილები“...

ახალი კორონავირუსი ქართული საბავშვო პოეზიის ინტერესის ობიექტივშიც აღმოჩნდა. ვასილ გულუერმა ამ ერთი შეხედვით არასაბავშვო თემას რამდენიმე ლექსი მიუძღვნა და, ამით, თითქოს, ჩვენს პატარებს — ასეთი მძიმე დრო რომ დაუდგათ (ფსიქოლოგების აზრით, პირველ რიგში, სწორედ ბავშვები აღმოჩნდნენ ახალი კორონავირუსის ერთ-ერთი მთავარი მსხვერპლი, რადგან არაერთი ფსიქოლოგიური პრობლემის წინაშე დგანან), ახალი რე-



სოფო წულაია

პანდემიის რეპრეზენტაცია ქართულ პოეზიაში

ლექსი „ჩართვა“ სწორედ ამ თემის რეპრეზენტაციას ახდენს. მართალია, „ცივი ღილაკები“, დიდი ხანია, ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად ქცეულან, მაგრამ საკუთარ სახლში დისტანციურად შესრულებულმა სამუშაომ, რეალურიდან დისტანციურ სივრცეში გადანაცვლებულმა სასწავლო პროცესმა, გაყიდვებმა თუ სხვადასხვა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებმა, ამ ღილაკების მნიშვნელობა კიდევ უფრო გააფართოვეს და თუკი ადრე ისინი ჩვენი ცხოვრების მეორეხარისხოვანი პერსონაჟები იყვნენ, ახალ რეალობაში უკვე მთავარ გმირებად ქცეულან. ლექსში კარგად ჩანს, რომ პოეტი აღნიშნული სიახლით დიდად აღფრთოვანებული არ არის, თუმცა, დისტანციურად შესრულებულ სამუშაოზე მეტად დისტანციური სიყვარულის ბედი აღელვებს, სიყვარულის, რომელიც, თითქოს, ყველამ სასიკვდილოდ გაიმეტა.

ახალი არაფერია იმაში, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებმა, კარგა ხანია, ინტროვერტებად გვაქცია — თითქოს, საკუთარ თავში ჩავვაბრუნე და სამყაროს სრულფასოვნად აღქმის სურვილი და უნარი წაგვართვა, მაგრამ პანდემიამ ჩვენი მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა — თითქოს, ყველანი ჩვენს მიკრო სამყაროში ჩაკეცეთ, სადაც მარტოობა, ფსიქიკური გაუნწონასწორობა, სულიერი თუ ფიზიკური გადაღლილობა, სიყვარულის შეუძლებლობა თუ უუნარობა და აპათიაა გამეფებული... სწორედ ასეთი ტკივილით, მარტობით, სიცარიელთა, უჰაერობითა და უსიყვარულობით ვაჯერებულ სივრცეში იქცევა პოეტის ინსპირაციის წყაროდ მიქელ თამარათი (მიხეილ თამარაშვილი) — ცნობილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, რომლის ცხოვრებასა და შემოქმედებასაც ქეთი გზირიშვილი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დისტანციურად იკვლევს. მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ თამარაშვილსა და პოეტს შორის მანძილი მთელი ერთი საუკუნეა, ქართველი მეცნიერის თავგანწირვა უცხო ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად, ავტორის პირქუშ, უფერულ სინამდვილეში ერთადერთ ნათელ ნერტილად იქცევა... პოეტი, თითქოს, ცდილობს, სიკვდი-

მათი სიუზისგან,“ — წერს ავტორი ლექსში „როცა საყოველთაო კარანტინია“ — და, მართლაც: კაცობრიობისთვის პანდემიამ მხოლოდ ერთი საჩუქარი — ბევრი თავისუფალი დრო გაიმეტა, ეს კი ისაა, რის ნაკლებობასაც მუდამ ვუჩიოდით და, ახლა, როცა დრო თავსეხსაყრელად გვაქვს, თითქოს, საკუთარ თავსა თუ სხვებშიც ბევრად მეტი პოეზიის აღმოჩენას ვახერხებთ.

მართალია, ხათუნა როგავას აზრით, „ლექსქალაქში“ შექმნილი ყველა ლექსი ერთნაირ ყურადღებას არ იმსახურებს, რადგან „ზოგი ნაკლებკალორიული, თუმცა ვიზუალურად თვალნარმტაცია“, ზოგი — „კუსტარულად დამზადებულ ფერად საღებავებში ჩამოუყუჩებული, სიცოცხლისთვის ნაკლებადსაშიში“, ზოგი კი „ობიექტურად აღნიშნული დიეტური ვერლობრი“... (აღსანიშნავია, რომ პოეტი, თითქოს, ირონიულად, ამავდროულად კი გულისტკივილით საუბრობს თანამედროვე ქართული ლიტერატურის ისეთ ტენდენციებზე, სხვადასხვა მიზეზის გამო, ზოგჯერ ნაკლებადღირებულის წინ წამოწევას რომ ემსახურება), მაგრამ, საბედნიეროდ, ჩვენ ირგვლივ არც ჭეშმარიტი პოეზიაა იშვიათობა, მაგალითად, ჩემ მიერ წერილისთვის შერჩეული ყველა ლექსი მაღალმხატვრული პოეზიის ნიმუშს წარმოადგენს — ისეთს, მკითხველის სულიერი შიშისთვის მოკვლის ძალა და უნარი რომ შესწევს, ამიტომ მისთვის თავის შეფარება ურიგო რჩევა ნამდვილად არ უნდა იყოს.

ხათუნა როგავას ლექსი „როცა საყოველთაო კარანტინია“, პანდემიის რეპრეზენტაციის კუთხით, კიდევ ერთი მიზეზის გამოა მნიშვნელოვანი: პოეტი ვირუსის გავრცელების შემდეგ წარმოქმნილი და მეტყველებაში უკვე მყარად დამკვიდრებული ახალი ლექსიკური ერთეულების საინტერესო პოეტურ ინტერპრეტაციებს გვთავაზობს; ახალი ენობრივი კონსტრუქციებიდან ზოგი ეკლექტური, ზოგი — გამაღიზიანებლად ხელმოწერილი, ზოგი კი ძალიან ზუსტი, ანუ ისეთია, ჩვენს ეპოქას რომ შეესატყვისება. პოეტი სწორედ ამ ახალი ენობრივი ერთეულებისგან ქმნის შედგენილ ეპითეტებს, რომლებიც თავიანთ თავში თანამედროვე ეპოქისთვის ნიშანდობლივ კლიშეებს, სტიგმებსა და შიშებსაც აერ-

ალობის გაცნობიერებაში დაეხმარა. ლექსის მთავარი გმირები: კაჭკაჭი, ბუ, ცხენი, ვირი... COVID-19-ზე სასაცილო ისტორიებს ყვებიან, ახალ რეალობაში წარმოქმნილი ენობრივი ერთეულებისგან სიტყვების საინტერესო თამაშს მიმართავენ, პარალელურად კი პატარებს შეახსენებენ, რომ ავადმყოფობის დროს მედიკამენტების მიღება აუცილებელია.

როგორც ვხედავთ, პანდემიამ თანამედროვე ქართულ პოეზიაში საკმაოდ დიდი გამოხმაურება ჰპოვა. სამწუხაროდ, ერთი წერილის ფორმატი არ ითვალისწინებს და ვერც შეძლებს ამ თემაზე შექმნილი ყველა მხატვრული ტექსტის სრულყოფილ ანალიზს, ამიტომ, ბუნებრივია, არაერთი საინტერესო ნაწარმოები ყურადღების მიღმა დამრჩა. ჩემ მიერ წერილში განხილული მხატვრული ტექსტების დიდი ნაწილის, ასევე სხვა ავტორების მიერ პანდემიის თემაზე შექმნილი ლექსების ნაკითხვა შეგიძლიათ პოეტ ბელა ჩეკურიშვილის ბლოგზე „Bela Chekurishvili's Corner“. აღსანიშნავია, რომ თვითნაირი ლექსებისთვის ავტორები თავადვე არჩევენ შესაფერის ფოტოს, რითაც ინტერნეტსივრცეში პოეზიისა და ვიზუალური ხელოვნების ერთგვარი დიალოგი შედგა. „ონლაინ-მეხსიერება ბექედურზე არანაკლებ საიმედო ჩანს. ვცა-დლოთ, გაუფრთხილდით მომავალს 2020 წლის ამბები,“ — ვკითხულობთ ბლოგის მთავარ გვერდზე.

მინდა, ისიც აღვნიშნო, რომ საანალიზო ლექსების შერჩევისას მაქსიმალურად შევეცადე, ისეთი ტექსტები შემერჩია, რომლებიც, გარდა იმისა, რომ ეპოქის საინტერესო მხატვრულ სახეს ქმნიან, თანამედროვე სამყაროში გაბატონებულ უიმედო და დეპრესიულ განწყობასაც შეძლებისდაგვარად აქარვებენ, ფანტავენ, მკითხველს ანუგეგმებენ და იმედიან და მომავლისადმი რწმენით აღავსებენ.

დარწმუნებული ვარ, პანდემიის თემაზე ქართველი ავტორები კიდევ არაერთხელ დაწერენ — მსოფლიოს ახალი რეალობის ამსახველი საინტერესო მხატვრული სახეები შეიქმნება როგორც პოეზიაში, ისე პროზაში, ლიტერატურული კრიტიკა კი მათ ერთ სისტემაში მოქცევასა და ამომწურავ ანალიზს შემოგვთავაზებს.

მალე „კავკასიური სახლი“ გამოსცემს კრებულს „გოეთე ერთ წიგნად“, სადაც დიდი გერმანელი კლასიკოსის, იოჰან ვოლფგანგ გოეთეს ნაწარმოებებიც შევა და მისი პიროვნებისა და შემოქმედების ანალიზიც, თანამედროვეთა მოგონებები, ფრაგმენტები გოეთეს წერილებისა და მისი მდივნისა და მეგობრის, ეკერმანის ცნობილი წიგნიდან „საუბრები გოეთესთან“.

საგანგებოდ ამ წიგნისათვის მომზადდა გოეთეს ლექსების ახალი თარგმანები, მათ შორის მისი ყველაზე ცნობილი და ყველაზე იდუმალი ლექსისა „ტყეთა მეფე“, რომელსაც მარინა ცვეტაევა სისხარტითა და ემოციური მუხტით სრულიად უბადლო ესე „ორი“ ტყის მეფე“ მიუძღვნა. ესეში ერთმანეთსაა შედარებული გოეთესეული დედანი და ცვეტაევას დროს უკვე კლასიკურად აღიარებული ვასილ ჟუკოვსკისეული თარგმანი.

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ტყეთა მეფე

ვინ მიაჩნებს ცხენს უკუნეთ ღამეში, ქარში? მამაა, ხელში რომ უჭირავს თავისი ბავშვი. საიმედოდ აქვს მოხვეული ორივე მკლავი, ბიჭუნას თბილად მიუყრდნია მამისთვის თავი.

სახეს რად მალავ, ჩემო ბიჭო, ვის უფროსი ასე? ვერ ხედავ, მამა, ტყეთა მეფე რომ მოდის გზაზე? მოსასხამი რომ გრძლად მოსთრევს და გვირგვინი ადგას? — ნისლის ზოლია, ჩემო ბიჭო, აცივდა რადგან.

„ჩემთან ნამოდი, საყვარელო, ნუ სდევ მამაშენს, გეთამაშები საუცხოო, ღამაზე თამაშებს. ნაპირზე ხარობს უამრავი ჭრელი ყვავილი. დედაჩემს ოქროს სამოსი აქვს ნაირ-ნაირი.“

მამა, მამილო, ნუთუ მართლა არ გეყურება, რას ჩამოწმობს ტყეთა მეფე, რას მეუბნება? — მშვიდად იყავი, ჩემო შვილო, ნუ შეშფოთდები: ქარის ზუზუნში შრიალებენ ხმელი ფოთლები.


„ჩემთან ნამოსვლას, კარგო ბიჭო, თქვი, არ ინებებ? გელოდებიან უკვე ჩემი ქალიშვილები, ღამის ფერხულში ჩაბმულან და ცეკვა-სიმღერით დაგაძინებენ, დაგარწვენენ, რომ დაილღები“.

მამა, მამილო, იქით მხარეს ვერ ხედავ, განა, ამ ტყეთა მეფის ქალიშვილებს, ბინდში რომ დგანან? — ო, ჩემო ბიჭო, ჩემო ბიჭო, მკაფიოდ ვხედავ: ვერცხლისფრად მბზინავ ვარჯჯებს ბებერ ტირიფის ხეთა.

„მიყვარხარ, შენი კობტა სახე თავისკენ მიხმობს; და თუ ნებით არ დამთანხმდები, მამ, ძალას ვიხმარ“. მამა, მამილო, მიჭერს, ხელი ჩამავლო მაჯას! ტკივილს მაყენებს ტყეთა მეფე, ძალიან მტანჯავს! —

შეძრუნდა მამა, მიაჩნებს ცხენს გამალებით, კენესის ბავშვი და მიეღულა უკვე თვალები. ძლივძლივობით და გაჭირვებით ეზომდე აღწევს; მის მკლავებს უკვე მკვდარი ბავშვის სხეული აწევს.

თარგმან ვასილ გულუშრა პნკარედი თამარ კოტრიკაძისა



მარინა ცვეტაევა

ორი „ტყის მეფე“



ბოიმიხს „ტყის მეფის“ სიტყვასიტყვითი თარგმანი:

ასე გვიან ვინ მიაჩნებს ცხენს ქარსა და ღამეში? ეს მამაა თავისი ბავშვით. ბიჭუნა მაგრად ჩაუკრავს გულში, ბავშვი მამასთან მშვიდადაა, ბავშვი მამასთან თბილადაა. — ჩემო შვილო, ასე მფრთხილად სახეს რად მალავ? — მამა, ვერ ხედავ ტყის მეფეს? ტყის მეფეს გვირგვინითა და კუდით? — ჩემო შვილო, ეს ნისლის ზოლია! „ძვირფასო ბავშვო, მოდი ჩემთან, მე ნამომეყვი! საოცარ თამაშებს გეთამაშები. ჩემს სანაპიროზე მრავალი ჭრელი ყვავილია, დედაჩემს მრავალი ჭრელი სამოსი აქვს!“ — მამა, მამა, ნუთუ არ გესმის, ტყის მეფე ჩურჩულთ რასაც მპირდება? — დამშვიდდი, ჩემო შვილო, ნუ გეშინია, ჩემო შვილო, ხმელ ფოთლებში ქარი შრიალებს. „გსურს, ნაზო ბიჭუნა, მე გამომეყვე? ჩემი ასულები საოცრად მოგივლიან, ჩემი ასულები ღამის ფერხულს უვლიან, — გინანავებენ, გიცეკვებენ, გიმღერებენ“. — მამა, მამა, ნუთუ ვერ ხედავ იქ, იმ პირქუშ წყვილია ტყის მეფის ასულებს? — ჩემო შვილო, ჩემო შვილო, ზუსტად ვხედავ: ეს ბებერი ტირიფები ელაგვენ ასე რუხად... „მიყვარხარ, შენი სილამაზე აღმატკენს! ნებით თუ არ გსურს — ძალით ნაგყვანს!“ — მამა, მამა, მან ხელი დამავლო! ტყის მეფემ ტკივილი მომაყენა! მამას ძრწოლა ეუფლება, სწრაფად მიაჩნებს, აკვნესებული ბავშვი მკლავებში უპყრია, გაჭირვებით, ძალისხმევით აღწევს ეზოს — ბავშვი მის ხელში მკვდარია.

Schwanz და Schweif; მაგალითად — ძალღს Schwanz აქვს, ხოლო Schweif — ლომს, ეშმას, კომეტას და — ტყის მეფეს. ამიტომაც, რომ ვამბობ, ტყის მეფეს კუდი აქვს-მეთქი, ამით მას ვამბობ, ვამცირებ. მეორე სიტყვა — fein, რომელიც ვთარგმნე, როგორც „ნაზი“ და ცუდადაც ვთარგმნე, რადგან ის, პირველყოფილისა, აღმატებულ ხარისხს ნიშნავს: საგნისა თუ ადამიანის გამორჩეულობას, გაუყალბებლობას, სინატიფეს, პატიოსნებას, კეთილშობილებას. ამ შემთხვევაში „კეთილშობილსაც“ ნიშნავს „დიდებულსაც“, „ნაზსაც“ და „რჩეულსაც“. შესამე სიტყვაა ზმნა reizen, reizen — პირველადი მნიშვნელობით — გაღიზიანება, აღგზნება (მუდამ რალაც ცუდის: მრისხანების, უბედურების და ასე შემდეგ), აღძვრა, გამოწვევა. და მხოლოდ მეორადი აზრით — მოჯადოება. ეს სიტყვა აქვერც სრული, ვერც პირველადი აზრით ვერ ითარგმნება. ფესვით ყველაზე ახლოა: გამაღიზიანა (გამომიწვია) შენმა სილამაზემ, აზრობრივად: აღმატკინა. ამავე რიგში მესამე სიტყვაა Gestalt — ფიგურა, აგებულება, იერსახე, ფორმა. სახე — ფართო გაგებით, თლიანობაში ადამიანს, ადამიანის გარეგნულ გამოცხადებას რომ გულისხმობს. მეხოთე — scheinen, გერმანულში ჩვენებასაც ნიშნავს (მეჩვენება), ნათებასაც, გაეღებებასაც და მოლანდებასაც. მეექვსე უთარგმნადი სიტყვაა Leids. „ტკივილი მომაყენა“ ნაკლებია, ვიდრე „Leids getan“, რომელიც თანაბრად და თანადროულად ტკივილსაც ნიშნავს, ზიანსაც, ჯადოსაც, გოეთესეული მნიშვნელობით გამოუსწორებელ ჯადოს — სიკვდილს.

ჩვენ ყველაფერი ჩამოვთვალეთ, რისი გადმორუსულებაც ჟუკოვსკის არ შეეძლო, ან რისი გადმოტანაც მხოლოდ გაუმართლებელი და, შესაძლოა, ფუჭი შრომაც იქნებოდა. ახლა კი გადავიდეთ იმაზე, რაც მან თვითნებურად შეცვალა (სიტყვა „თვითნებურად“ ლექსთან მიმართებაში სრულიად დასაშვებია). პირველსავე სტროფში ვხედავთ იმას, რასაც გოეთესთან ვერ ვხედა-

ვთ: ცხენოსანი მოხუცადაა ნაჩვენები, ბავშვი აცახცახებულია — ტყის მეფის პირველ გამოჩენამდევე აცახცახებული, რაც იმთავითვე გვაფიქრებინებს, რომ თვით ტყის მეფეც მხოლოდ ციებიანი ბავშვის ზმანებაა, რაც გოეთეს არ აქვს: მასთან ბავშვი სწორედ ტყის მეფის ნამდვილობისაგან ცახცახებს (დაინახა — ამიტომაც ცახცახებს. იმიტომ აცახცახდა, რომ დაინახა). ასევე შეცვლილია მამის შესტი, გოეთესთან შვილს მაგრად და თბილად რომ იკრავს გულში, ჟუკოვსკისთან კი ცახცახის გამო ათბობს. ამიტომ ქრება მამის გაკვირვებაც: „შვილო, ასე მფრთხილად რად მეკვირები?“ — გაკვირვება, რომელიც გოეთესთან იმითაა გამართლებული და გაათამაგებული, რომ ზმანებამდე ბავშვი თავს შესანიშნავად გრძნობდა. მეორე სტროფის ყველა პნკარი შეცვლილია. ტყის მეფის პირველი ხილვა აღწერილობითია, ბავშვის პირითაა მოცემული: „Родимый, Лесной Царь в глаза мне сверкнул!“ („მამილო, ტყის მეფემ თვალში შემომანათა!“ — მამინ, როდესაც გოეთესთან („ნუთუ, ვერ ხედავ ტყის მეფეს?“) იმპერატიული, ჰინოტურია — ბავშვს არ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება, ეს ვერ დაინახო, ის ტყის მეფეს მამასაც შთააგონებს. „ვხედავ“-სა და „ნუთუ ვერ ხედავ?“-ს შორის უფსკრულია. ახლა თვით ხილვას მივუბრუნდეთ. ჟუკოვსკისთან ვხედავთ დარბაისელ მოხუცს, „მუქი გვირგვინით, ხშირი წვერით“, ის მწყემსი დავითის თვალთ დაწახულად დამწუხრებულ მეფე საულს ჰგავს. ყველაფრის მიუხედავად, ყოველივე მეფურის მსგავსად, ისიც დამამშვიდებლად მოქმედებს. გოეთესთან — განუსაზღვრელი — ვერგანსაზღვრადი! — გაურკვეველი ასაკის, უასაკო არსება, ერთთვად ლომის კუდიან და გვირგვინისაგან რომ შედგება — დემონი, რომლის კუდიანობასაც უშუალოდ ესატყვისება ნისლის „ზოლი“ (ნაგლეჯი, ნაკვესი, ნაკუნ, Streif), ისევე, როგორც ჟუკოვსკისთან წვერს ზოგადად წყალზე განოლილი ზოგადი ნისლი შეესაბამება.

ის საცდურები როგორიღაა, რითაც ტყის მეფე ბიჭუნას ხიბლავს? იმთავითვე უნდა ვთქვათ, რომ გოეთესეული ტყის მეფე ბავშვის გულს უკეთ იცნობდა. ის გასაოცარი თამაშები, რითაც ბავშვს გართობას პირდება, ბევრად მიმზიდველია, ვიდრე ჟუკოვსკისეული განუსაზღვრელი: „весело много в моей стороне“ („ბევრი რამ არის მხიარული ჩემს ქვეყანაში“), ისევე, როგორც ის ოქროს სამოსი, რითაც ბავშვს ტყის მეფის დედა შემოსავს, ოქროს ცივ დარბაზებზე უფრო მაცდურია. მეოთხე სტროფში კიდევ უფრო მეტია აცდე-

ნა. ბავშვის მიერ ჩამოთვლილი საცდურნი (ან რა საცდურნი — „ოქრო, მარგალიტი, მხიარულება...“ ასე თურქ ქალს ვინმე ფაშა თუ აცდუნებს...) ბევრად ნაკლებად გვაღელვებს, ვიდრე ბავშვის მიერ მათი ოდენ ხსენება, მათზე მინიშნება, მათი ვერგამაღლენება: „მამა, მამა, ნუთუ არ გესმის, ტყის მეფე ხმადაბლა რასაც მპირდება?“ — და პირების ხმადაბალი კილოთი, ალთქმულის ვერდასახელებით გაასმაგებული ეს, რასაც თვალწინ ისე მძლავრ, შემზარავ და ნეტარ ხილვებს გვიშლის, „მარგალიტა და ნაკადა“ („цветы бирюзовы, жемчужны струи“) იდილიურ ავტორს რომ არც კი დასიზმრებია. როგორია მამების პასუხები? ჟუკოვსკისთან — უდრტვინველი: „О нет, мой младенец, слышался ты, — ветер, проснувшись, колыхнул листья“ („ო, არა, ჩემო პატარავ, მოგჩვენა, — ქარმა შეიღვიძა და ფოთლები შეარხია“), გოეთესთან კი გულგახეთქილი: „დამშვიდდი, შვილო! ნუ გეშინია, შვილო! ხმელ ფოთლებს ქარი აშრიალებს“. პასუხი, რომელშიც გული თითოეული სიტყვით სცემს განგაშს. პასუხი, რომელიც ერთადერთი სიტყვით გვამცნობს ნელინგის დროს და მამისეულ ინდელ-ღამის დროსავით მნიშვნელოვანსა და გარდუვალს, დანარჩენ დროებთან შედარებით ურიცხვი შესაძლებლობითა და შეუძლებლობით მდიდარს.

მივადექით ცდუნებისა და ბალადას მწვერვალს. ადგილს, სადაც ტყის მეფე საკუთარ სიმშაგის თოკავს და მამისეულ ინტონაციებზე უფრო ღრმა, დედასეულ ინტონაციას აგნებს, ქალური შემოქმედების მთელ სკალას, ქალის კილოს მთელ გამას წარმოგვიდგენს: ქალური შემპარაობიდან დედის სინაზემდე; იმ სტროფს მივადექით, შინაარსისაგან დამოუკიდებლად, ოდენ უღერადობითაც უკვე იავნანად რომ გვევლინება. და ისევდაისევე: რამდენად უფრო ინტიმური და დაწვრილებითაა გოეთეს ტყის მეფე ჟუკოვსკისეულთან შედარებით. თუნდაც ძველებური და ხალხური warten რად ღირს (მოკლა, რასაც რუს მკითხველთა უმრავლესობა „ლოდინად“ თარგმნის), რასაც ჟუკოვსკი საერთოდ ტოვებს, ამით ცვლის: „узнаешь прекрасных моих дочерей“ („გაიცნობ ჩემს მშვენიერ ასულებს“); ჟუკოვსკისთან მშვენიერი არიან, გოეთესთან — უბრალოდ ასულები, რადგან გოეთესეული ტყის მეფეს ბიჭის მშვენიერს გარდა ამ ნუთას სხვა არავის მშვენიერს არ ახსოვს. ჟუკოვსკისთან — მშვენიერი ასულები, გოეთესთან — ასულები მშვენიერად მოგივლიან.



მარინა ცვეტაევა

ორი „ტყის მეფე“

დასასრული

და კვლავაც იგივე: ჟუკოვსკისთან — ხილვის გადმოცემა, გოეთესთან — თვით ხილვა. „Родимый, Лесной Царь созвал дочерей! Мне, вижу, кивают из темных ветвей!“ — „მამილო, ტყის მეფემ მოუხმო ასულებს! ვხედავ, თავს მიქნევენ დაბურულ რტოებიდან...“ (შენც თუ ხედავო, ის მაინც ეკითხა!) — და: „მამა, მამა, ნუთუ ვერ ხედავ იქ, იმ შემზარავ ბნელში, ტყის მეფის ასულებს?“ — ამ ინტონაციაში ჩვენსავე მოუთმენლობას ვცნობთ, როდესაც რაღაცას ვხედავთ, სხვა კი ვერ ხედავს. და, კითხვების შესაბამისად, სრულიად განსხვავებული პასუხები: ჟუკოვსკისთან — ოლიმპიურად მშვიდი: „О нет, всё спокойно в ночной глубине. То ветлы седые стоят в стороне“ („ო, არა, ყოველივე მშვიდადაა ღამის სიღრმეში. ეს ჭაღარა ტირიფები დგას მოშორებით“), პასუხი, რომელიც ტირიფის რტოების აქნევასაც, ანუ ნანახის ილუზიასაც კი არ გვიტოვებს! და გოეთეს თავზარდაცემული, გულისძვრისეული პასუხი: „ჩემო შვილო, ჩემო შვილო, მე ზუსტად ვხედავ...“ — ეს იმ ადამიანის პასუხია, მეორეს რომ ემუდარება, აფიცებს, მერწმუნეო, რათა თვითონაც ირწმუნოს, მაგრამ ამ ზუსტად დანახული ტირიფებით მხოლოდ საპირისპიროს გვიდასტურებს.

დაბოლოს, დასასრულს — ამოფრქვევა, გახსნილი ბანქო, ჩამოძრობილი ნიღაბი, მუქარა, ულტიმატუმი: „მიყვარხარ! აღმატკინა შენმა სილამაზემ! ნებით თუ არ გასურს — ძალით წაგიყვან!“ და ჟუკოვსკისეული პასიური: „Дитя! Я пленился твоей красотой!“ („ბავშვო! მომხიბლა შენმა სილამაზემ!“) — ამას თითქოს განვიხილავთ ფაშა ეუბნება მონა ქალს, ფაშა — თვითონაც დამონებული, სწორედ იმ ალტექმული ფირუზ-მარგალიტის ფაშა. ან სამოცდაათი წლის გოეთე, რომელიც გრავიურების ცქერადან თხუთმეტი წლის გოგონას ცქერაზე რომ გადადის. თხრობითად, ჭვრეტიდად, ფერწერულად — თითქოს დიდებულ ტილოს ათვალაიერებსო... და თვით მომდევნო პნკარის გენიალური გადმოცემაც — ფორმულაც — „Неволей иль волей, а будешь ты мой!“ („ძალით თუ ნებით — ჩემი გახდები!“) — გოეთესეულზე სუსტია: „ნებით თუ არ გასურს, ძალით წაგიყვან!“ — ისევე, როგორც თავისთავად ფორმა „იქნები ჩემი, ჩემს მიერ წაყვანილი“ ნაკლებად იხელთებს, ვიდრე „წაგიყვან“, ასუსტებს და ამორებს მოხელთებას, ტყის მეფის გამონვდილ ხელს, სადაცაა რომ ჩაავლებს, ხელს, რომელსაც ბავშვის

შეძახილისაგან „მტკივა!“ ერთი ნაბიჯიც კი აღარ აცილებს, ცხენის ერთი ნახტომიც კი არა. ჟუკოვსკის ეს შეძახილი საერთოდ არ აქვს: „Родимый, Лесной Царь нас хочет догнать! Уж вот он, мне душно, мне тяжело дышать!“ („მამილო, ტყის მეფე ცდილობს, დაგვეწიოს! უკვე აქაა, სული მეხუთება, სუნთქვა მიძიმს!“). გოეთესთან ტყის მეფის შეძახილს — „ძალით წაგიყვან!“ — და ბავშვის შეძახილს — „მტკივა!“ — შორის არაფერია, გარდა ორგზის გამეორებული სიტყვისა: „მამა, მამა“ და სახელდობრ სულშეხუთული მოხელთებისა. ჟუკოვსკისთან კი განზრახვის მთელი მანძილია. ჟუკოვსკისთან ტყის მეფე ფეხდაფეხ მისდევთ, მაგრამ ვერ ეწევათ.

და — ბოლოქემა (რადგან ნანარმოები სწორედ ამით მთავრდება). ის, რაც მეორე სტროფის პირველივე პნკარიდან მოყოლებული, უკვე ვიცოდით — სიკვდილი, ერთადერთი, რაც ჟუკოვსკისთან დედანს თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვევა, რადგან ნანარმოების მთელი დინამიკა უკან დარჩა.

ვიმეორებ: ჩემი კირკიტა, ზუსტი, არითმული, არამბატურული თარგმანის ჟუკოვსკისეულ გენიალურ თავისუფალ გადმოცემასთან შედარება ერთობ არასახარბელო ამოცანაა. კარგი ლექსი მუდამ სჯობს პროზას, თუნდაც, საუკეთესოს, და ჟუკოვსკის ჩემთან უპირატესობა მეტისმეტად აშკარაა. მაგრამ მე პროზას ლექსს კი არ ვადრი, არამედ დედნის ზუსტ ტექსტსა და თარგმანის ზუსტ ტექსტს ვუდარებ ერთმანეთს: გოეთეს „ტყის მეფესა“ და ჟუკოვსკის „ტყის მეფეს“.

და აი, დასკვნებიც. ეს ორი ნანარმოები თანაბრად გენიალურია. შეუძლებელია, „ტყის მეფე“ იმაზე უკეთ ითარგმნოს, ვიდრე ეს ჟუკოვსკიმ შეძლო. ცდადაც კი არ ღირს. ასწლიანი დაძველების წყალივით ეს უკვე თარგმანიც კი აღარ არის — დედანია. ეს უბრალოდ სხვა „ტყის მეფეა“. რუსული „ტყის მეფე“ — ქრესტომათიიდან და ბავშვობის საშინელი სიზმრებიდან.

ეს ორი ნანარმოები თანაბრად გენიალურია. და სრულიად განსხვავებული. ორი „ტყის მეფე“.

არამხოლოდ ორი „ტყის მეფე“, არამედ — ტყის ორი მეფე: უასაკო მწველი დემონი და გოროზი მოხუცი, მაგრამ ორი მხოლოდ ტყის მეფე კი არ არის, მამაც ორია: ახალგაზრდა მხედარი და კვლავაც მოხუცი (ჟუკოვსკის ორი მოხუცი ჰყავს, გოეთეს — არც ერთი), მხოლოდ ბავშვის მსგავსებაა შენარჩუნებული.



ერთი თემის ორი ვარიაცია, ერთი მოვლენის ორი ხედვა, ერთი ზმანების ორი მონაწილე.

თითოეულმა მოვლენა საკუთარი თვალთი იხილა.

გოეთემ თავისი მუგუზობივით შავი, ცეცხლოვანი თვალებით მართლაც იხილა და მასთან ერთად ჩვენც ვიხილეთ.

ჟუკოვსკიმ თავისი მშვიდი, თავლისფერი, კეთილი და გონიერი თვალებით ვერ გაარჩია და ვერც ჩვენ დაგვანახა. ნისლსა და ტირიფებს ენდო. მისი ტყის მეფის კითხვისას ჩვენი განცდაა: როგორ ვერ ხედავს ბავშვი, რომ ეს უბრალოდ ხეებია?

ჟუკოვსკისთან ბავშვი შიშისაგან ილუბება.

გოეთესთან — ტყის მეფისაგან.

ჟუკოვსკისთან ყოველივე მარტივია. ბავშვი შეშინდა, მამამ მისი დამშვიდება ვერ მოახერხა, ბავშვს მოეჩვენა, თითქოს ხელი ჩაავლესო (შესაძლოა, ტოტი გამოედო) და ყოველივე ამ მოჩვენებისთვის გამო ბავშვი სინამდვილეში მოკვდა. იმ შეშლილის მსგავსად, თავი შუშისა რომ ეკონა და მისი გადარწმუნების მსურველი საღი აზრის ბიძგს გულის გასკდომით უპასუხა, თან შუშასავით დაიჟღარუნა... (მსგავსა მაგალითებმა შეიძლება შორს წაგვიყვანოს).

ჟუკოვსკი სულ ბოლოს ერთადერთხელ დაეჭვდება და საკუთარ კეთილგონიერებას ერთადერთი სიტყვით ლალატობს — „ездок оробелый“ („მხედარი დამფრთხალი“) — მაგრამ ინამსვე თვითონაც ფრთხება და ამასაც ემიჯნება.

ჟუკოვსკის ტყის მეფე (თვით ჟუკოვსკიც) განუზომლად უფრო კეთილია: ბავშვის მიმართაც უფრო კეთილია — მასთან ბავშვს არ სტკივა, მხოლოდ სული ეხუთება, მამის მიმართაც — შვილის სიკვდილი თავზარდამცემია, თუმცა მაინც ბუნებრივი, ჩვენს მიმართაც კეთილია — მოვლენათა წესრიგი არ ირღვევა. ვინაიდან თუკი

წამით მაინც დავუშვებთ იმას, რომ ტყის მეფე არსებობს, ამით ჩვენც და ყოველი არსიც კუთვნილი ადგილებიდან დავიძრებით. ასე კი — სამწუხარო, მაგრამ არახალი შემთხვევაა. თვით ზმანებაც უფრო კეთილია: წვერიანი მოხუცი, პაპა, „ფირუზის ნაკადნი“ („цветы бирюзовы, жемчужны струи“). გიკვირს კიდევ, ბავშვი ასე რამ შეაშინა.

(მხოლოდ ბნელი გვირგვინი თუ შეაშინებდა, მხოლოდ სიყვარულის სიმძლავრე?) საშინელი ძილისპირული ზღაპარი. საშინელი, მაგრამ მაინც ზღაპარი. კეთილი პაპის საშინელი ზღაპარი. საშინელი ზღაპრის შემდეგ მაინც შეიძლება დაძინება.

ეს კი — უცნაურზე უცნაური ზღაპარია და პაპაც არაფერ შუაშია. გოეთესეული უცნაური ზღაპრის შემდეგ უწინდებურად ცხოვრება აღარ შეიძლება (იქით, იმ ტყეში! შინ!).

...უფრო კეთილი, უფრო ცივი, უფრო დიდებული, უფრო ირეალურიც. წვერი კუდზე უფრო დიდებულია, შორიდან დალანდული ასულები იმ ასულებზე უფრო დიდებულნიც, ცივნიც და ირეალურნიც არიან, ბავშვს რომ უვლიან და არწვენენ. ჟუკოვსკის ნანარმოები მთლიანად ცხადისა და სიზმრის ზღვარზეა.

გოეთეს ხილვა მთლიანად ცხადია, ან მთლიანად სიზმარი, ან კი რა მნიშვნელობა აქვს განსაზღვრებას, თუკი ერთი მეორეზე შემზარავია. საქმე ის კი არაა, რას ვუნოდებთ, არამედ ის, რომ სუნთქვა გვეკვრის.

რომელი უფრო დიდი შემოქმედებაა? ეს საკამათოა.

მაგრამ არსებობს ის, რაც შემოქმედებას ალემატება.

ის, რაც შემოქმედებაზე უფრო შემზარავია.

თარგმანი თამარ კოტრიკაძე



ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ყურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940

